**Папава В., 1995.** *Грузия на пути к рыночной экономике.* Тбилиси, Мецниереба.

**Папава В., 1998.** О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика,* №2.

**Папава В., 2001.** *Международный валютный фонд в Грузии: достижения и ошибки.* Тбилиси, Империал.

**Папава В., 2002а.** О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. *Вопросы экономики,* №3.

**Папава В., 2002б.** О целесообразности формирования свободных экономических зон и опыт Грузии. В сб.: *Проблемы развития внешнеэкономических связей и привлечения иностранных инвестиций: региональный аспект.* Часть I. Донецк, Донецкий национальный университет.

**Папава В., 2002в.** Об особенностях международной экономической функции Грузии. *Центральная Азия и Кавказ,* №2.

**Папава В., 2004.** Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии. *Общество и экономика,* №7-8.

**Папава В., 2009а.** «Розовые» ошибки МВФ и Всемирного банка в Грузии. *Вопросы экономики,* №3.

**Папава В., 2009б.** У экономического кризиса в Грузии отечественные корни. *Вестник Кавказа*, 27 Июня, http://www.vestikavkaza.ru/articles/ekonomika/mir-fin-kriz/4249.html.

**Папава В., 2010.** Постсоветские экономические взаимоотношения между Грузией и Россией: реальность и возможности развития. В сб.: *Россия*

*и Грузия: пути выхода из кризиса*. Хуцишвили Г., Гогелиани Т. (ред.). Тбилиси, МЦКП.

**Папава В., 2011а.** К вопросу о первом поколении посткоммунистических реформ в экономике грузии (ретроспективный анализ). *Кавказ и Глобализация*, Том 5, Вып. 3-4.

**Папава В., 2011б.** Эволюция экономических взаимоотношений между Грузией и Россией в постсоветском периоде: пройденный путь и перспективы. В. сб.: *Россия и Грузия: в поисках выхода*. Тбилиси, Грузинский фонд стратегических и международных исследований, http://gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA-AND-GEORGIA-SEARCHING-THE-WAY-OUT-Russian-Publication.pdf.

**Папава В., 2011в.** Экономические Успехи Постреволюционной Грузии: Реальность и Мифы. *Вестник института Кеннана в России*, №19.

**Папава В., 2012.** Экономическая составляющая российско-грузинского конфликта. *Кавказ и Глобализация*, Том 6, Вып. 1.

**Папава В., 2013.** Экономика Грузии: в поиске модели развития. *Мир перемен*, №3.

**Папава В., Ахметели Р., 1990.** *Грузия на пути к экономической самостоятельности*. Тбилиси, Мецниереба.

**Папава В., Беридзе Т., 1994.** Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал*, №3.

**Папава В., Беридзе Т., 1998.** Экономические реформы в Грузии. *Российский экономический журнал*, №1.

**Папава В., Беридзе Т., 2005.** *Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии)*. Москва, «Дело и Сервис».

**Петухов С., 1999.** Грузинское экономическое чудо уже в пути! *Огонёк*, №30.

**Сантеладзе Н., 1998.** Функционорование промышленного производства Грузии в рыночных условиях хозяйствования. *Общество и экономика*, №2.

**Силагадзе А., 1998.** Социально-экономические аспекты приватизации государственного имущества в Грузии. *Общество и экономика*, №2.

**Силагадзе А., Токмазишвили М., Атанелишвили Т., 2013.** Генезис посткоммунистического развития: препятствия и перспективы (на примере Грузии). *Кавказ & глобализация*, Т. 7, Вып. 3-4.

**Синицина И., 1996.** *Проблемы реформирования социальной защиты и социальной инфраструктуры в Грузии.* Исследования и анализ, №96. Варшава, ЦСЭИ.

**Синицина И., 1997.** *Фискальная политика и организация сферы государственных финансов Грузии.* Исследования и анализ, №110. Варшава, ЦСЭИ.

**Синицина И., Ярочински М., 1998.** *Бюджетно-налоговая система и государственные финансы Грузии в 1997-1998гг.* Исследования и анализ, №142. Варшава, ЦСЭИ.

**Сулаберидзе А., 1998.** Особенности ценностных ориентаций руководителей предприятий Грузии в условиях экономической реформы. *Общество и экономика*, №4-5.

**Сулаберидзе А., 2002.** О некоторых факторах, определяющих современную трансформацию общества и семьи в Грузии. *Общество и экономика*, №3-4.

**Хадури Н., 2006.** Грузия: экономика. *Центральная Евразия 2005: Аналитический ежегодник.* Лулеа, CA&CC Press.

**Хадури Н., 2007.** Грузия: экономика. *Центральная Евразия 2006: Аналитический ежегодник.* Лулеа, CA&CC Press.

**Хадури Н., 2008.** Грузия: экономика. *Центральная Евразия 2007: Аналитический ежегодник.* Лулеа, CA&CC Press.

**Хадури Н., 2009.** Грузия: экономика. *Центральная Евразия 2008: Аналитический ежегодник.* Лулеа, CA&CC Press.

**Церетели Г., 2000.** Измерение и оптимизация влияния макроэкономических факторов на валютный курс Грузии. In: *VI World Congress for Central and East European Studies.* 29 July – 3 August 2000 Tampere, Finland. Helsinki, ICCEES.

**Чикава Л., 1998.** Экономический потенциал Грузии и уровень его использования к началу становления новой социально-экономической системы. *Общество и экономика*, №2.

**Чикава Л., 1999.** О социальной ориентированости национальной экономики Грузии. *Общество и экономика*, №10-11.

## შესავალი

## ანუ საბაზრო ეკონომიკური რეფორმების არსი და გამოცდილება

ლათინურად *რეფორმა* გარდაქმნას ნიშნავს, ასე რომ ეკონომიკური რეფორმა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნაა. ეკონომიკური რეფორმა იწვევს როგორც ეკონომიკის მოწყობის, ისე მისი მართვის სისტემის შეცვლას. შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმის რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება.

ეკონომიკური რეფორმის გამომწვევი ობიექტური მიზეზებია არსებული ეკონომიკური სისტემის რღვევა ან თუნდაც მისი დაბალი ეფექტიანობა და ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკური რეფორმა ასევე შეიძლება ინიცირებულ იქნეს სახელმწიფოს ხელმძღვანელების მიერ სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე, მაგალითად, იმისათვის, რომ ქვეყანამ წაიწიოს რომელიმე საერთაშორისო რეიტინგში, ან უკეთეს შემთხვევაში დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა, რათა დაეწიოს ან გაასწროს რომელიმე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფს.

სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ნამდვილი რეფორმის გატარების ნაცვლად რეფორმატორის იმიჯის მოსაპოვებლად ან (და) შესანარჩუნებლად ესა თუ ის მთავრობა რეფორმის იმიტაციას ახორციელებს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ადვილი არ იყოს რეფორმის გამორჩევა *ფსევდორეფორმისაგან* ანუ ყალბი რეფორმისაგან.

ეკონომიკური რეფორმა შეიძლება არ მოიცავდეს ქვეყნის მთელ ეკონომიკას და ეხებოდეს მის რომელიმე დარგს (მაგალი-

თად, აგრარული რეფორმა), ან რომელიმე სფეროს (მაგალითად, ფულის რეფორმა, საგადასახადო რეფორმა). თითოეული მათგანი იმავდროულად შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი ეკონომიკური რეფორმის ნაწილი.

XX საუკუნის 60-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც მბრძანებლურ ეკონომიკას ეფუძნებოდა, ამ ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გატარდა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მართვის პირდაპირი ადმინისტრირების დონის შესუსტებას ემსახურებოდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური ტიპის მმართველობაზე დაფუძნებული მბრძანებლური ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანობის გამო დაინგრა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დღის წესრიგში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა დადგა, რაც საბაზრო ტიპის ეკონომიკური რეფორმების გატარებას გულისხმობდა.

ისტორიაში ცნობილია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური რეფორმები. კერძოდ, ერთ-ერთი კლასიფიკაციის თანახმად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგი ისტორიული პროცესები შეიძლება იქნეს განხილული (Balcerowicz, 1995, p. 145; Бальцерович, 1999, с. 153):

1. კლასიკური გადასვლა, რაც გულისხმობს საბაზრო დემოკრატიის გაფართოებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 1860-1920 წლებში;
2. ნეოკლასიკური გადასვლა, რაც აისახა დემოკრატიზაციისა და საბაზრო რეფორმების პროცესში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა (დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში XX საუკუნის 40-იან, ესპანეთსა და პორტუგალიაში 70-იან, ზოგიერთ ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში 70-იან და 80-იან, სამხრეთ კორეასა და ტაივანში 80-იან წლებში);

3. ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები არაკომუნისტურ ქვეყნებში (დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამხრეთ კორეასა და ტაივანში გასული საუკუნის ადრეულ 60-იან, ჩილეში 70-იან, თურქეთსა და მექსიკაში 80-იან, არგენტინაში 90-იან წლებში);
4. აზიური პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმები (ჩინეთში XX საუკუნის გვიანი 70-იანი და ვიეტნამში გვიანი 80-იანი წლებიდან დაწყებული).

დღეს, როცა საუბარია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო ეკონომიკურ რეფორმებზე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ტრადიციული და ახალი ტიპის გარდამავალი ეკონომიკა: პირველი ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიის, ხოლო მეორე კი აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილი, ასევე ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნისა და ჩინეთისათვისაა დამახასიათებელი (Гайгер, 1996, сс. 45, 51-53).

საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმების შესახებ, ცალკეული, საკმაოდ სერიოზული თეორიული განზოგადების შემცველი სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. ყოველივე ამის საფუძველზე, როგორც პრაქტიკოსი რეფორმატორები, ისე მეცნიერ-ეკონომისტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში „შოკის" მომხრეებად და „გრადუალისტებად" (გრადუალ – თანდათანობითი), რაც სრულიად შეესატყვისება რეფორმირების უკვე ჩამოყალიბებულ შესაბამის ორ ძირითად მიმართულებას (პაპავა ვ., 2002, გვ. 43-57; Papava, 2005a, pp. 18-27, 2005b; Папава, 2000; Папава, Беридзе, 2005, сс. 72-77).

შოკური თერაპია (უმთავრესად პოლონურ-რუსული ვერსიით), ან „დიდი აფეთქება", „დიდი დარტყმა" ("Big Bang" – ინგლისურენოვან ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიით), ან „მწარე აბი" ("Bitter Pill" – ინგლისურენოვან ლიტერატურაში შე-

დარებით იშვიათად გამოყენებული ვერსიით) უმოკლეს ვადებში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზებას გულისხმობს, რომელთა შორის უმთავრესი გამიზნულია უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ნომინალური ფულის მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში.

„გრადუალისტები" გამოდიან რა თანდათანობითი, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად, „შოკური თერაპიის" მეთოდის კრიტიკას, დაჩქარებული ტემპებით რეფორმის განხორციელებისას, მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ილუსტრირებაზე აგებენ (მაგალითად, Крегель, Мацнэр, Грабхер, 1992).

გრადუალისტები, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ თანდათანობითი რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის შემდეგი *ორი აუცილებელი პირობა* უნდა შესრულდეს:

1. მთავრობას უნდა ჰქონდეს იმის **პოლიტიკური გარანტია**, რომლის თანახმადაც მოსახლეობა ნებისმიერ შემთხვევაში, იძულებული იქნება რეფორმატორული ნაბიჯები დადებითად შეაფასოს, ხოლო ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დაწყების შემდეგ, მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს და მართლაც უნდა შეძლოს ეკონომიკურ (და პოლიტიკურ) პროცესებზე კონტროლი შეინარჩუნოს;
2. ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის მისი **ფინანსური მხარდაჭერა ქვეყნის საკუთარი ძალებით**.

ყველა ქვეყანა, რომელსაც გრადუალისტური რეფორმებისათვის ამ ორი აუცილებელი პირობიდან თუნდაც ერთი რომ არ გააჩნია ბაზარზე გადასვლისათვის, იძულებულია საჭირო ეკონომიკური რეფორმა შოკური თერაპიის მეთოდით განახორციელოს. საყურადღებოა, რომ ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც გრადუალისტური რეფორმებისათვის ამ აუცილებელი ორი პირობი-

დან ორივე ჰქონდა, შოკური თერაპიის მეთოდი არ აურჩევია, თუმცა პოტენციალურად თავისუფლად შეეძლო მისი გამოყენება. იმავდროულად ეკონომიკის გრადუალისტური რეფორმირება იდეალურად თავსებადი აღმოჩნდა შესაბამის ქვეყნებში ავტორიტარული რეჟიმების ეკონომიკური საფუძვლების შექმნისა და განმტკიცებისათვის.

საქართველოს გრადუალისტური რეფორმებისათვის საჭირო ხსენებული ორი აუცილებელი პირობიდან არც ერთი არ გააჩნდა და ბუნებრივია, რომ, თუნდაც თეორიული მსჯელობა საქართველოში გრადუალისტური რეფორმების გატარების შესახებ, უბრალოდ არაკონსტრუქციულია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ისეთი კომპლექსური რეფორმების გატარებას მოითხოვს, რის შედეგადაც შემდეგი ექვსი მიზანი იქნება მიღწეული (Lipton, Sachs, 1990)[1]:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. საწარმოთა რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, პრივატიზაციის გზით;
5. დაზღვევაზე დაფუძნებული სოციალური დაცვის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) ფორმირება.

---

[1] მოცემული ექვსი მიზანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს განსხვავებული დაჯგუფებითაც; კერძოდ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეიძლება მონეტარულ და ფისკალურ ნაწილებად დაიყოს, ხოლო საწარმოთა რეფორმა და ინსტიტუციური სტრუქტურის ფორმირება ერთ ჯგუფში იქნეს განხილული (ჭოლფ, 1994, პპ. 170-176).

ამ ექვსი მიზნიდან დაჩქარებულად მხოლოდ პირველი სამის მიღწევაა შესაძლებელი (რაც, ერთი მხრივ, „შოკური თერაპიის" მეთოდის ძირითად მომენტს წარმოადგენს), მაშინ როცა დანარჩენი სამის მიღწევა ნებისმიერ შემთხვევაში დროს მოითხოვს (Фишер, Сахаи, 1997, с. 20), და თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანს, რადგანაც ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურების შექმნა, მათი განსაკუთრებული სირთულის გამო (Boettke, 1998) ათწლეულებსაც კი საჭიროებს (ВБ, 1996, сс. 11-12). სწორედ ეს დებულება არის „შოკური თერაპიის" მომხრეთა და გრადუალისტთა შორის, ერთ დროს ძალზედ მწვავე დისკუსიის მეტ-ნაკლებად შერბილების საფუძველი (Попов, 2000, с. 4).

საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გატარების დაწყებიდან ორ ათეულ წელზე მეტის გასვლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხსენებული ექვსი მიზნიდან, მეტ-ნაკლები წარმატებით, ექვსივე მიღწეულია და ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულებულია. იმავდროულად, ისიც აშკარაა, რომ საქართველოში შექმნილი საბაზრო ეკონომიკა სამწუხაროდ შორსაა დასავლური და, კერძოდ, ევროპული სტანდარტებისაგან. და თუ აღმოსავლეთ ევროპისა თუ ბალტიის ქვეყნებმა იმდენად წარმატებით ჩაატარეს ეკონომიკური რეფორმები, რომ დღეს ევროკავშირის წევრები არიან, საქართველო, სამწუხაროდ, შედის იმ „აუტსაიდერ" პოსტკომუნისტურ ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც ევროპული ტიპის კაპიტალიზმის ნაცვლად ე. წ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი შექმნეს (პაპავა ვ., 2002; Papava, 2005a, 2006; Папава, Беридзе, 2005).

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმების თავისებურებანი, რის საფუძველზეც მკითხველისათვის ნათელი უნდა გახდეს თუ საქართველომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზაზე რა წარმატებებს მიაღწია და რა შეცდომები დაუშვა.

**პაპავა ვ., 2002.** *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.* თბილისი, „პდპ".

**Balcerowicz L., 1995.** *Socialism, Capitalism, Transformation.* Budapest, CEU.

**Boettke P. J., 1998.** Promises Made and Promises Broken in the Russian Transition. *Constitutional Political Economy,* Vol. 9, No. 2.

**Lipton D., Sachs J., 1990.** Creating a Market Economy in Eastern Europe: the Case of Poland. *Brookings Papers on Economic Activity,* No. 1.

**Papava V., 2005a.** *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia).* New York, iUniverse.

**Papava V., 2005b.** On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market. *International Journal of Social Economics,* Vol. 32, No. 1/2.

**Papava V., 2006.** *Economic Transition to European or Post-Communist Capitalism?* EACES Working Papers, No. 1, March, http://www.eaces.net/news/WP-1-06.pdf.

**Wolf Ch. Jr., 1994.** *Markets or Governments. Choosing between Imperfect Alternatives.* Cambridge, The MIT Press.

**Бальцерович Л., 1999.** *Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже эпох.* Москва, «Наука», УРАО.

**ВБ, 1996.** *От плана к рынку. Отчет о мировом развитии – 1996.* Oxford, Oxford University Press.

**Гайгер Л. Т., 1996.** *Макроэкономическая теория и переходная экономика.* Москва, ИНФРА-М.

**Крегель Я., Мацнэр Э., Грабхер Г., 1992.** *Рыночный шок.* Вена.

**Папава В., 2000.** О теории посткоммунистической трансформации экономики. *Общество и экономика,* №7.

**Папава В., Беридзе Т., 2005.** *Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии).* Москва, «Дело и Сервис».

**Попов В., 2000.** Шокотерапия против градуализма: 10 лет спустя. В кн.: *Г. В. Колодко. От шока к терапии. Политическая экономия постсоциалистических преобразований.* Москва, ЗАО «Журнал Эксперт».

**Фишер С., Сахаи Р., 1997.** Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. *Вопросы экономики,* №5.

თავი I

# პირველი თაობის საბაზრო ეკონომიკური რეფორმები

## § I.1. ქართული „შოკური თერაპია" პოლონური სცენარით

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, დამოუკიდებელ საქართველოში საწყის ეტაპზე განხორციელებულ (თუ არგანხორციელებულ) ეკონომიკურ რეფორმებზე განუზომლად დიდია პოლონური გამოცდილებისა და პოლონელ ეკონომისტთა ზეგავლენა (პაპავა, 2001, 2012, გვ. 22-25; Papava, 2002, 2011; Папава, 2011).

1989 წელს, კომუნისტური რეჟიმის რღვევისთანავე, პოლონეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა „შოკური თერაპიის" მეთოდით დაიწყო. ამ რეფორმას სათავეში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი ედგა. ეკონომიკური რეფორმის მისი ხელმძღვანელობით შედგენილ გეგმას „ბალცეროვიჩის გეგმა" ეწოდა.

1992 წლის იანვრიდან რუსეთშიც იწყება „შოკური თერაპიის" მეთოდის რეალიზაცია და მას სათავეში რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი ჩაუდგა (თუმცა, პოლონეთისაგან განსხვავებით, შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსს ფორმალურად „გაიდარის გეგმა" არ დარქმევია). ერთი თვის დაყოვნებით „შოკური თერაპიის" „ბალცეროვიჩისეული გეგმის" გატარება პრაქტიკულად სახეშეუცვლელი რუსული ვერსიით საქართველო-

შიც დაიწყო და მასაც სათავეში ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე ჩაუდგა (აღსანიშნავია, რომ რუსეთის მსგავსად არც საქართველოში შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსს ფორმალურად „გოცირიძის გეგმა“ არ დარქმევია).

აქ იბადება ლოგიკური კითხვა: იყო კი მზად საქართველო იმ დროს რეფორმის ამ ცნობილი მეთოდის გამოყენებისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ხაზი იმ პრინციპულ განსხვავებას გაესვას, რაც რეფორმების დასაწყისში მყოფი სახელმწიფოებრიობის მქონე და სახელმწიფოებრიობის არმქონე ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი; პირველ მათგანს განეკუთვნებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა, მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი ან ბულგარეთი, ხოლო მეორეს – კი საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები; ამ უკანასკნელში გამონაკლისს დაშლილი ქვეყნების სამართალმემკვიდრეები წარმოადგენენ, რომელთაც შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობის თითქმის ყველა ატრიბუტი (მაგალითად, საელჩოები, საბაჟო, დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემა და სხვა). საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი რუსეთმა შეინარჩუნა, რითაც ის პირობითად, შეიძლება სახელმწიფოებრიობის მქონე ზემოაღნიშნულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს „გავუთანაბროთ“. სხვა დანარჩენ ქვეყნებს კი საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა ესაჭიროებოდათ (გარკვეული აზრით ნაწილობრივ გამონაკლისს უკრაინა და ბელორუსია წარმოადგენდნენ, რომლებიც გაერო-ს წევრები თუნდაც ფორმალურად, მაგრამ მაინც იყვნენ). ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც, რომლის წინაშეც დადგა ორი მეტ-ნაკლებად ერთნაირი სირთულის ამოცანის – სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის – ერთდროული გადაჭრის აუცილებლობა, რაც ბევრად უფრო რთულია ვიდრე მარტო მეორე ამოცანის გადაწყვეტა (Schmitter, 1994; Balcerowicz, 1995, p. 146; Papava, 1996b, p. 252; Milanovic, 1998, p. 3).

„შოკური თერაპიის“ მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში „შოკური თერაპიის“ მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა პრინციპში წარუმატებლობისთვისაა განწირული. ამ დებულების ჭეშმარიტებას, სამწუხაროდ, საქართველოს იმდროინდელი გამოცდილებაც ამტკიცებს. ამაში დარწმუნება სულაც არ არის ძნელი; ამისათვის საკმარისია განვიხილოთ ე. წ. „ბალცეროვიჩის გეგმა“ (რომელიც „შოკური თერაპიის“ თანამედროვე და თანაც უკვე კლასიკურ სქემად ითვლება) და გავაანალიზოთ როგორი დამახინჯებით გატარდა იგი ჩვენში, რუსულ „სარკეში“ ამ „გეგმის“ ანარეკლის საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სათანადო ინსტიტუტები, სამწუხაროდ, არ არსებობდა (პაპავა, 1995; Papava, 1996b, pp. 252-255; 1999, pp. 268-272).

„ბალცეროვიჩის გეგმის“ თანახმად, საწყის ეტაპზე პოლონეთში პრაქტიკულად ერთდროულად შემდეგი ღონისძიებები იქნა გატარებული (Алексашенко, 1990, с. 21):

1. ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით;
2. მოსახლეობის შემოსავლების „მკაცრი“ შეზღუდვა;
3. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა; მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა;
4. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა;
5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით სახელმწიფო სესხის – ობლიგაციების გამოშვება;
6. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და მისი უნიფიცირება;

7. აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიგა ბაზარზე ზლოტის კონვერტირების უზრუნველყოფა;
8. ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;
9. მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში მოსახლეობის იმ ნაწილისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, ვინც ამას მართლაც საჭიროებს;
10. მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმა.

რუსეთში „შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენება 1992 წლის 2 იანვრიდან დაიწყო, ხოლო ერთი თვის დაგვიანებით, როგორც აღინიშნა, მას საქართველოც აჰყვა.

განვიხილოთ ის, თუ რამდენად იქნა (და საერთოდ იქნა თუ არა) საქართველოში „ბალცეროვიჩის გეგმის" თითოეული პუნქტი შესრულებული:

1. რეფორმა ფასწარმოქმნაში საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ზოგიერთი სახეობის საქონელზე თავისუფალი ფასწარმოქმნა პირველად იქნა შემოღებული. თუ კი ეს მოვლენა 1991 წელს უფრო გამონაკლისის ელფერს ატარებდა, 1992 წლის 1 თებერვლიდან (ანუ რუსეთთან შედარებით ერთი თვის დაყოვნებით) ფასწარმოქმნის სისტემაში უკვე რადიკალური ცვლილებები იქნა გატარებული: საქონლისა და მომსახურების ერთ ჯგუფზე რეგულირებადი ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყოველივე ეს საბაზრო წონასწორობის მიღწევისათვის იყო მიმართული. თუ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 180 პროცენტს[1] შეადგენდა, 1992 წელს

---

[1] წიგნში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ არ არის სპეციალური მითითება, საქართველოს მთავრობის ოფიციალური წყაროებიდანაა აღებული.

ეს მაჩვენებელი 2500 პროცენტამდე გაიზარდა; ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 1992 წელს 1991 წელთან შედარებით 68-ჯერ გაიზარდა (აქედან პურზე, როგორც კვების ერთ-ერთ ძირითად პროდუქტზე – 100-ჯერ). შეიძლება ითქვას, რომ *„ბალცეროვიჩის გეგმის" პირველი პუნქტი საქართველოში მთლიანობაში განხორციელებულ იქნა;*

2. 1992 წელს საქართველოში მინიმალური ხელფასებისა და სოციალური გასაცემლების მნიშვნელოვანი ინდექსირება განხორციელდა. თუ 1991 წელს ინდექსირება მხოლოდ ერთხელ მოხდა, 1992 წელს დაწყებული ფასწარმოქმნის ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაციის პროცესში შემოსავლების ინდექსირება უკვე 6-ჯერ მოხდა. 1991 წელს მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური და საშუალო ხელფასი წინა წლებთან შედარებით, შესაბამისად 1,85-ჯერ და 1,26-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1992 წელს 1991 წელთან შედარებით, შესაბამისად – 13,14-ჯერ და 17,94-ჯერ. მართალია, საქართველოში რაიმე მკაცრი მარეგლამენტირებელი ღონისძიება გატარებული არ ყოფილა, რომლის მიხედვითაც ხელფასის ფონდის ზრდა შეიზღუდებოდა (როგორც ეს პოლონეთში განხორციელდა, როცა ხელფასის ფონდის 2 პროცენტის ფარგლებში ზრდის შემთხვევაში საწარმო ამ ნაზარდის 200 პროცენტით, ხოლო, 2 პროცენტზე მეტი გადაჭარბებისათვის შესაბამისი თანხის 300-500 პროცენტით ჯარიმდებოდა), მაგრამ ხელფასების და სოციალური გასაცემლების ზრდა ფასების ზრდას მაინც აშკარად ჩამორჩა. მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ *„ბალცეროვიჩის გეგმის" მეორე პუნქტიც საქართველოში მეტნაკლებად განხორციელდა;*

3. 1992 წელს 1991 წელთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნამდე ანაბრებზე წლიური 2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე, ხოლო 10 წლამდე ანაბრებზე კი წლიური 9 პროცენტიდან 80 პროცენტამდე გაიზარდა. საპროცენ-

ტო განაკვეთების ამგვარი ზრდა ვერ ასახავდა ინფლაციის ტემპს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთის ზრდით პრინციპულად შეუძლებელი იყო იმდროინდელ საქართველოში ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა, რადგანაც საქართველოს საკუთარი მონეტარული სისტემა არ გააჩნდა: საქართველოში უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი და ახლად შემოღებული რუსული რუბლი იყო ბრუნვაში. 1992 წლის ზაფხულში გადაწყდა ანაბრების გაორმაგება წინმსწრები ვადით. კერძოდ, 25 ივლისს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ანაბრების გაუფასურების გამო მათზე რიცხული თანხები პირველი აგვისტოს მდგომარეობით გაორმაგდებოდა; მოსახლეობამ 25 ივლისიდან აქტიურად დაიწყო ფულის შეტანა ანაბარზე; ახალი გადაწყვეტილება ანაბრებზე გაორმაგების მიზნით თანხების შეტანის ვადის 10 აგვისტომდე გადაწევის შესახებ 1 აგვისტოს იქნა მიღებული; გაორმაგების გზით დამატებული თანხების გამოტანა მხოლოდ 1 წლის შემდეგ, ხოლო გამონაკლისის სახით ამ თანხების გამოყენება პრივატიზაციის (რომელიც იმ პერიოდში საქართველოში ფაქტობრივად შეჩერებული იყო) პროცესში იყო ნებადართული. რადგანაც 1992 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთიდან (რომელიც რჩებოდა ფულის ემიტენტად) ნაღდი ფულის კუპიურების საჭირო რაოდენობის დროული ჩამოტანა ძალზე გართულდა, ზემოხსენებული გზით ანაბრებზე აკუმულირებული ფული ხელფასებისა და პენსიების სახით იქნა გაცემული, რამაც რეფორმის გამტარებელი მთავრობის მხრიდან ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა პრაქტიკულად გამორიცხა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ *„ბალცეროვიჩის გეგმის" მესამე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა*;

4. 1992 წელს ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯებში არ

შემცირებულა, 1992 წლამდე ის 20-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა; დოტაციების ფაქტობრივი მოცულობა 1992 წელს 1991 წელთან შედარებით თითქმის 5,1-ჯერ გაიზარდა. მართალია, 1991 წელს დოტაციების ხვედრითი წილი საბიუჯეტო ხარჯებში 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1992 წელს ის 30,1 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ *ეს ფაქტი დოტაციების მოცულობის მრავალჯერადი ზრდის გამო იმის მტკიცებისათვის სულაც არაა საკმარისი, რომ „ბალცეროვიჩის გეგმის" მეოთხე პუნქტი საქართველოში შესრულებულად იქნას მიჩნეული*;

5. სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები 1992 წელს იქნა გამოშვებული, მათი რეალიზაცია კი მხოლოდ 1993 წლის შემოდგომაზე მოხდა და ისიც ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ობლიგაციების ახალ ქართულ ობლიგაციებზე გადაცვლის მიზნით; რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოყენებას, ეს საბიუჯეტო ინსტრუმენტი იმ პერიოდში საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული. ნათელია, რომ *საქართველოში „ბალცეროვიჩის გეგმის" არც მეხუთე პუნქტი შესრულდა*;
6. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში დაიწყო. მაშასადამე, *„ბალცეროვიჩის გეგმის" მეექვსე პუნქტი იმდროინდელ საქართველოში ძირითადად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს*, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება საქართველოშიც პრაქტიკულად უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.
7. 1992 წელს საქართველოს საკუთარი ეროვნული ვალუტა არ ჰქონდა და ამდენად *„ბალცეროვიჩის გეგმის" მეშვიდე პუნქტის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო*;
8. 1992 წელს შემოღებული იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები. იმპორტი იბეგრებოდა 2, ხოლო ექსპორტი 8 პროცენტით,

აშკარაა, რომ ეს იმპორტის შეზღუდვასა და ექსპორტის სტიმულირებას ხელს სულაც არ უწყობდა. ფაქტია, რომ *საქართველოში „ბალცეროვიჩის გეგმის“ არც მერვე პუნქტი შესრულებულა;*

9. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1992 წელს 1991 წლის მსგავსად შემოსავლების ინდექსირებას ჰქონდა ადგილი. ამ დროს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისადმი რაიმე სპეციალური დახმარების სისტემა არ არსებობდა, ანუ სოციალური დაცვის სისტემა შემოსავლების დონის მიხედვით დახმარების დიფერენცირების მექანიზმს არ „იცნობდა“. ასეთ ვითარებაში შემოსავლების, მაგალითად, გაორმაგების შემთხვევაში აბსოლუტური სხვაობაც შემოსავლებს შორის მაღალ და დაბალშემოსავლიანთა მიხედვით ორჯერვე იზრდებოდა, რამეთუ გაორმაგებას ექვემდებარება თავად ეს სხვაობაც. მაშასადამე, შემოსავლების საყოველთაო ინდექსირების პირობებში მცირე შემოსავლიანი ოჯახების მდგომარეობა, შეფარდებითად, კიდევ უფრო უარესდება. ინდექსირების ხსენებული პრაქტიკის შედეგად 1992 წელს რეალურმა მინიმალურმა ხელფასმა 1991 წლის დონის მხოლოდ 86 პროცენტი შეადგინა. რადგანაც შემოსავლების ინდექსირების მიუხედავად 1992 წელს ვერ მოხერხდა ყველაზე უფრო მეტად გაჭირვებულ პირთა მიზანმიმართული დახმარება, ამიტომ, სამწუხაროდ, *საქართველოში „ბალცეროვიჩის გეგმის“ ვერც მეცხრე პუნქტი შესრულდა;*

10. 1992 წელს საკანონმდებლო და სამთავრობო გადაწყვეტილებები საქართველოში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ პირველად იქნა მიღებული; ბუნებრივია, რომ მათი ფართომასშტაბიანი ამოქმედება იმავე წელს ვერ მოხერხდებოდა. მართალია, ჯერ კიდევ 1991 წელს საწარმოთა რესურსებით უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საბჭოური წესი მთლიანად მოიშალა, მაგრამ საწარმოთა საქმიანობაში სა-

ხელმწიფოს ადმინისტრაციული ჩარევის სისტემა მაინც შენარჩუნდა (კერძოდ, ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი). ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ *იმდროინდელ საქართველოში სრული მასშტაბით „ბალცეროვიჩის გეგმის“ ვერც მეათე პუნქტი შესრულდა.*

მაშასადამე, „შოკური თერაპიის“ პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის კლასიკურ სქემად ქცეული „ბალცეროვიჩის გეგმის“ ათი პუნქტიდან, ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზის გამო, 1992 წელს საქართველოში შვიდი (პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების გარდა) ვერ განხორციელდა (პაპავა, 2002). მათ შორის განსაკუთრებით „შოკური თერაპიის“ მეთოდის არსის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გამოიყოს, როგორებიცაა საბიუჯეტო დოტაციებისა და სუბსიდიების გაუქმება და ბრუნვაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ განუხორციელებელი პუნქტების ნაწილი ვერც განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ფულადსაკრედიტო სისტემა არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისათვის იყო განწირული.

## § I.2. ქართული „შოკური თერაპიის“ დასასრული

1993 წლის გაზაფხულზე, როდესაც საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ დაკარგა იმედი, ფულის ნიშნები ჩამოეტანა რუსეთიდან, მან დროებითი ვალუტა – ქართული კუპონი შემოიღო, რომელიც, სამწუხაროდ, თავიდანვე არ გამოაცხადა ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, რის შედეგადაც მან (კუპონმა) მოსახლეობის ნდობა ვერ მოიპოვა.

1993 წელი და 1994 წლის პირველი ნახევარი საქართველოს მთავრობის ანტირეფორმატორულ ქმედებათა ვრცელი სპექტრით ხასიათდება (მაგალითად, გოცირიძე, 1999, გვ. 259-260; Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994; Papava, 1995; Папава, Беридзе, 1994). კერძოდ, ამ პერიოდში:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესაბამისი სამუშაოების დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როცა ეს თანხები სოფლებში „ჩაღწევამდე" სავალუტო ბაზარზე ტრიალებდა და შედეგად კუპონი აშშ დოლართან მიმართებაში უფასურდებოდა;
2. საქართველოს ეროვნული ბანკი გასცემდა ფულით არაუზრუნველყოფილ კრედიტებს („ჰაერის კრედიტებს") ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან საქონლის იმპორტისათვის, რის შედეგადაც, საქონლის იმპორტის ნაცვლად (რადგანაც არარსებულ ფულზე არავინ ვაჭრობდა), თვით ეს „ჰაერის კრედიტები" უკან გვიბრუნდებოდა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანაში არსებული ფულის მასის ეკონომიკურად არაუზრუნველყოფილ ზრდას იწვევდა;
3. კომერციული ბანკები ქვეყნის შიგნით ოვერდრაფტზე მუშაობდნენ, რაც ფულის მასის ზრდას ასევე განაპირობებდა;
4. 1993-1994 წლებში პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს არ გააჩნდა და მთავრობა გაწეულ ხარჯებს ძირითადად ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტებით აფინანსებდა.

ყოველივე ამან კუპონის მნიშვნელოვანი გაუფასურება გამოიწვია: 1994 წლის შემოდგომისათვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მილიონი კუპონი ღირდა, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი 5,4 მილიონ კუპონს აღწევდა (ორი – ოფიციალური და არაოფიციალური – გაცვლითი კურსის არსებობა კი იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, გარდა ხელ-

ფასების, სამივლინებო ხარჯებისა და მცირე ოდენობით სხვა მიმდინარე ხარჯებისა, საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის გამოტანა აკრძალული ჰქონდა, რის შედეგადაც აშშ დოლარში გამოხატული ნაღდი კუპონი უნაღდოსთან შედარებით საშუალოდ ორჯერ უფრო ძვირი იყო).

1993-1994 წლებში ინფლაცია თვეში საშუალოდ 50-70 პროცენტს აღწევდა. ამ დროს კუპონით მხოლოდ კომუნალურ მომსახურებათა გადახდა და პურის ყიდვა შეიძლებოდა (მოხმარების სხვა საგნების შეძენა კი მხოლოდ რუსულ რუბლზე იყო შესაძლებელი), რადგანაც ეს სფეროები ჯერ კიდევ სახელმწიფოს მიერ იყო მკაცრად რეგლამენტირებული (წისქვილკომბინატებისა და მსხვილი პურის საცხობების მესაკუთრე სახელმწიფო იყო, რომელიც, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, ხორბალზე, ფქვილსა და პურზე დაბალ ფასებს აწესებდა).

1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ეკონომიკა, როგორც წესი, მთლიანი შიგა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება. დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვება, უწინარეს ყოვლისა, იმ საწარმოებში შემცირდა, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე შეიქმნა.

1994 წელს საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო.

ხსენებული კრიზისული მოვლენები 1994 წლის მეორე ნახევრიდან იქნა შეჩერებული, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა (მაგალითად, ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი და სხვ., 1998; Papava, 1996b; Wang, 1998; Папава, 1998; Папава, Беридзе, 1998). თავისი არსით ამ დროს განახლებული ეკონომიკური რეფორმა არასრულფასოვნად გატარებული „ბალცეროვიჩის გეგმის" „შევსებას" ისახავდა მიზნად (პაპავა,

2005, გვ. 31-41), რაც სავსებით რეალური აღმოჩნდა სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობისა და ხელისუფლებაში პროფესიონალ ეკონომისტთა მოსვლის კვალობაზე.

1994 წლის სექტემბერში პურის ფასი 285-ჯერ, ხოლო ხელფასები საბიუჯეტო სექტორში და აგრეთვე, პენსიები 20 პროცენტით გაიზარდა, რამაც განაპირობა კუპონის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების პროცესის დაწყება (რამეთუ სწორედ პური იყო ის ძირითადი კვების პროდუქტი, რომლის კუპონზე შეძენა შეიძლებოდა). შემდგომში პურის ფასი შედარებით დაბალი ტემპებით იზრდებოდა და 1996 წლის ზაფხულში გათავისუფლდა რა სახელმწიფო რეგულირებისაგან, ფასების ნახტომისებური ზრდაც არ მომხდარა; ამ დროისათვის წისქვილკომბინატებისა და პურის საცხობების პრივატიზაციის პროცესიც დასრულდა.

1994 წლის ბოლოდან ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, მან გააუქმა საბანკო ანგარიშებიდან ფულის გატანის ზემოხსენებული შეზღუდვა, კომერციულ ბანკებს ოვერდრაფტის რეჟიმში მუშაობა აეკრძალა.

1995 წლიდან ქვეყანას უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის დეფიციტი ხარჯებთან მიმართებაში 53 პროცენტს შეადგენდა და რომლის დაფარვის წყარო არაინფლაციური უცხოური კრედიტები და გრანტები იყო.

ამ ღონისძიებათა შედეგად 1995 წლისათვის 1 აშშ დოლარის კუპონში გაცვლის კურსი სტაბილურად 1,3 მილიონ კუპონს შეადგენდა, ხოლო წლიური ინფლაცია 50 პროცენტს მცირედით აღემატებოდა. ამით მომზადდა ნიადაგი წარმატებული ფულის რეფორმის გატარებისათვის: 1995 წლის შემოდგომაზე ლარი, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება, იქნა შემოღებული ბრუნვაში; მისი გაცვლითი კურსი თავიდანვე სტაბილური იყო და 1 აშშ დოლარი 1,3 ლარს შეადგენდა (Kakulia, 2008). ამ გაცვლით კურსს საფუძვლად დაედო მთავრობის გაანგარიშებანი იმის შესახებ, რომ 1 კგ პურის ფასი საშუალოდ 30 თეთრი, ხოლო ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობა 5

თეთრი ყოფილიყო, რადგანაც მოსახლეობაში ძალზე დიდი იყო „ნოსტალგია“ კომუნისტებისდროინდელი ფასებისადმი, როცა პური 30 კაპიკი, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი კი 5 კაპიკი ღირდა. მოსახლეობამ ლარი მიიღო, რომელმაც ბრუნვიდან კუპონთან ერთად რუსული რუბლიც გამოდევნა.

გამოცდილება სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარებისა ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთა არჩევანიც შოკური თერაპია იყო, ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ. ამ დებულების სისწორეს საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს. კერძოდ, 1995 წელს, დროში გაწელილი შოკური თერაპიის სქემის რეალიზაციის შედეგად, ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა: მთლიანი შიგა პროდუქტი 1995 წელს 3 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1996-1997 წლებში ეს მაჩვენებელი წელიწადში საშუალოდ 10-11 პროცენტს შეადგენდა (პაპავა, 2012, გვ. 25).

## ლიტერატურა


**ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ., და სხვა. 1998.** *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები.* თბილისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.

**გოცირიძე რ., 1999.** *ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება.* თბილისი, „ფავორიტი“.

**პაპავა ვ., 1995.** *ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ – „სოციალურ სტიმულირებამდე“.* თბილისი, სმკ.

**პაპავა ვ., 2001.** ლეშეკ ბალცეროვიჩი და საქართველო. *მაკრო მიკრო ეკონომიკა,* № 12.

**პაპავა ვ., 2002.** *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.* თბილისი, „პდპ“.

**პაპავა ვ., 2005.** *პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა.* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**პაპავა ვ., 2012.** პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური რეფორმები. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკა.* ასათიანი რ. (მთ. რედ.). თბილისი, „სიახლე“.

**Balcerowicz L., 1995.** *Socialism, Capitalism, Transformation.* Budapest, CEU.

**Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D., 1994.** Georgia: From Planning to Hyperinflation. *Communist Economies & Economic Transformation,* Vol. 6, No. 2.

**Kakulia M., 2008.** Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In: *Central Eurasia: National Currencies.* Ed. by E. Ismailov. Stockholm, CA&CC Press, 2008.

**Milanovic B., 1998.** *Income, Inequality and Poverty during the Transition from Planned to Market Economy.* Washington, The World Bank.

**Papava V., 1995.** The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies,* Vol. 2, No. 2.

**Papava V., 1996a.** "Social Promotion" of Economic Reform in Georgia. *Economic Systems,* Vol. 20, No.4.

**Papava V., 1996b.** The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion." *Communist Economies & Economic Transformation,* Vol. 8, No. 2.

**Papava V., 1999.** The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies.* Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. Ed. by P. G. Hare. London, Macmillan Press.

**Papava V., 2002.** *Leszek Balcerowicz and Georgia.* Tbilisi, GFSIS, 2002.

**Papava V., 2011.** On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization,* Vol. 5, Is. 3-4.

**Schmitter P. C., 1994.** Dangers and Dilemmas of Democracy. *Journal of Democracy,* March.

**Wang J.-Y., 1998.** From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia. *Caucasica. The Journal of Caucasian Studies,* Vol. 1.

**Алексашенко С., 1990.** Экономическая реформа: польский путь. *Мировая экономика и международные отношения,* №7.

**Папава В., 1998.** О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика,* №2.

**Папава В., 2011.** К вопросу о первом поколении посткоммунистических реформ в экономике грузии (ретроспективный анализ). *Кавказ и Глобализация*, Том 5, Вып. 3-4.

**Папава В., Беридзе Т., 1994.** Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал,* № 3.

**Папава В., Беридзе Т., 1998.** Экономические реформы в Грузии. *Российский экономический журнал,* № 1.

## თავი II

# ეკონომიკური რეფორმების შეფერხება

## § II.1. რუსეთის დეფოლტის ზეგავლენა

ლარის შემოღების შემდეგ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დინამიკა ერთობ გაფერმკრთალდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმით, რომ უმაღლეს ხელისუფალს არ აღმოაჩნდა იმის პოლიტიკური ნება, რათა წარმატებით წამოწყებული რეფორმები იმავე აღმავლობით გაეგრძელებინა (პაპავა ვ., 2012, გვ. 25-26). ამასთან ერთად, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მომხდარმა დეფოლტმა[1] უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

რუსეთის 1998 წლის აგვისტოს საფინანსო კრიზისის (რისი პროგნოზიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს საერთოდ არ გააჩნდა (მაგალითად, Зевин, 2001, сс. 17-18; Кузнецов, 2002, с. 47)) ზეგავლენა საქართველომ უკვე სექტემბრის დასაწყისში იწვნია. რუსეთის ბაზარზე აშშ-ის დოლარის მწვავე დეფიციტის შედეგად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყველაზე მწვავედ

---

1 დეფოლტი ნიშნავს სასესხო ხელშეკრულების შეუსრულებლობას, როცა პროცენტის ან (და) ძირითადი თანხის დროულად გადახდა არ ხდება. დეფოლტი 1998 წელს რუსეთში განვითარებული კრიზისის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუმცა ლიტერატურაში ამ კრიზისის სახელად სწორედ ტერმინი დეფოლტი არის ფართოდ გავრცელებული.

ეს იმ ქვეყნებში გამომჟღავნდა, რომელთათვისაც რუსეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო.

საქართველოს მდგომარეობა, სხვა თანაბარ პირობებში, იმანაც დაამძიმა, რომ მის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ბაზები გამოყენებული იქნა აშშ-ის დოლარის ბანკნოტების გაუფასურებული რუბლის ბანკნოტებით შესასყიდად. უკონტროლოდ შემოტანილი რუბლით შესყიდული აშშ-ის დოლარის ბანკნოტები რუსეთში გასატანად იყო გამოყენებული; ამასთან, აშშ-ის დოლარების რუსეთში გატანის მიზნით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის, საქართველოს სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებული ტერიტორიის გავლით, რუსეთის იაფფასიანი კონტრაბანდული ტვირთების იმპორტი გაიზარდა. ყოველივე ამან საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა ლარის კურსზე, რომელსაც იმჟამად საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკთაშორის ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციების განხორციელებით არეგულირებდა. აშკარა შეიქმნა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ლარის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად რეზერვში არსებული დოლარების ხარჯვა მოუწევდა, რაც, ბუნებრივია, რეზერვის შესაძლო ამოწურვის გამო, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო, რომ ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აღარ გაეგრძელებინა, ლარის კურსის რეგულირება შეეწყვიტა, რაც ეროვნული ბანკის ხელთ არსებული დოლარის რეზერვის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. ამ რეკომენდაციის გაზიარება აშკარად სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანდა: ლარის კურსის რეგულირების შეწყვეტა მის ვარდნას მყისიერად გამოიწვევდა, რასაც სავალუტო ბაზარზე პანიკა მოჰყვებოდა, და რაც თავის მხრივ, ლარის კურსს კიდევ უფრო დასცემდა. ასეთ ვითარებაში დაიწყებოდა კომერციული ბანკებიდან ანაბრების გატანა და ანგარიშების დახურვა, რაც ამ ბანკების უმრავლესობის გაკოტრებას და შესაბამისად იმ ფირმების და მოსახლეობის იმ ნაწილის გაკოტრებასაც გამოიწვევდა, ვისი თანხებიც ამ ბანკებში იქნებოდა განთავსებული.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის უდიდეს დამსახურებად უნდა იქნას მიჩნეული, რომ მათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეს, ტაქტიკური თვალსაზრისით, აშკარად მცდარი რეკომენდაცია არ გაიზიარეს, და ლარის თანდათანობითი დევალვაციით ბანკებს, მთლიანად მოსახლეობას მისცეს სიგნალი, მათ ხელთ არსებული თანხები ლარებიდან დოლარებში გადაეყვანათ. ეს ოპერაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს ათეულობით მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ იმ მომენტისათვის, როცა მან ბანკთაშორის ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციები შეწყვიტა, ლარის კურსი უკვე იმდენად დევალვირებული იყო, რომ მისი ნახტომისებური დაცემა ძალზედ დიდი აღარ იყო და, რაც მთავარია, კომერციული ბანკებისათვის საშიში ვერ იქნებოდა (რადგანაც მათ ხელთ ლარის მინიმალური ოდენობა ჰქონდათ შემორჩენილი). ამგვარმა ტაქტიკურმა ნაბიჯებმა იმის ობიექტური შესაძლებლობა შექმნა, რომ რუსეთის კრიზისის ტალღის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხედავად, ამ მიზეზით საქართველოს არც ერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულა (კაკულია, 2001, გვ. 171-229; პაპავა ვ., 2000, გვ. 139-143).

რუსეთის დეფოლტის უარყოფითი ზეგავლენის დაძლევის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარება, სამწუხაროდ, საერთოდ შეჩერდა.

## § II.2. ლეშეკ ბალცეროვიჩი და არაეკონომისტების არაეკონომიკური პოლიტიკა

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ, არავინ, მსოფლიოში არცერთმა ეკონომისტმა არ იცოდა, კომუნისტური ხასიათის ეკონომიკიდან საბაზრო ანუ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა როგორ უნდა განხორციელებულიყო.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში პოსტკომუნისტური ქვეყნების ლიდერები არა მარტო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, არამედ მსოფლიოში ცნობილ ცალკეულ ეკონომისტებს რჩევა-დახმარებისათვის მიმართავდნენ.

მას შემდეგ, რაც იმ ეპოქიდან სულ ცოტა ათმა წელმა განვლო, რეფორმების გზაზე მდგარ თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეროვნულ პროფესიონალთა კადრები გამოიკვეთა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის მეტ-ნაკლებად მდიდარი გამოცდილებაც დაგროვდა. იმისდა მიუხედავად, რომ ამგვარი გარემო საქართველოშიც შეიქმნა, 2000 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, აშშ-სადმი ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად ცნობილი პოლონელი ეკონომისტის, პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის მოწვევა დაეფინანსებინა, რაც აშშ-ის მიერ დადებითად იქნა გადაჭრილი.

მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალის, პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის პრეზიდენტის პირადი მრჩეველის რანგში მოწვევას იმითაც შეიძლება მოეძებნოს გამართლება, რომ საქართველოს მთავრობაში ეკონომიკური პოსტები არაეკონომისტებს ეკავათ, თუმცა არც ეკონომისტის დიპლომის მქონეთ ჰქონდათ ეკონომიკის სათანადო ცოდნა, რის აუცილებლობაზეც პროფესორი ბალცეროვიჩი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის მიუთითებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უცხოელი პროფესიონალის საქართველოში მოწვევის ინიციატორთა ჩანაფიქრით მისი უმთავრესი ფუნქცია საგანმანათლებლო უნდა ყოფილიყო.

ვიდრე ბოლო დებულების ამსახველ მაგალითებს მოვიყვანთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოს პრეზიდენტისადმი მიცემული რჩევები საზოგადოებისათვის ძალზედ გასაიდუმლოებული აღმოჩნდა და ხანდახან იმის შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა, რომ ისინი მინისტრებისთვისაც არ იყო ცნობილი. თავდაპირველად პოლონელი პროფესორი თბილისს კვარტალში ერთხელ მაინც ეწვეოდა და ეს

არც იყო გასაკვირი, რადგან საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად დამტკიცებიდან რამდენიმე თვეში, ის თავის სამშობლოში, პოლონეთში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დაინიშნა. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ხშირი ჩამოსვლა სულაც არ იყო აუცილებელი, რადგანაც მისი მაღალპროფესიული გუნდი თბილისში პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა, და რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკას სულაც არ სჭირდა რაიმე ექსტრაორდინალური, რაც, შორეული პოლონეთიდან სათანადოდ არ გამოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, მისი და მისი გუნდის რჩევები (ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომლებიც მათი „კონსპირაციულობის" მიუხედავად საზოგადოებისათვის მაინც ცნობილი იყვნენ) არ სცდებოდა იმ ჩარჩოებს, რაც აკადემიური წრეებიდან მისი ქართველი კოლეგებისთვისაც ისედაც კარგად იყო ცნობილი (პაპავა ვ., 2012, გვ. 26-29).

განვიხილოთ პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის საზოგადოებისათვის ცნობილი რამდენიმე რეკომენდაცია:

1. ერთ-ერთი პირველი ჩამოსვლისთანავე პროფესორ ბალცეროვიჩის რეკომენდაცია იყო, საქართველოს ხელმძღვანელობა რაც შეიძლება მალე გარკვეულიყო, როგორი ეკონომიკური სისტემა უნდა აშენებულიყო ქვეყანაში და შესაბამისი არჩევანიც გაეკეთებინა. სამწუხაროა, რომ ქართველ დამხვდურთა შორის არ მოიძებნა ვინმე (არ არის გამორიცხული ელემენტარული უცოდინარობის გამო), რომელიც უპასუხებდა, რომ ასეთი არჩევანი კარგად თუ ცუდად უკვე კონსტიტუციის მიღებით ხუთი წლის წინათ, 1995 წელს განხორციელდა და რომ 1995 და 2000 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხმა (მართალია ხშირ შემთხვევაში გაუაზრებლად) მხარი დაუჭირა არა უბრალოდ ედუარდ შევარდნაძეს, არამედ მის პროგრამებსაც, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკური მოწყობის პრობლემები სათანადოდ იყო ასახული;

2. ბალცეროვიჩის თბილისური ჯგუფის დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს მთავრობაში 2000-2001 წლებში კოორდინაციის არარსებობამ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან საქართველოს მთავრობას მიუთითა იმის შესახებ, რომ თავის საქმიანობაში საქართველოს კონსტიტუციისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის" შესახებ კანონს არ ემორჩილებოდა. ამ საკითხზე ქართველი ექსპერტებიც არაერთხელ მიუთითებდნენ მწვავედ, თანაც, ბალცეროვიჩის თბილისში ჩამოსვლამდეც;

3. პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი გახმაურებული რეკომენდაციის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული სისტემა (როცა საქართველოში ფიზიკური პირის შემოსავლის ოდენობის ზრდის კვალობაზე ზრდადი – 12, 15, 17 და 20 პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთები გამოიყენებოდა), პროპორციული სისტემით (ერთიანი 15 პროცენტიანი განაკვეთით) უნდა შეცვლილიყო, რაც ამ სახეობის გადასახადის ამოღების ადმინისტრირებას თვისებრივად გაამარტივებდა. ეს წინადადება საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1992 წელს წარედგინა და შემდეგაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშეც არაერთხელ დასმულა (პაპავა ვ., 2000, გვ. 103-107), რაც, სამწუხაროდ, გათვალისწინებულ არ ყოფილა. იმისდა მიუხედავად, რომ პოლონელ ეკონომისტთა ეს რჩევა აშკარად გასათვალისწინებელი იყო, საქართველოს მთავრობამ დაბლოკა;

4. 2000 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით იმ საწარმოთა წილები, რომელთა არანაკლებ 51 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, სამართავად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს დაუბრუნდათ. ბუნებრივია, რომ ბალცეროვიჩის ჯგუფმა მართვის ამ სოციალისტური „ელფერის" და ინტერესთა კონფლიქ-

ტის შემცველი ბრძანებულების გაუქმება მოითხოვა; აღსანიშნავია, რომ მოცემული ბრძანებულების ჯერ კიდევ მისი განხილვის სტადიაზე წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, რომლის დამოუკიდებელი სტატუსი, ამ ბრძანებულების მიღებიდან, სამ თვეში საერთოდ გაუქმდა კიდეც და ის გადაკეთდა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროდ, რაც თავისი ბუნებით ინტერესთა კონფლიქტის შემცველი იყო.

5. ბალცეროვიჩის თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი რეფორმატორული წინადადება საპენსიო სისტემას ეხებოდა. მათი აბსოლუტურად სწორი შეფასებით საქართველოში ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობდა, ხოლო 14 ლარიანი პენსია თავისი ბუნებით არ ასრულებდა (და ვერც შეასრულებდა) პენსიის, როგორც ასეთის ფუნქციას. ქართული სახელმწიფოს მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხსენებული ჯგუფი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ აქცენტი კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნაზე ყოფილიყო გადატანილი, ხოლო სახელმწიფოს უმთავრესი ყურადღება მოსახლეობის მიმართ დაგროვილ ძველ დავალიანებათა (რომელიც ჯამში, სამწუხაროდ, ასეულობით მლნ. ლარს აღემატებოდა) გასტუმრებასა და მიმდინარე ვალდებულებათა დროულ დაფარვაზე უნდა გადაეტანა. საქართველოს მთავრობის პოზიცია (რასაც ზურგს, სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკიც უმაგრებდა) კი მიზნად კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნასთან ერთად სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირებასაც ისახავდა (და მას გარკვეული აზრით უპირატესობასაც კი ანიჭებდა). სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისადმი მნიშვნელოვანი დავალიანებისა და ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისის პირობებში სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირებაზე პრიორიტეტული ზრუნვა ფუჭი გარჯა იყო, ხოლო ამის გამო კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნის შეფერხება კი – აშკარა შეცდომა.

პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის გაუთვალისწინებელ რეკომენდაციათა ჩამონათვალი, საზოგადოებისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ ბევრად უფრო ვრცელი იქნებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ მათი გასაიდუმლოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ 2000-2001 წლების საქართველოს სამთავრობო გუნდის სუსტი მხარეები დამალულიყო.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს 2000-2003 წლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, უფრო სწორედ კი არაეკონომიკური პოლიტიკა ბალცეროვიჩისეულ „ტყუპ ძმებზე" – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ზეწოლასა და უცოდინრობაზე იყო დამყარებული. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტყუპისცალები ურთმანეთოდ როდი მოქმედებენ – ისინი ერთმანეთს აძლიერებენ (ბალცეროვიჩი, 2002, გვ. 12-14).

სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ ვითარებაში საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი ჩამოყალიბდა, როცა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა ქრონიკულად ჩავარდნილი იყო, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას სულ უფრო ამძიმებდა; ისინი თვეობით ვერ ახერხებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხების მიღებას, ეს კი მომავალი „ვარდების რევოლუციის" ეკონომიკურ წანამძღვრებს ქმნიდა (Papava, 2006; Папава, 2004).

პროფესორ ბალცეროვიჩის პრეზიდენტის მრჩევლის რანგში მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ ჩვენში „უცხოელ მღვდელსაც არ აქვს შენდობა". ყოველივემ კი ცხადყო, საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროება „...ის, ვისაც გააჩნია ჭკუის გამომყენებელი ჭკუა..." (პაპავა გ., 2000, გვ. 39).

## ლიტერატურა

**ბალცეროვიჩი ლ., 2002.** *სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში.* თბილისი.

**კაკულია მ., 2001.** *სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში.* თბილისი, სესპსკი.

**პაპავა ვ., 2000.** *საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში.* თბილისი, „ფინანსები".

**პაპავა ვ., 2000.** *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები.* თბილისი, „იმპერიალი".

**პაპავა ვ., 2012.** პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური რეფორმები. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკა.* ასათიანი რ. (მთ. რედ.). თბილისი, „სიახლე".

**Papava V., 2006.** The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *Orbis. A Journal of World Affairs,* Vol. 50, No. 4

**Зевин Л., 2001.** МВФ и Россия: 8 лет трудного диалога. *Мировая экономика и международные отношения,* №4.

**Кузнецов В., 2002.** Отношения России с МВФ. *Мировая экономика и международные отношения,* №7.

**Папава В., 2004.** Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии. *Общество и экономика,* №7-8.

თავი III

# საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი რევოლუციამდელი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში

## § III. 1. რეფორმისათვის საჭირო ფული

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავიდანვე უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის საფუძვლების ცვლილების აუცილებლობით გახდა განპირობებული.

ბუნებრივია, რომ პასუხი კითხვაზე, თუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში საზოგადოების ეკონომიკურ მოწყობაში რა ცვლილება და თან როგორ უნდა გატარდეს, ეკონომიკურ მეცნიერებას უნდა გაეცა. სამწუხაროდ, ეკონომისტები ამ ტრანსფორმაციული პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე პრინციპულად შეუძლებელი იყო დასავლეთში თუნდაც ერთი იმ დონის ეკონომისტის მოძებნა, რომელიც ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით, პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობისათვის ყოვლისმომცველი და იმავდროულად მართებული რეკომენდაციების მიცემას შეძლებდა; ბუნებრივია, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეზღუდულობის გამო, ხსენებული ტიპის ეკონომისტი მით უფრო ვერც კომუნისტურ სივრცეში მოიძებნებოდა. ასეთ ვითარებაში, საუკეთესო შემთხვევაში, რჩევის მიმცემი ეკონომისტის პროფესიული ინტუიციის გათვალისწინებით, ოპტიმალურთან დაახლოებულად ისეთი რჩევა

შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო ტიპის რეფორმების გამოცდილების ცოდნას ეფუძნება.

კომუნისტური რეჟიმის დამხობისთანავე, არაერთი პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანის ურთულესი პრობლემის საკუთარი ძალებით გადაწყვეტის ცდუნების წინაშე აღმოჩნდა; ცალკეულ შემთხვევაში ამ მთავრობათა წევრები ემიგრაციიდან დროებით დაბრუნებულ თანამემამულეთა, თუ ქვეყანაში „გავლით" მყოფი შარლატანების „უფასო" რჩევებით სარგებლობდნენ. ეს უკანასკნელნი კი ხშირ შემთხვევაში ვითომდა ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერისა და მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ცდილობდნენ, ქვეყანაში მილიარდობით აშშ-ის დოლარი მოეზიდათ, რომლის წყაროც ნარკობიზნესი, იარაღის არალეგალური წარმოება ან (და) ვაჭრობა და სხვა, ანუ „შავი" ფულია. ასეთი ფულის მოპოვების მექანიზმი კი სხვადასხვა ჯურის შუამავლისათვის სახელმწიფოს მიერ ფანტასტიკურად დიდ თანხაზე (ათეულობით, ასეულობით მილიონ და მილიარდობით დოლარზე) კრედიტების აღებისათვის საფინანსო საგარანტიო წერილების მიცემას ეფუძნება.

იმის გათვალისწინებით, თუ რა გზით იქმნება „შავი" ფული და ამდენად რა ტიპის ადამიანებია ამ ბიზნესში ჩართული, იბადება კითხვა: თუ „შავი" ფული ადამიანების მოტყუების, მათი გაუბედურების ხარჯზე იქმნება, მაშინ ამ „შავი" ფულის მაგნატები მისი „გათეთრების" დროს კეთილშობილნი რატომ იქნებიან? რა თქმა უნდა, ალბათობა იმისა, რომ თაღლითი ნებისმიერ გარიგებაში თაღლითად დარჩება, ძალზედ დიდია.

უნდა აღინიშნოს, რომ უწინარეს ყოვლისა, უკიდურესი გაჭირვების გამო საქართველომაც სცადა „შავი" ფულის მოსაზიდად საფინანსო გარანტიების გამოყენება და 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ბანკისა თუ ფინანსთა სამინისტროს საგარანტიო წერილები მილიარდობით დოლარზე გაიცა. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ ამ გზით, პრაქტიკუ-

ლად, ვერანაირი თანხის მოზიდვა ვერ მოხერხდა, ხოლო ეს გარანტიები საერთაშორისო სპეკულაციის საგანი გახდა და რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარევა, საქართველო გაცილებით უფრო მძიმე საფინანსო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ქვეყნის საჭიროებისათვის „შავი" ფულის მოზიდვის არაპერსპექტიულობის გამო, სწორედ ლეგალური გზაა ის ერთადერთი გამოსავალი, რომლითაც ეკონომიკური რეფორმისათვის საჭირო საფინანსო მხარდაჭერის მოპოვება და ადამიანთა მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება შეიძლება.

იმ დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, ლეგალური გზით საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტები (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) და მექანიზმები მსოფლიოში უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში 1992 წელს გაწევრიანდა, მაშინ როცა მათი წევრსახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კვოტა (ანუ გადაწყვეტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციებში 0,08 პროცენტია (მაგალითად, Круглов (ред.), 1998, с. 404; Смыслов Д. В., 1993, сс. 178, 191).

როგორც აღინიშნა საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში გაწევრიანებისას უკვე ჩამოყალიბებული იყო მსოფლიო საფინანსო წესრიგი, რაც „თეთრი" ფულის მისაღებად პრაქტიკულად ერთადერთი ლეგალური გზაა (პაპავა, 2002, გვ. 352-401; 2005, გვ. 197-236). ასეთი წესრიგისადმი „დამორჩილება" კი საქართველოს ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ერთადერთი რეალური გზაა.

## § III.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიღწევები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში პირველად 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. ამ პირველ შეხვედრას ურთიერთგაცნობის დატვირთვა ჰქონდა. ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით თავის რეკომენდაციებს უტოვებდა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება (ცალკეული გამონაკლისის გარდა), სამწუხაროდ ამ რეკომენდაციებს და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდა (გოცირიძე, 1999, გვ. 259), რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა:

- 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონია პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი;
- კონსტიტუციური და საერთოდ საკანონმდებლო ვაკუუმის, უკვე მიღებული კანონების არასრულყოფილების და რაც მთავარია, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო, შეუძლებელი იყო საგადასახადო შემოსავლების თუნდაც მინიმალურ დონეზე მობილიზება;
- დროებითი ვალუტის – ქართული კუპონისადმი ჩამოყალიბდა სახელისუფლებო ნიჰილიზმი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულის საკრედიტო, თუ საბიუჯეტო ემისიამ (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მიზნით (გოცირიძე, 1999, გვ. 259-260)) 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაცია გამოიწვია და ინფლაციამ საშუალოდ თვეში 50-70 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხსენებულ შედეგებს ამძიმებდა ომისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი ქვეყნის საომარ მოქმედე-

ბებში მონაწილეობა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე. წ. „ანტიკრიზისული პროგრამა“ ედება საფუძვლად საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვას; კერძოდ, უკანასკნელის რეკომენდაციები სასურველობის კატეგორიიდან აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა რანგში გადადის, რასაც თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს (ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი და სხვ., 1998).

აქედან გამომდინარე „ვარდების რევოლუციამდე“ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობა საქართველოში შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ (პაპავა, 2000; Papava, 2003a, 2003b; Папава, 2001, 2002):

– *პირველ ეტაპზე*, 1991-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს, თუმცა ეს უკანასკნელი „ურჩი ბავშვივით“ მათ არად აგდებს;
– *მეორე ეტაპზე*, 1994 წლიდან დღემდე, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისათვის აუცილებლად შესასრულებელი ხდება იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხშირად ცხოვრებაში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელისათვის არც ადვილი გასატარებელია და არც ყოველთვისაა მოსაწონი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე წარმატებული შედეგი ის არის, რომ საქართველოში საფინანსო სისტემა შეიქმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა დამყარდა. უფრო კონკრეტულად კი აუცილებელია აღინიშნოს (პაპავა, 1995გ; Papava, 1995, 1996, 1999; Папава, 1998; Папава, Беридзе, 1994, 1998):

1. ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესებს არეგულირებს;
2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რამაც ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა შექმნა (მიმოქცევიდან გამოიდევნა რუსული რუბლი და სტაბილურ ლარს მიენიჭა ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალების ფუნქცია);
3. პურზე ფასების განთავისუფლებით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;
4. 1995 წლიდან მოყოლებული პრინციპში, წლის დასაწყისიდან პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა;
5. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციები გამიჯნულია; ამასთან კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მხრიდან მარეგულირებელი ნორმატიული პარამეტრები აქვს დამტკიცებული, რომელთა საშუალებითაც საბანკო სისტემაზე სახელმწიფოს კონტროლი ხორციელდება;
6. ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;
7. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
8. უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის მიღწევა და ამ გზით საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახურებისა და ზოგადად გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნება.

აუცილებელია ხაზი გაესვას საბიუჯეტო ხარჯებში ჯანდაცვისა და განათლების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისათვის მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან აქტიური პოზიციის დაკავებას. აქვე

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში მსოფლიო ბანკის პროგრამების მხარდაჭერა სისტემატურად ხორციელდება.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი, რაც საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობას ჰქონდა და ზოგადად აქვს, ისაა, რომ ხელისუფლების მხრიდან *„ხალხური თვითშემოქმედების“* ელემენტების (მაგალითად, „გაბერილი“ საგარეო ვალების წარმოქმნა ხელოვნურად გაზრდილი ე. წ. საკლირინგო ფასების გამოყენებით, ან ხორბალზე და ფქვილზე ადგილობრივი და იმპორტიორი მეწარმეების განსხვავებული რეჟიმით დაბეგვრა და ამ საკითხის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების მცდელობა, ან საგადასახადო ამნისტიის ნების გამოცხადება და შესაბამისი პროგრამის შეთანხმების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა, ან ცალკეულ პიროვნებებზე „მოსარგებად“ ქვეყნის საფინანსო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის „დამახინჯება“, ან სახელმწიფო ბიუჯეტის საგეგმო დავალებათა შესასრულებლად კომერციული ბანკების სესხების უშუალო გამოყენება, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს, ან გაუცემელი პენსიების ნაცვლად სხვადასხვა სახეობის პროდუქტების დარიგება და მომსახურების გაწევა და ა. შ.) გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი; რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური ზეწოლა, მაშინ, მაგალითად, პენსიების ნაცვლად ფქვილის დარიგება (ან სხვა მსგავსი ქმედება) იქნებოდა არა ერთჯერადი აქტი საქართველოს მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში, არამედ იგი საერთო ყოვლისმომცველ კანონზომიერებად იქცეოდა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსებს სრულად დაანგრევდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების უშუალო მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკია და ისინი მისი რეზერვების გასაზრდელად გამოიყენება. პირველი ასეთი კრედიტი საქართველომ 1994 წლის ბოლოს მიიღო და იმ დღიდან მოყოლე-

ბული 2003 წლის დეკემბერში დასამთავრებელი პროგრამის ჩათვლით, ლარის სტაბილურობაზე 520 მლნ. აშშ დოლარამდე მოდის (სპაუისსს, 2002, გვ. 14-18).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის შედეგად 1996-1997 წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის ზომიერი დონე ჩამოყალიბდა. მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო პროექტები ვერ განხორციელდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ქმედითი ზომები საქართველოში საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად, სხვა თანაბარ პირობებში, განახლებული „დიდი აბრეშუმის გზის“ (შევარდნაძე, 1999; Shevardnadze, 1999) რეალიზაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობა მისი ეკონომიკის განვითარებისაკენ, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მყარი ფინანსური საფუძვლების შექმნისაკენ, სახელმწიფო მოხელეთა საბაზრო ცნობიერების განმტკიცებისაკენ, ფსევდორეფორმატორული „ხალხური თვითშემოქმედების“ აღკვეთისაკენაა მიმართული.

ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან საზოგადოდ (მაგალითად, პაპავა, 2011, გვ. 324-357), და კერძოდ საქართველოსთან (პაპავა, 2000; Papava, 2003a, 2003b; Папава, 2001, 2002), ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან (Gomulka, 1995, pp. 14-19) მიმართებაშიც.

## § III.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული სხვადასხვა შეცდომა განსხვავებული ბუნებისა და მნიშვნელობისაა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ შეცდომების ნაწილი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ისინი ფონდის მიერ არა მარტო საქართველოში მუშაობისას, არამედ უფრო სხვა სახელმწიფოებშიც იქნა დაშვებული.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა საწყის ეტაპზე უხდებოდა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც ნებსით (სავარაუდოდ თავისი საქმის გასამარტივებლად), თუ უნებლიეთ (რაც კიდევ უფრო მეტადაა სავარაუდო) საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს) ფონდიდან გამოგზავნილი მისიის წევრები: სამთავრობო მხარე ყოველი მორიგი საფინანსო ტრანშის მიღების პირობად, ცალკეულ შემთხვევაში, თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს იტვირთავდა, რომელთა შესრულება დადგენილ ვადაში (როგორც წესი, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში) ძალზედ რთული იყო; ამგვარ ვალდებულებათა აღების პასუხისმგებლობა ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაცნობიერებული, ანუ რა დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდებოდა მთავრობა მათი შესრულებისას. რეფორმატორები ამა თუ იმ რთულად გადასაწყვეტ პრობლემებზე არაპოპულარული მეთოდების გამოყენებას, როგორც წესი, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა, თუ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს გადააბრალებდნენ (იმავეს დღესაც აკეთებენ), რითაც ამ ორგანიზაციებისადმი საზოგადოებრიობისა და განსაკუთრებით მეწარმეთა უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს (მესხია, 1999, გვ. 12).

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველა მოთხოვნა დაფიქსირებულია, როგორც

მთავრობის განცხადება (და არა როგორც ფონდის მოთხოვნა), რის გამოც ნებისმიერ სადისკუსიო სიტუაციაში ფონდის ექსპერტები, როგორც წესი, მთავრობას შეახსენებენ, რომ ეს მათ მიერ აღებული ვალდებულებაა, ანუ მათი პოზიციაა და არა ფონდის. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეულ შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა თავის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების წარმმართველ სამთავრობო გუნდს (და ისიც არა ყოველთვის ყველა მის წევრს) ჰქონდა აღებული, მაშინ, როცა მთავრობის (და პარლამენტის) ზოგიერთ სხვა წევრს, სამწუხაროდ, არც კი ესმოდა (და ალბათ არც უნდოდა, რომ გაეგო), თუ რას ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით ვალდებულებათა შესრულება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში საეჭვო რეპუტაციის ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირი, მისივე მოთხოვნით, მოლაპარაკების პროცესში ერთვებოდა და მათ მიერ შემოთავაზებული თუნდაც მართლა რეფორმატორული და გამართლებული საკითხის (რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რადგანაც უმთავრესად ასეთი შეხვედრებისას, როგორც წესი, აშკარად მცდარი და ყოვლად მიუღებელი წინადადებები წამოიჭრებოდა, რაც საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილე პირს და ირიბად იმ სტრუქტურას, სადაც ეს პირი უშუალოდ მუშაობდა, სახელს უტეხავდა) გატანის შესაძლებლობას (ამ პირის შელახული ავტორიტეტის გამო) საბოლოოდ ბლოკავდა, რის გამოც, ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამებისადმი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისას ზეგავლენა არასასურველი იყო; ცალკეული პოლიტიკოსის, თანამდებობის პირის, თუ საზოგადოების რიგითი წევრის შთაბეჭდილება მცდარია, თუკი ფიქრობს, თითქოს საქართველოს მხრიდან ფონდთან ოფიციალურ მოლაპარაკებაში მონაწილე სამთავრობო გუნდის წევრებს კომპეტენტურობა და პრინციპულობა არ ყოფნიდათ, დისკუსიაში არგუმენტების მოძიების უნარი აკლდათ, და თუ კი მოლაპარაკების მაგიდას თვითონ მიუსხდებოდნენ, უთუოდ წარმატებასაც მიაღწევდნენ. ასეთ

პირობებში, რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის და პარლამენტის ხელმძღვანელობის მტკიცე რეფორმატორული პოზიცია, საქართველო იმ ზემოთმოყვანილ წარმატებებს ვერ მიაღწევდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მუშაობის ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ადვილად შეიძლება აიხსნას, რომელი შეცდომის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი და რომლის – პრინციპულად შეუძლებელი.

სანამ უშუალოდ შეცდომების განხილვას შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილია უპირველესად განიმარტოს მათი უმრავლესობის არსი, რათა გაადვილდეს ყოველივეს გაგება. კერძოდ, რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებულ შეცდომათა უმრავლესობა საგადასახადო პრობლემატიკას ეხება, აუცილებელია იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, უფრო კონკრეტულად კი იმ იდეალური საგადასახადო სისტემის მახასიათებლების განსაზღვრა, რის საფუძველზეც ცალკეული შეცდომის ბუნება და მნიშვნელობა იქნება შეფასებული.

დიდი ბრიტანელი საგადასახადო რეფორმის თვალსაჩინო მკვლევრის, ფილიპ ჩაპელის აზრით (რასაც სრულად ვეთანხმებით) იდეალური საგადასახადო სისტემა შემდეგ ექვს ძირითად პრინციპს უნდა ემყარებოდეს (Chappell, 1990, pp. 41-44):

1. *სიმარტივე* (Simplicity): სისტემის მიზანი ის უნდა იყოს, რომ ყოველ ინდივიდს, ე. წ. ექსპერტების დახმარების გარეშე, თვითონ შეეძლოს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების გაგება;
2. *სიცხადე* (Plainness): გადასახადი ერთიანი პროპორციული განაკვეთით (Single Flat Rate) უნდა იყოს;
3. *განაკვეთი* (Rate): გადასახადის განაკვეთი მისაღები შემოსავლის საჭირო ოდენობიდან განისაზღვრება, ამასთან, განაკვეთის სიდიდე ისეთი უნდა იყოს, რომ გადასახადის არგადახდა მეწარმისათვის წამგებიანი აღმოჩნდეს;

4. *უნივერსალურობა* (Universality): გადასახადი ყველგან ერთიანი განაკვეთით უნდა გამოიყენებოდეს და არავითარი შეღავათები და პრივილეგიები არ უნდა არსებობდეს, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა, მაგალითად, ინვალიდებისათვის სპეციალური პროგრამებითა და გრანტებით და არა საგადასახადო შეღავათებით უნდა განხორციელდეს;
5. *სრულყოფილება* (Comprehensiveness): გადასახადებით შემოსავლებიც უნდა დაიბეგროს, რადგანაც მარტო ხარჯების დაბეგვრა ეკონომიკურად არასასურველია;
6. *მიუკერძოებლობა* (Even-Haudedness): გადასახადებმა დაზოგვის სხვადასხვა ფორმებსა და, იდეალურ შემთხვევაში, ხარჯვასა და დაზოგვას შორის დიდი შეუსაბამობა არ უნდა გამოიწვიოს.

ბუნებრივია, რომ იდეალური საგადასახადო სისტემა პრინციპში არ არსებობს, მაგრამ რეალური საგადასახადო სისტემის ავკარგიანობის შესაფასებლად მისი მნიშვნელობა აშკარაა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული შეცდომები, ძირითადად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილოთ.

**პოლიტიკური შეცდომები.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. მისი საქმიანობის დასაწყისშივე საქართველოში სწორედ ამგვარმა შეცდომამ იჩინა თავი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი რჩევა „რუბლის ზონაში" დარჩენისა და ეროვნული ვალუტის არ შემოღების შესახებ. ასეთი რჩევა მან საქართველოს მთავრობას 1992 წლის თებერვალში მისცა. ძნელია იმის გარკვევა, რა მოტივით ხელმძღვანელობდა ფონდი (უკეთეს შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერ იმპერიალისტური განწყობის მქონე ძალებს სიფრთხილით მოეკიდა, რის გამოც ნგრევადი იმპერიის სავალუტო სივრცის რევოლუციურ რღვევას არ ჩქარობდა), როცა ასეთ რეკომენდაციას იძლეოდა, მაგრამ თუკი გავიხსენებთ,

რომ ფონდის ეს რჩევა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე ვრცელდებოდა, ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფონდისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ვალუტის ერთ ემიტენტთან ემუშავა და არა თორმეტთან; შესაბამისად, საკმარისი იქნებოდა ერთი მისიის და არა თორმეტის შექმნა, რის გამოც ხარჯები დაიზოგებოდა; აქ ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ ქვეყნებთან მუშაობს, რომლებსაც საკუთარი ვალუტა აქვთ (მაგალითად, Lavigne, 1995, p. 207).

არ არის გამორიცხული, საერთაშორისო სავალუტო ფონდი „რუბლის ზონის" შენარჩუნებას იმიტომ უჭერდა მხარს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით აღმოცენებულ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ვალუტის გამოსაშვებად არსებულ შესაძლებლობებს სკეპტიკურად უყურებდა; ამასთან, ფონდის შეხედულებით, ჯერ რეალური მაკროეკონომიკური სტაბილურობა იყო მისაღწევი, და ფულის რეფორმა ეროვნული ვალუტის შემოღების მიზნით მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელებულიყო (რაც ჩვენი ღრმა რწმენით, აშკარა შეცდომაა, რადგანაც საკუთარი ვალუტის უქონლობის შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ფულის მასის რეგულირება შეუძლებელია, რის გამოც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩეს); როგორც შედეგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ უნდოდა ახალი ვალუტის კრახში დადანაშაულებულიყო (Ослунд, 1996, с. 142).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ რადიკალურად განწყობილი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს შეცდომა იმან გამოიწვია, რომ ის ან მისი „დონორი" წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელობა ვერ გაერკვა იმ პოლიტიკურ სიტუაციაში (ან არც კი უცდია გარკვეულიყო), რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისას ჩამოყალიბდა; მან (ისევე როგორც „დონორი" წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელობამ) ამ იმპერიული სახელმწიფოს შექმნის ისტორია ვერ (ან არ) გააანალიზა, იმ ეროვნულ და კულტურულ თავისებურებებს არ ჩაწვდა, რომლებიც საქართველოს და ზო-

გიერთ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას რეალური ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე ამოძრავებდა.

რომ არა თავად რუსეთის მიერ განხორციელებული მკაცრი ზომები, რომელთა თანახმადაც მოსკოვმა რუსული ფულის ბანკნოტების მიწოდება საქართველოსთვის და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის შეწყვიტა, სავარაუდოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი დამოკიდებულების შეცვლას „რუბლის ზონის" მიმართ არ იჩქარებდა. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკითხი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობის შესახებ ფონდთან პირველივე შეხვედრისასვე (1991 წლის ნოემბერს) დასვა: მათ საჭირო გათვლები და ბანკნოტებისა და მონეტების ესკიზები წარუდგინეს, და ფულის რეფორმის მომზადებასა და გატარებაში დახმარება ითხოვეს. სამწუხაროდ, ეს თხოვნა გათვალისწინებული არ იქნა, რასაც ალბათ 1991–1992 წლების ზამთარში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმაც შეუწყო ხელი.

1993 წელს საქართველო საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობას პრაქტიკულად მოუმზადებელი შეხვდა. ეს გარკვეულწილად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებამაც განაპირობა, თუმცა ფონდზე პასუხისმგებლობის ბოლომდე გადაბრალება გაუმართლებელია, რადგან საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, ჯერ ერთი, ფონდის რჩევებს პრაქტიკულად, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მეორეც, – ის თავად იმყოფებოდა „რუბლის ზონაში" გარკვეული ვადით დარჩენის ილუზიის ტყვეობაში, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, დროებითი ეროვნული ვალუტის – კუპონის მიმართ ხელისუფლების ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში აშკარად გამომჟღავნდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი ეს შეცდომა საქართველოში 1995 წლის შემოდგომაზე „გამოასწორა" (თუ კი შეიძლება ასე ითქვას), როცა შეთანხმებული გეგმითა და საფინანსო მხარდაჭერით, წარმატებით განხორციელდა ფულის რეფორმა – ლარი იქნა შემოღებული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან მიმართებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი შეცდომა მაშინ დაუშვა,

როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხი წყდებოდა.

1993 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა „შეთანხმებას" (რომელიც „ნულოვანი ვარიანტის" პირობითი სახელწოდებითაა ცნობილი[1]), რომლის თანახმადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალისა და აქტივების საქართველოს ნაწილის სამართალმემკვიდრე რუსეთი გახდა. დღემდე გაურკვეველი მიზეზებით „შეთანხმების" ტექსტიდან მის პარაფირებულ ვარიანტში დაფიქსირებული მუხლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდისა და „ვნეშეკონომბანკში" განთავსებულ საქართველოს კერძო და იურიდიულ პირთა დეპოზიტების შესახებ ამოვარდნილია.

სამწუხაროდ, შვიდი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ სადავო საკითხის გადაწყვეტაში საერთოდ არ ერეოდა, თუმცა საქართველო „შეთანხმების" ხელმოწერილ და პარაფირებულ ტექსტებს შორის ხსენებული განსხვავების გამო, მის რატიფიკაციაზე უარს ამბობდა; ეს კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესების თანამად, რუსეთის საგარეო ვალის საკითხის დაურეგულირებლობის გამო, ფონდიდან კრედიტების მიღებისათვის არსებითი ხელშემშლელი უნდა გამხდარიყო.

შვიდწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, როცა დღის წესრიგში საქართველოს რუსეთისადმი ვალის რესტრუქტურიზაციის (იხ. მაგალითად, მელქაძე, 2001) საკითხი დადგა, უკანასკნელის ზეწოლითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით საქართველო იძულებული შეიქნა ხსენებული „შეთანხმების" რატიფიკაცია მოეხდინა, რითაც საკითხი, „შეთანხმების" პარაფირებული ტექსტიდან ამოვარდნილ მუხლებთან მიმართებაში, სამართლიანობის აღდგენის შესახებ სერიოზული კითხვის ქვეშ დააყენა.

---

[1] დეტალურად პრობლემა შემდეგ ნაშრომებშია გაშუქებული: (ნოლაიდელი, მესხია., 2001; მესხია, 2001).

**მეთოდური ხასიათის შეცდომები.** საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე არაერთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება მოუხდა. ერთ-ერთი ასეთი საგადასახადო სისტემა იყო: საჭირო იყო საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სამსახურის შექმნა, მისი დაკომპლექტება სათანადო მომზადების მქონე, პრაქტიკულად ძალზედ დეფიციტური კადრებით. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს მოსახლეობას და საწარმოებს საბაზრო სისტემის პირობებში გადასახადების გადახდის და მასზე პასუხისმგებლობის არავითარი კულტურა არ გააჩნდათ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არც გადამხდელმა იცოდა რა და როგორ გადაეხადა და არც გადასახადის ამკრეფს ესმოდა, თუ რა და როგორ აეკრიფა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საგადასახადო სისტემა შეცდომებისაგან, ხარვეზებისაგან და როგორც შედეგი – კორუფციისაგან თავიდანვე არ იყო დაზღვეული (აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალთაგან სწორედ კორუფციას ჰქონდა საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი ტრადიციები და გამოცდილება).

ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე, საგადასახადო სისტემა მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს. საზოგადოდ ეს აზრი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდანაც გაზიარებულია; კერძოდ, მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი ლეიფ მუტენი აღნიშნავს, რომ გარდამავალი პერიოდის პროცესში გადასახადი მარტივი უნდა იყოს (Мутен, 1993, с. 215).

საგადასახადო სისტემის შესაძლო გართულება ეტაპობრივად, საგადასახადო განათლების გავრცელების, საგადასახადო კულტურის ამაღლების კვალობაზე უნდა მოხდეს.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნისთანავე, ყოვლად გაუმართლებელი იყო ბრუნვიდან გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადით ჩანაცვლება. საქმე ისაა, რომ კომუნისტური ყაიდის ეკონომიკაში ბრუნვიდან გადასახადი თავისი ბუნებით სულაც არ იყო გადასახადი, ის საქონლის საცალო ფასსა და მწარმოებლის

(ანუ საბითუმო) ფასს შორის მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილ სხვაობას წარმოადგენდა (მაგალითად, Ганди, Михальек, 1993, с. 170; Ганди, Мутен, 1994, с. 137). რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, მისი ეკონომიკური შინაარსი, გათვლის პრაქტიკა და ამოღების მექანიზმი მასობრივი გამოყენებისათვის საკმაოდ რთულია. ბევრად უფრო გამართლებული სხვა სახეობის ირიბი გადასახადის გამოყენება იყო, რომლის ადმინისტრირებაც აშკარად მარტივია. კერძოდ, ასეთია ვაჭრობაზე გადასახადი (ანუ ბრუნვიდან გადასახადი ადვალური განაკვეთით), რომელიც საბოლოო შესყიდვის ეტაპზე გადაიხდება, რის გამოც გადასახადის გადამხდელისათვის და ამკრეფისთვისაც დაბეგვრის ეს მექანიზმი საკმაოდ გამჭვირვალე და ადვილად ადმინისტრირებადია. სწორედ ეს პრაქტიკა იქნა გამოყენებული, მაგალითად, რუმინეთში (Ганди, Мутен, 1994, с. 137-139).

აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით ბევრად უფრო გამართლებულია, ვიდრე ვაჭრობაზე გადასახადი, რადგანაც დაბეგვრას ბიზნესის ყველა სტადია ექვემდებარება და ამდენად საგადასახადო ტვირთი შესაბამისად ყველა ამ სტადიაზე ნაწილდება. მიუხედავად ამისა აშშ-ში, უდიდესი საგადასახადო კულტურის მქონე ქვეყანაში, ვაჭრობაზე გადასახადი დღესაც გამოიყენება და პრაქტიკულად დაუსრულებლად გრძელდება დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენადაა გამართლებული დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღება (მაგალითად, Slemrod, Bakija, 1996, pp. 209-215).

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დამატებული ღირებულების გადასახადი საბაზრო ტრადიციების დამკვიდრების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გავლის შემდეგ იქნა შემოღებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ის მხოლოდ 1973 წელს შემოიღეს (Батлер, Айзек (ред.), 1997, с. 442), ანუ მაშინ, როცა ქვეყანას საბაზრო სისტემის განვითარების არაერთი საუკუნის ისტორია ჰქონდა. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო დამატებული ღირებულების

გადასახადის შემუშავებიდან იმ დრომდე, რაც ამ გადასახადმა ფართო აღიარება ჰპოვა. კერძოდ, გადასახადის ეს სახეობა 1954 წელს ფრანგი ეკონომისტის მ. ლორეს მიერ შემუშავდა და, როგორც აღინიშნა, თითქმის ოცი წელი დასჭირდა ევროკავშირის ქვეყნებში მის დამკვიდრებას, ხოლო დღეს ამ გადასახადის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მასში (ევროკავშირში) გაწევრიანებისათვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ფინეთი იძულებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადი 1994 წლის ივლისში შემოეღო) (Сутырин, Погорлецкий, 1998, с. 32). სწორედ ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა, ის ძირითადი მოტივია, რის გამოც პოსტკომუნისტური ქვეყნები თავის საგადასახადო პრაქტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადს ამკვიდრებენ (Тейт, 1993, с. 222).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებულია დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღების 18 თვიანი გრაფიკი (Тейт, 1993, с. 226-232). ცალკეულ ქვეყანაში ეს გრაფიკი დროში შეიძლება კიდეც გაიწელოს; მაგალითად, რუმინეთში ამ გადასახადის შემოღებისათვის ორწელიწადნახევრიანი პერიოდი გახდა საჭირო (Ганди, Мутен, 1994, с. 141). ფისკალურ საკითხებში მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტის, ვიტო ტანზის შეფასებით, თუ ქვეყანაში ვაჭრობაზე ერთიანი გადასახადი არ გამოიყენება, მაშინ დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შემოღებას სულ ცოტა ორი წელი მაინც დასჭირდება; ეს პერიოდი შეიძლება ერთი წლით შემოიფარგლოს იმ შემთხვევაში, თუ დამატებული ღირებულების გადასახადზე გადასვლა ვაჭრობაზე გადასახადის უკვე მოქმედი სისტემიდან ხდება (Tanzi; 1992, p. 49). აქვე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის ადმინისტრირების კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო უზრუნველყოფას თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით ხუთიდან ათ წლამდე სჭირდება (IMF, 1991, Ch. V.4), გასაგები გახდება, რომ გადასახადის მოცემული სახეობის შემოღება და დამკვიდრება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია.

ყოველივე თქმულის ფონზე საქართველოს ხელისუფლების უდიდეს შეცდომად უნდა ჩაითვალოს ბრუნვიდან გადასახადის კომუნისტური მექანიზმიდან დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სისტემაზე ნახტომისებური გადასვლა, რითაც ზემოთმოყვანილი იდეალური საგადასახადო სისტემის პირველი პრინციპი – სიმარტივე დაირღვა. ამის გამო მნიშვნელოვანი საგადასახადო შემოსავლები დაიკარგა, საზოგადოებაში დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ უარყოფითი განწყობა ჩამოყალიბდა და გარკვეული ნიადაგი კორუფციისთვისაც შეიქმნა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა ის გახლდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, შესანიშნავად იცოდა, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენება და აქედან გამომდინარე, მათი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო ვაჭრობაზე გადასახადის დროებით შემოღება და პარალელურად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დამატებული ღირებულების გადასახადის მექანიზმზე გადასასვლელად, რაც არ განხორციელდა. ჩვენი მხრიდან, ამ მინიშნების საფუძვლიანობას ისიც აძლიერებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტების მიერ მომზადებულ „საგადასახადო პოლიტიკის სახელმძღვანელოში“, რომელიც უწინარეს ყოვლისა ფონდის მისიათა შემადგენლობაში მომუშავე ეკონომისტებისათვისაა განკუთვნილი, მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნადაა დაფიქსირებული, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღებას გადასახადის გადამხდელთა განათლებისა და გადასახადის ამკრეფთა სწავლების თვალსაზრისით დიდი ძალისხმევა ესაჭიროება, რის გამოც ფონდი, ცალკეულ შემთხვევაში, გადასახადის მოცემული სახეობის შემოღებამდე ბრუნვიდან და ვაჭრობიდან გადასახადის სტრუქტურის სრულყოფის რეკომენდაციას იძლევა (Shome (ed.), 1995, p. 280). სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ასეთი რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებისადმი არ მიუცია.

დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში კიდევ უფრო დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ გადასახადით

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბეგვრა, რადგანაც სოფლად ამ გადასახადის აკრეფის ადმინისტრირების არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩამოყალიბებული აზრის თანახმად, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, უმრავლესი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილი სახელმწიფო საწარმოებითა და (ან) კოოპერატივებით, სადაც პრინციპში შესაძლებელია დამატებული ღირებულების აღრიცხვა და შესაბამისი დაბეგვრაც; წვრილი ფერმერები დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან და ამ გადასახადით დაბეგვრას იმ მომენტიდან ექვემდებარებიან, როცა მათი წლიური ბრუნვა კანონით დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს (Тейт, 1993, с. 234). ამ, ერთი შეხედვით სწორ მიდგომაზე დაყრდნობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმკაცრესი რეკომენდაციით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრა იქნა შემოღებული. თავდაპირველად წლიური ბრუნვის ის მინიმალური ზღვარი, რომლის ზევითაც ამ გადასახადით სასოფლო-სამეურნეო საწარმო იბეგრება, 3 000 ლარის დონეზე განისაზღვრა, თანდათანობით ჯერ 20 000 ლარამდე, შემდეგ 35 000 ლარამდე გაიზარდა და საბოლოოდ 100 000 ლარის დონეზე გავიდა. აქვე ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებულ ზემოხსენებულ „საგადასახადო პოლიტიკის სახელმძღვანელოშია" მითითებული, ფონდი იმ სფეროებს განსაზღვრავს, სადაც მისივე რეკომენდაციით დამატებული ღირებულების გადასახადი მისი რთული ადმინისტრირების გამო არ უნდა იქნეს გამოყენებული; კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ სფეროდ სასოფლო-სამეურნეო სექტორია აღიარებული. იქვე აღნიშნულია, რომ ფონდმა ამ ტიპიურ პრაქტიკაზე უარი მხოლოდ პოსტკომუნისტური ქვეყნების მიმართ თქვა, სადაც მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია შენარჩუნებული (Shome (ed.), 1995, p. 280).

ამ სქემის საქართველოში გამოყენებისას გათვალისწინებული არ იქნა, რომ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (სახელმწიფო თუ კოლექტიური) პრაქტიკულად ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დაიშალა და აგრარული სექტორი ძირითადად მხოლოდ წვრილი მეურნეობებით არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ჯერ ერთი, პრაქტიკულად მთელი დარგი დარჩა ირიბი გადასახადით დაუბეგრავი, ხოლო, მეორე – შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილების და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძლიერი საგადასახადო ანტისტიმული. იდეალური საგადასახადო სისტემის პოზიციებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში პირველი პრინციპი – სიმარტივე და მეოთხე პრინციპი – უნივერსალურობაა დარღვეული.

საქართველოს მთავრობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღების სანაცვლოდ მიწის გადასახადი გაზრდილიყო (რაც ადმინისტრირების თვალსაზრისით მარტივია და, ამდენად, გამჭვირვალე, თანაც კორუფციისგანაც უფრო დაზღვეული) საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ პრინციპულად არ იქნა გაზიარებული იმ მოტივით, რომ, ჯერ ერთი, ეკონომიკის ყველა დარგი დამატებული ღირებულების გადასახადით უნდა დაიბეგროს, რადგანაც გადასახადის ეს სახეობა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ირიბ გადასახადთა შორის ყველაზე უფრო გამართულია (მაგალითად, IBRD, 1991, p. 31), ხოლო მეორე – მიწის გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადის ეკვივალენტური სიდიდით გაზრდის პირობებში ფონდის სპეციალისტებს დამუშავებული არა ჰქონდათ ის მექანიზმი, თუ ამ შემთხვევაში წარმოების წინა სტადიაზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის გამორიცხვა შემდეგ სტადიაზე როგორ მოხდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდური ხასიათის კიდევ ერთ შეცდომას წარმოადგენს მისი რჩევა და საბოლოოდ მოთხოვნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას გაეუქმებინა მო-

გების იმ ნაწილის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება, რომელიც რეინვესტირებაზე მიდიოდა. ამით ქვეყანაში, რომელსაც ინვესტიციების უდიდესი დეფიციტი აქვს, წარმოების განვითარების საფინანსო რესურსის მოძიების პირდაპირი სტიმული იზღუდება. მართალია 1995 წელს, როცა ფონდმა ხსენებული საგადასახადო შეღავათის გაუქმება მოითხოვა, ამ შეღავათით ფაქტობრივი სარგებლობის დონე წარმოების წინა პერიოდში მნიშვნელოვანი დაცემის გამო აშკარად დაბალი იყო, მაგრამ თავად ამ გაუქმებამ მეწარმეების თვალსაწიერიდან თუნდაც პერსპექტივაში წარმოების განვითარებაზე ორიენტირის აღების საფინანსო სტიმულით განპირობებული შესაძლებლობა მოხსნა. აქვე მიზანშეწონილია ხაზი იმ გარემოებასაც გაესვას, რომ მოგების საინვესტიციო ნაწილის შესაბამისი გადასახადისაგან განთავისუფლება გარკვეული ზომით ხელს უწყობს მოგების, და საბოლოო ჯამში დამატებული ღირებულების აღრიცხვიანობის საკითხის მოწესრიგებას, რაც საგადასახადო შემოსავლების ზრდაში აისახება; სამწუხაროდ, მოგების საინვესტიციო ნაწილის დაბეგვრიდან განთავისუფლების გაუქმებამ ზოგადად დასაბეგრი ბაზის აღრიცხვიანობის სრულყოფაზეც უარყოფითად იმოქმედა.

არანაკლებ საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში; კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი პროგრესიული ხასიათი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა, ერთი მხრივ, მოსახლეობა არა მარტო (და არა იმდენად) სახელმწიფო, არამედ (და უფრო მეტადაც) კერძო სექტორშია დასაქმებული, ხოლო მეორე მხრივ, ხელფასის გარდა გაჩნდა ისეთი შემოსავლები როგორიცაა პროცენტი, რენტა, დივიდენდი და სხვა, დღის წესრიგში თითოეული ინდივიდის შემოსავლის ცალკე დაბეგვრის პრობლემა დადგა.

პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის გამოყენება საკმაოდ რთული ადმინისტრაციული მექანიზმის ამოქმედებას მოითხოვს, რომელიც შემოსავლების პერსონალური დეკლარაციების სისტემის შემოღებას ეყრდნობა, როცა კალენდარული წლის

ბოლოს თითოეულმა ინდივიდმა წლის განმავლობაში ყველა წყაროთი მიღებული შემოსავალი და შესაბამისად დაბეგრილი თანხა უნდა დათვალოს, შემდეგ დამატებით დასაბეგრი თანხა პროგრესიული შკალის გამოყენებით გაიანგარიშოს და გადაიხადოს ის. ბუნებრივია, რომ საგადასახადო კულტურის არ არსებობის, ან თუნდაც მისი დაბალი დონის პირობებში მოსახლეობა ამ რთულ პროცედურას არ ასრულებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი რეალიზაციისათვის არც საგადასახადო სამსახურია მზად. მაშასადამე, პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი ასეთ პირობებში თითოეულ გადამხდელში გადასახადისგან თავის არიდების, ანუ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის მენტალიტეტს აძლიერებს. იდეალური საგადასახადო სისტემის პრინციპებიდან ამ შემთხვევაში დარღვეულია პირველი – სიმარტივე, და მეორე – სიცხადე.

ადმინისტრირებისათვის ბევრად უფრო მარტივი და ამდენად გამჭვირვალე პროპორციული საშემოსავლო გადასახადის სისტემაა, როცა ყველა ინდივიდუალური შემოსავალი ერთიანი განაკვეთით იბეგრება და თითოეული ინდივიდის მიერ საკუთარი დამატებითი გადაანგარიშების ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს.

ყოველივე თქმულიდან გასაგები უნდა იყოს, თუ რაში მდგომარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული ამ შეცდომის არსი, როცა მან პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის სისტემის არსებობა მოითხოვა. ამ შეცდომის მიზეზი მით უფრო გაუგებარია, როცა ფონდის წამყვანი ექსპერტები ვედ პ. განდი და დუბრავკო მიხალეკი მიიჩნევდნენ, რომ საწყის ეტაპზე ერთიანი პროპორციული საშემოსავლო გადასახადის სისტემის გამოყენებაა გამართლებული (Ганди, Михальек, 1993, с. 188), ხოლო ლეიფ მუტენი კი აღნიშნავდა, რომ პროგრესიულმა საშემოსავლო გადასახადის სისტემამ შეიძლება შრომისა და რისკის სტიმული ჩაახშოს, და საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზეც უარყოფითად იმოქმედოს (Мутен, 1993, с. 199).

**მეთოდოლოგიური შეცდომა.** 1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩვენ მიერ ეკონომიკური რეფორმების „სოციალური სტიმულირების" მეთოდი შემუშავდა (Papava, 1996a, 1996b, 1999), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს „საგადასახადო თერაპიის" მიდგომა წარმოადგენდა (Papava, 1996a, pp. 263-267; 1999, pp. 285-291). ამ უკანასკნელის თანახმად, მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი სტიმული საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება უნდა გამხდარიყო.

„საგადასახადო თერაპიის" მეთოდოლოგიურ საფუძველს ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ლაფერ-ქეინზიანური სინთეზის თეორიული კონსტრუქცია წარმოადგენს (Papava, 1996b, 1999). კერძოდ, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით, მიწოდებისა და მოთხოვნის ერთდროული ზრდის კვალობაზე, წარმოების განვითარების შესაძლებლობა იქნა დასაბუთებული (ანანიაშვილი, პაპავა, 2009; Ananiashvili, Papava, 2014).

საგადასახადო განაკვეთების სიდიდეზე ან სიმცირეზე მსჯელობა უაზრობაა, თუ კი ის საგადასახადო ადმინისტრაციის სრულყოფილების დონესთან შესაბამისობაში არ არის განხილული. ეს პოზიცია სრულად არის გაზიარებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერაც (Shome (ed.), 1995, pp. 267-272). 1995 წელს საქართველოში ძალზე მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის გამო, სხვა თანაბარ პირობებში, სერიოზულ საგადასახადო ადმინისტრაციაზე საუბარი პრაქტიკულად აზრს იყო მოკლებული. „სოციალური სტიმულირების" მეთოდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად სწორედ კრიმინოგენური სიტუაციის დაძლევა იქნა მიჩნეული. „საგადასახადო თერაპიის" მიდგომის ფარგლებში იმ დროს შემუშავებული წინადადებები მაქსიმალურად შეესატყვისებოდა საგადასახადო ადმინისტრაციის განვითარების არსებულ დონეს.

გარდა ზემოხსენებული დადებითი ეფექტებისა, „საგადასახადო თერაპიის" ძირითადი მიზანი ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის მასშტაბების შემცირებაა. ამ იდეის ჭეშმარიტება,

განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე, საკმაოდ საინტერესოდაა გაანალიზებული ბარენც ჯგუფის მიერ (Thirsk (ed.), 1997, pp. 12, 15). აქვე აღსანიშნავია, რომ ეს აზრი გაზიარებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერაც, როცა მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი ალან თეითი წერს, რომ 5 პროცენტიანი გადასახადის დაწესებისას გადამხდელი თავის არიდებას ნაკლებად შეეცდება, ვიდრე 10 პროცენტიანის ან 15-20 პროცენტიანის შემთხვევაში; მით უფრო თუ კი შესაბამის საჯარიმო სანქციებსაც გავითვალისწინებთ (Tait, 1988, p. 18). ის, რომ საგადასახადო სისტემის მაღალეფექტიანობა შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთების პირობებში მიიღწევა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სხვა წამყვანი ექსპერტის, კრისტერ ანდერსონის მიერაც არის გაზიარებული (Андерссон, 1993, c. 129). თავის მხრივ, კიდევ ერთხელ არის აღსანიშნავი, რომ დაბალი საგადასახადო განაკვეთის მიზანშეწონილობა, რაც, როგორც ზემოთ იყო მითითებული, იდეალური საგადასახადო სისტემის მესამე პრინციპს წარმოადგენს. აქვე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ, როგორც ფილიპ ჩაპელი მიიჩნევს, მაღალი განაკვეთების გადასახადები კარლ მარქსის გამოგონებაა, ბურჟუაზიის ძალაუფლების დასათრგუნად (Chappell, 1990, p. 43).

„საგადასახადო თერაპიის“ მიდგომის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის შესახებ კონკრეტული წინადადებები ჩამოყალიბდა, რომლებიც 1995 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებს გადაეცა განსახილველად, მათ მიერ კი უარყოფითი დასკვნა იქნა გაკეთებული, რადგანაც მსოფლიოში არ არსებობს იმის ერთმნიშვნელოვანი დადასტურება, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირებას საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა აუცილებლად მოჰყვება. ამ დასკვნის საფუძვლად აშშ-ის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის მიერ 1981 წლის „ეკონომიკის გაჯანსაღების საგადასახადო აქტით“ ("The Economic Recovery Tax Act") შემცირებული საგადასახადო განაკვეთების შემოღების შემდეგ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის არა შემცირების (როგორც ამას მოელოდნენ), არა-

მედ ზრდის ფაქტი იყო აღებული (მაგალითად, Krugman, 1998, p. 48; Slemrod, Bakija, 1996, p. 28; Steinmo, 1993, pp. 163-164; Наумов, 1999, c. 23). ამგვარ თვალსაზრისთან დაკავშირებით აღსანიშნავია უკრაინელი ეკონომისტების ვ. ვიშნევსკისა და დ. ლიპნიცკის გამოკვლევა, რომლის თანახმადაც ის, რომ აშშ-ში გადასახადების განაკვეთების შემცირებას ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა მოჰყვა, „მიწოდების თეორიის" უვარგისობის დასამტკიცებლად სულაც არ არის საკმარისი; მათი აზრით საკითხი თითოეული კონკრეტული სახელმწიფოსათვის და იმ მინიმალურად აუცილებელი დროითი მონაკვეთის განსაზღვრის ჭრილში უნდა იყოს დაყენებული, როცა გადასახადების განაკვეთების შემცირება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას გამოიწვევს (Вишневский, Липницкий, 2000, cc. 107-108). ამ გამოკვლევის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მასში ის პირობებია განსაზღვრული, რომელთა შესრულებისას გადასახადების განაკვეთების შემცირებას წარმოების გაფართოება და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა მოჰყვება, ამასთან, ამ პირობების შესრულება, სავარაუდოდ, სწორედ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებშია შესაძლებელი (Вишневский, Липницкий, 2000, cc. 110-111).

დასანანია, რომ საქართველოს მხარის წარმომადგენელთა უმრავლესობა „საგადასახადო თერაპიის" იდეოლოგიას არ იზიარებდა; ბუნებრივია, რომ, როცა ურთულესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტაზეა საუბარი, მთავრობის პოზიციის ერთიანობის დემონსტრირება უაღრესად მნიშვნელოვანია; მართალია, მთლად საკმარისიც არ არის, მაგრამ ფონდის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას, წარმატების მისაღწევად აშკარად აუცილებელი პირობაა.

1996 წელს ამ უარყოფითი განწყობის მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, მაინც მოხერხდა გადასახადების და გადასახდელების მხოლოდ რამდენიმე სახეობის მიხედვით განაკვეთის შემცირება.

საგადასახადო განაკვეთის შემცირებით გამოწვეული შესაბამისი შემოსავლების ზრდის სიდიდის დასადგენად, მოცემული

გადასახადის მიხედვით შემოსავლის ზრდის ტემპი ეკონომიკის ზრდის (ინფლაციის გათვალისწინებით) ტემპით და იმ საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპით უნდა შემცირდეს, რომელთა მიხედვითაც საგადასახადო განაკვეთები არ შეცვლილა. პირველი კორექტივი ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, ხოლო მეორე კი – საგადასახადო და შესაბამისად საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების გამოსარიცხადაა საჭირო. შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ, 1997 წელს გადასახდელები იურიდიული პირებისგან სოცუზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ფონდში განაკვეთის 37-დან 27 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე – 41 პროცენტით, გადასახდელები დასაქმების ფონდში განაკვეთის 3-დან 1 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე – 1 პროცენტით, ლუდზე აქციზური განაკვეთის 100-დან 15 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე – 26,4 პროცენტით, ხოლო ზოგიერთ საქონელზე 12 პროცენტიანი საიმპორტო გადასახადის განაკვეთის 5 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე 34,6 პროცენტით გაიზარდა. როგორც ვხედავთ „საგადასახადო თერაპიის“ თუნდაც ძალზე შეკვეცილმა ვარიანტმა აშკარად გაამართლა, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანხმობის შემთხვევაში, ჯერ კიდევ 1997 წელს შესაძლებელი იქნებოდა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში უფრო შთამბეჭდავი შედეგებისათვის მიგვეღწია.

**დაბნეულობით გამოწვეული შეცდომები.** მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების კვალიფიკაციაში ეჭვი პრაქტიკულად არავის ეპარება, საქართველოში მათი გარკვეული დაბნეულობა სულ ცოტა ორჯერ მაინც იქნა დაფიქსირებული.

1995-1996 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მხრიდან რამდენიმეჯერ დაისვა საკითხი საბაჟოზე მინიმალური საანგარიშო ფასების სისტემის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ, რითაც იმპორტიორების მხრიდან, საგადასახადო ბაზის შეკვეცის მიზნით, სახელშეკრულებო ფასის ხელოვნურად შემცირების პრაქტიკა უნდა გამორიცხულიყო. მართალია

ეს რეკომენდაცია აუცილებელ ხასიათს არ ატარებდა და ამავე დროს საკმაოდ ზოგადი, და ამდენად ბუნდოვანი ფორმულირებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მან, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიღებას გაუკეთა ინიცირება, რითაც ასეთი ფასების დაწესებისა და გადასინჯვის მექანიზმი განისაზღვრა, და საქონელთა შეზღუდულ ჩამონათვალზე ეს სისტემა ამოქმედდა კიდეც. ამან მსოფლიო ბანკთან ქვეყნის თანამშრომლობა საკმაოდ გაართულა (რამეთუ ბანკი ხსენებული სისტემის სასტიკი წინააღმდეგი იყო), და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებითაც პრობლემები შეიქმნა. ასეთ ვითარებაში თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ სისტემის მიმართ უკვე თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც დააფიქსირა და მისი გაუქმება მოითხოვა. ამის მიღწევას კი წელიწადზე მეტი დრო და საკმაოდ დიდი პოლიტიკური ძალისხმევა დასჭირდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაბნეულობით გამოწვეული შეცდომა ბევრად შთამბეჭდავია აქციზურ მარკებთან დაკავშირებით. კერძოდ, ფონდის ექსპერტები თავიდან აქციზური მარკების შემოღების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ, ხოლო მოგვიანებით უმკაცრესად მოითხოვდნენ ამის გაკეთებას.

1995-1996 წლებში საქართველოს მთავრობა პრაქტიკულად, აქციზური მარკების შემოღების საკითხს გამუდმებით აყენებდა, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იყო, რადგანაც ფონდის ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ხელისუფლება ამ მარკების გაყალბების პრობლემას თავიდან ვერ აიცილებდა. 1998 წელს კი სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზური მარკების შემოსაღებად, უმკაცრესი მოთხოვნით, უკვე თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოვიდა. 1999 წელს აქციზური მარკის შემოღების შემდეგ საშუალო შემოსავალი თვეში იმპორტულ სიგარეტზე უშუალოდ ამ მარკების შემოღების ხარჯზე 3,2-ჯერ, ხოლო ადგილობრივზე 19,2-ჯერ გაიზარდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ბიუჯეტს წლების განმავლობაში ძალზე მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა.

**ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა.** საბაჟოზე მინიმალური საანგარიშო ფასების გაუქმებისა და ალკოჰოლური სასმელებიდან საგადასახადო შემოსავლების ამოღების გასაუმჯობესებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით გადაწყდა ამ სასმელებზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება ე. წ. „ადვალური“ (ad valorem) (ანუ პროცენტული განაკვეთის საფუძველზე განსაზღვრული) გადასახადის ნაცვლად.

საქონლის ფიქსირებული გადასახადის განაკვეთის გათვლისას მის საერთაშორისო ფასს ადვალური გადასახადები დაერიცხება და აბსოლუტურ გამოხატულებაში, მოცემული სიდიდისაგან საწყისი ფასის გამოკლებით, გასათვლელი გადასახადის ოდენობა მიიღება. საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული წესების თანახმად, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული საქონელი ერთნაირ რეჟიმში უნდა იბეგრებოდეს, რის გამოც ფიქსირებული გადასახადით „ადვალური“ გადასახადის ჩანაცვლება ორივე – ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტულ ალკოჰოლურ სასმელებზე მოხდა.

საქართველოს მხარის წინადადება იყო, რომ ფიქსირებული გადასახადის ოდენობის გამოსათვლელად ალკოჰოლური სასმელების საწყისი ფასი იმპორტის შემთხვევაში 10 პროცენტით გაზრდილიყო, რაც იმითაა განპირობებული, რომ იმპორტი თავისთავად შეუძლებელია ქვეყნის საზღვრამდე ტრანსპორტირების გარეშე, რისი ხარჯებიც შესაბამისი დაზღვევის ჩათვლით საქონელს არანაკლებ 10-15 პროცენტით აძვირებს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „ადვალური“ გადასახადით დაბეგვრისას იმპორტის დროს ხსენებული ტრანსპორტირების და შესაბამისი დაზღვევის ფაქტორებით გამოწვეული ფასთასხვაობა გადასახადის აბსოლუტურ ოდენობაზე აისახება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფიქსირებული გადასახადის ოდენობის განსაზღვრის დროს ფასთასხვაობის ხსენებული ფაქტორების გათვალისწინების ობიექტური მიზანშეწონილობა ვითომდა დამატებითი პროტექციონისტული ღონისძიებე-

ბის საბაბით (თითქოსდა შესაძლებელი იყოს იმპორტის განხორციელება ქვეყნის საზღვრამდე ტრანსპორტირების გარეშე) იქნა უარყოფილი.

**ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეული შეცდომები.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები, არც თუ იშვიათად, ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ტრაფარეტულად ერთსა და იმავე სქემას იყენებენ.

საქართველოსთან მიმართებაში ამის ყველაზე უფრო კურიოზული მაგალითი ფონდის ექსპერტების მიერ მომზადებული ერთ-ერთი მემორანდუმის პროექტში დაფიქსირებული აზრი იყო. კერძოდ, საქართველოს მიერ მიღწეულ წარმატებათა შორის ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული დაძლევა იყო ხაზგასმული. აშკარაა, რომ ეს ფრაზა, ალბათ, რომელიმე აფრიკული ქვეყნისათვის ფონდის მიერ მომზადებული ტრაფარეტული ჩანაწერიდან უცვლელად გადმოიტანეს. ბუნებრივია, ეს ჩანაწერი მემორანდუმის საბოლოო ტექსტიდან ამოღებულ იქნა.

ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეულ ძალზე სავალალო შეცდომას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების უშუალო აქტიური მონაწილეობით მომზადებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძალისხმევით 1997 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საგადასახადო კოდექსი წარმოადგენს. ზოგადად საგადასახადო კოდექსის არსებობის ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ ის ისეთი „მძიმე" ენით იყო შედგენილი, რომ გადასახადის არა მარტო რიგითი გადამხდელისათვის, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სპეციალისტებისათვისაც გაუგებარი რჩებოდა; იმავდროულად ცალკეული პროცედურები იმდენად გართულებული იყო, რომ მათი სრულფასოვანი განხორციელების თავიდან აცილების მიზნით მეწარმეს კოდექსი გარკვეულ პირობებში ქრთამის მიცემისკენაც კი უბიძგებდა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღიარებით, საგადასახადო შემოსავლების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გა-

დასახადების აკრეფასთან დაკავშირებული ზედმეტად რთული პროცედურები იყოს (МВФ, 1997, с. 10).

თუ კი საქართველოს საგადასახადო კოდექსს ზემოთმოყვანილი იდეალური საგადასახადო სისტემის პრინციპებიდან შევაფასებთ, სულაც არ არის ძნელი შესამჩნევი, რომ ექვსივე პრინციპი დაირღვა, მაგრამ ყველაზე მწვავე, ჩვენი აზრით, უმთავრესი პრინციპის – სიმარტივის უგულებელყოფა იყო.

**ლობირებით გამოწვეული შეცდომა.** შესაძლო ლობირების შესახებ ზემოთმოყვანილი მსჯელობის გასაძლიერებლად ელექტროენერგეტიკის ობიექტების საქმიანობის დაბეგვრის ცვლილების მაგალითი გამოდგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საკმაო პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ოდენობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. 1999 წლის ზაფხულში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის რეზერვების ამოქმედების მიზნით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები მომზადდა. ერთ-ერთ ასეთ რეზერვად ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მექანიზმის შეცვლა იქნა მიჩნეული; კერძოდ, დაბეგვრას ელექტროენერგიის მიწოდება დაექვემდებარა. ეს, ბუნებრივია, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკმაოდ ძლიერი სტიმული უნდა გამხდარიყო, ხოლო თუ კი იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ „თელასის" მესაკუთრე უკვე ამერიკული კომპანია "AES"-ი იყო, რომელსაც პრივატიზაციის ხელშეკრულებით თბილისში ამ საფასურის ამოღების გაუმჯობესების ვალდებულება ჰქონდა აღებული, ბუნებრივია, საგადასახადო კოდექსში ამგვარ ცვლილებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკმაყოფილება არ უნდა გამოეწვია და თავიდან არც გამოუწვევია; პირიქით ეს (და სხვა მსგავსი) ნაბიჯი აღქმული იქნა, როგორც საქართველოს მთავრობის ნება დამატებითი საგადასახადო შემოსავლების მობილიზებაში.

მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ ნათელყო, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პრინციპული გაუმჯობესება არათუ ქართულმა რეგიონალურმა კომპანიებმა, არამედ „AES-თელასმაც“ ვერ მოახერხა. ასეთ ვითარებაში ეს კომპანიები (და რაც მთავარია „AES-თელასი“) დამატებული ღირებულების დაბეგვრის ახალ მექანიზმს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების ზრდის გამო, შეიძლება გაეკოტრებინა. სწორედ აქ დაიწყო აშშ-ის საელჩოს მხრიდან ხსენებული ამერიკული კომპანიისათვის საგადასახადო კოდექსში ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ძველი რეჟიმის აღდგენის აშკარა და დაუფარავი ლობირება. გასაკვირი ამ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციაა: ფონდი, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის საფინანსო დისციპლინის მოშლის ხელშემწყობი საგადასახადო რეჟიმის უაპელაციო მოწინააღმდეგეა, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში (რადგანაც საქმე ამერიკულ კომპანიას შეეხებოდა) დაბეგვრის ძველი რეჟიმის მომთხოვნი თავად აღმოჩნდა.

**წაყრუებით დაშვებული შეცდომა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საბანკო სისტემის ფეხზე დაყენებაში მისი საქართველოში საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მისი რეკომენდაციებით ეროვნული და კომერციული ბანკების ფუნქციების გამიჯვნა მოხერხდა. ამის ფონზე აშკარად გაუგებარია, ჯერ ერთი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უშუალოდ სასურსათო (სოკოსა და ფქვილზე) კრედიტებზე საგარანტიო წერილების გაცემა, ხოლო, მეორე – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ამ ფაქტის წაყრუება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, რომ საკმარისი იყო საქართველოს მხარეს ეკონომიკურ პოლიტიკაში რაიმე შეცდომა დაეშვა, განსაკუთრებით სახელმწიფო საფინანსო გარანტიების გაცემაში, რომ მოლაპარაკებათა დროს შეცდომის უმკაცრესი ტონით კრიტიკა ჟღერდა, რაც შესაბამისად ფონდის მიერ და-

ტოვებულ მემორანდუმში აისახებოდა. ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ ხსენებულ შეცდომაზე, რის გამოც ქვეყანამ მილიონობით დოლარის დამატებითი საფინანსო ვალდებულება აიღო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძალზე ზომიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა, რომ ეროვნულმა ბანკმა აღარ უნდა გააგრძელოს ასეთი გარანტიების გაცემის პრაქტიკა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ ფონდი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მისთვის სასურველი პიროვნების შენარჩუნებით იყო დაინტერესებული.

**ტაქტიკური შეცდომა.** რუსეთის 1998 წლის აგვისტოს საფინანსო კრიზისის დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო, რომ ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები შეეწყვიტა, ლარის კურსის რეგულირება შეეჩერებინა, და შედეგად ეროვნული ბანკის ხელთ არსებული დოლარის რეზერვი შეენარჩუნებინა. ამ რეკომენდაციის გაზიარება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანდა: ლარის კურსის რეგულირების შეწყვეტა მის ვარდნას მყისიერად გამოიწვევდა, რასაც სავალუტო ბაზარზე პანიკა მოჰყვებოდა, რაც თავის მხრივ ლარის კურსს დამატებით დასცემდა (უფრო დეტალურად იხ. § II.1).

**კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომა.** როგორც ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კომპეტენცია გამიჯნულია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კიდეც ადასტურებს, რომ არის ისეთი სფეროები, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა, სახელმწიფო სამსახურის რეფორმა, საკუთრების უფლებანი, ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვები, სადაც ის უფრო კომპეტენტურ დაწესებულებას, უმთავრესად მსოფლიო ბანკს (МВФ, 1997, с. 4), უნდა დაეყრდნოს. აქედან გამომდინარე ერთობ გასაკვირია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან 1999 წლის სექტემბერში თითქმის უაპელაციოდ დაფიქსირებული პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოში უმოკლეს ვადებში შექმნილიყო ახალი სახელმწიფო ინსტიტუტი – დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 1997 წლის 25 ივლისს დამტკიცებული სარეკომენდაციო წერილის თანახმად, ფონდი მართვის საკითხებს და მათ შორის კორუფციის შემთხვევებს ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, მისთვის მიცემული მანდატის ფარგლებში უნდა განიხილავდეს (МВФ, 1997, с. 5).

მართალია საქართველოსათვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემათაგანია, მაგრამ აშკარაა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია ამ საკითხებში მის კომპეტენციას პრაქტიკულად გასცდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოცემულ საკითხში მსოფლიო ბანკი ჩაერია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი მოთხოვნა ამ ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით მოხსნა და აქცენტი საფინანსო სისტემაში კორუფციის მოვლენების დასაძლევად უმთავრესად ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაზე გადაიტანა, რაც მის კომპეტენციასთან სრულადაა შესაბამისობაში.

## § III.4. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი

საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ერთადერთი სწორი არჩევანი – არჩევანი ევროპისაკენ, დასავლეთისაკენ გააკეთა (მაგალითად, Gachechiladze, 1995; Gegeshidze, 2002; Rondeli, 2001). ეს მეტად რთული და ხანგრძლივი გზაა და ამ გზაზე წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ევროპულ ფასეულობათა სისტემის ეტაპობრივი დამკვიდრებით არის შესაძლებელი. ასეთი მიდგომა ჩვენი ყოფის ყველა სფეროს და რა თქმა უნდა, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მოწყობასაც ეხება.

მიუხედავად პერიოდულად დაშვებული შეცდომებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი რჩება თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უფრო ავტორიტეტულ საფინანსო-ეკონომიკურ ინსტი-

ტუტად და მას ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად, საერთაშორისო საფინანსო წესრიგში საქართველომ ამ წესრიგით განსაზღვრული პირობები უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას, რაც რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აგრერიგად ესაჭიროება. დასავლეთის პოლიტიკური და საფინანსო მხარდაჭერის გარეშე, დროებითდაკარგული ტერიტორიებისა და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

ზემოთმოყვანილი ცალკეული შეცდომის მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შექმნის რეალური ხელშემწყობი და საიმედო საფინანსო გარანტი იყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და იგი მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩეს, როცა საქართველოს აღარ დასჭირდება ფონდისაგან ფულის სესხება, რადგანაც ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყოს არ გააჩნია.

## ლიტერატურა

**ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., 2009.** *გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი.* თბილისი, „სიახლე".

**ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ., და სხვ., 1998.** *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები.* თბილისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.

**გოცირიძე რ., 1999.** *ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება.* თბილისი, „ფავორიტი".

**მელქაძე გ., 2001.** განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის ძირითადი პრინციპები „პარიზის კლუბში". *ბანკი,* №1.

**მესხია ი., 1999.** საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში.* ტომი III. თბილისი, ფსკი.

**მესხია ი., 2001.** „ნულოვანი ვარიანტის" პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები და საქართველო. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები.* ტომი 2. თბილისი, „სიახლე".

**ნოღაიდელი ზ., მესხია ი., 2001.** საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია „ნულოვან ვარიანტთან" კონტექსტში. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში.* ტომი V. თბილისი, ფსკი.

**პაპავა ვ., 1995.** ეკონომიკური რეფორმების ძირითადი თავისებურებანი საქართველოში. *ეკონომიკა,* №4-6.

**პაპავა ვ., 2000.** *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები.* თბილისი, „იმპერიალი".

**პაპავა ვ., 2002.** *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.* თბილისი, „პდპ".

**პაპავა ვ., 2005.** *პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა.* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**პაპავა ვ., 2011.** *არატრადიციული ეკონომიკსი.* თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

**სპაუისსს, 2002.** *საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო. 1992-2002. დახმარების მიმოხილვა.* თბილისი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო.

**შევარდნაძე ე., 1999.** *დიდი აბრეშუმის გზა. TRACECA. PETRA. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ევროპის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები.* თბილისი, „მეცნიერება".

**Ananiashvili I., Papava V., 2014.** Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium. New York, Nova Science Publishers.

**Chappell P., 1990.** The Assault on Fiscal Privilege. A Simpler System with Lower Tax Rates. In: *P. Chappell, J. Kay, B. Robinson. Which Road to Fiscal Neutrality,* London, IEA.

**Gachechiladze R., 1995.** *The New Georgia. Space, Society, Politics*. London, UCL Press.

**Gegeshidze A. M., 2002.** A Strategic Vision for Georgia. *The Washington Times*, September 13.

**Gomulka S., 1995.** *The IMF-Supported Programs of Poland and Russia, 1990-1994: Principles, Errors and Results*. Studies & Analyses 36. Warsaw, CASE.

**IBRD, 1991.** *Lessons of Tax Reform*. Washington, The World Bank.

**IMF, 1991.** *A Study of the Soviet Economy*. Vol. 3, IMF, IBRD, OECD, EBRD. Paris, OECD.

**Krugman P., 1998.** *The Accidental Theorist: and Other Dispatches from the Dismal Science*. New York, W. W. Norton and Company.

**Lavigne M., 1995.** *The Economics of Transition. From Socialist Economy to Market Economy*. New York, St. Martin's Press.

**Papava V., 1995.** The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies*, Vol. 2, No. 2.

**Papava V., 1996a.** The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion." *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.

**Papava V., 1996b.** "Social Promotion" of Economic Reform in Georgia. *Economic Systems*, Vol. 20, No.4.

**Papava V., 1999.** The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. Hare P. G. (ed.). London, Macmillan Press.

**Papava V., 2003a.** On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia. *Emerging Markets Finance & Trade*, Vol. 39, No. 5.

**Papava V., 2003b.** *Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia*. Laredo, we-publish.com.

**Rondeli A., 2001.** The Choice of Independent Georgia. In: *The Security of the Caspian Sea Region*. Ed. by G. Chufrin. New York, Oxford University Press.

**Shevardnadze E., 1999.** *Great Silk Route. TRACECA-PETRA. Transport Corridor Europe-Caucasus-Asia. The Eurasian Common Market. Political and Economic Aspects*. Tbilisi, Georgian Transport System Ltd.

**Shome P. (ed.), 1995.** *Tax Policy Handbook*. Washington, IMF.

**Slemrod J., Bakija J., 1996.** *Taxing Ourselves: A Citizen's Guide to the Great Debate Over Tax Reform.* Cambridge, The MIT Press.

**Steinmo S., 1993.** *Taxation and Democracy. Swedish, British, and American Approaches to Financing the Modern State.* New Haven, Yale University Press.

**Tait A. A., 1988.** *Value Added Tax: International Practice and Problems.* Washington, IMF.

**Tanzi V., 1992.** Fiscal Restructuring and the Tax System. In: *Structural Adjustment and Macroeconomic Policy Issues.* Papers Presented at a Seminar Held in Lahore, Pakistan, October 26-28, 1991. Mod. by V. A. Jafarey. Washington, IMF, Pakistan Administrative Staff College.

**Thirsk W. (ed.), 1997.** *Tax Reform in Developing Countries.* Washington, The World Bank.

**Андерссон К., 1993.** Соображения эффективности в налоговой политике. В кн.: *Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода.* Под ред. В. Танзи, Вашингтон, МВФ.

**Батлер Б., Айзек А. (ред.), 1997.** *Финансы: Оксфордский толковый словарь.* Москва, «Весь Мир».

**Вишневский В., Липницкий Д., 2000.** Оценка возможностей снижения налогового бремени в переходной экономике. *Вопросы экономики*, № 2.

**Ганди В. П., Михальек Д., 1993.** Налоговая политика в социалистических странах, находящихся на переходном этапе: масштабы реформ. В кн.: *Налоговобюджетная политика в странах с экономикой переходного периода.* Под ред. В. Танзи. Вашингтон, МВФ.

**Ганди В. П., Мутен Л., 1994.** Румыния. Оценка размеров налога с оборота и подоходного налога. В кн.: *Переход к рынку: Изучение реформ в налогово-бюджетной сфере.* Под ред. В. Танзи. Вашингтон, МВФ.

**Зевин Л., 2001.** МВФ и Россия: 8 лет трудного диалога. *Мировая экономика и международные отношения,* № 4.

**МВФ., 1997.** *Надежное управление. Роль МВФ.* Вашингтон, МВФ.

**Круглов В. В. (ред.), 1998.** *Основы международных валютно-финансовых и кредитных отношений.* Москва, ИНФРА-М.

**Кузнецов В., 2002.** Отношения России с МВФ. *Мировая экономика и международные отношения,* № 7.

**Мутен Л., 1993.** Реформа подоходного налога в странах, стоящих на пути перехода к рыночной экономике. В кн.: *Налогово-бюджетная*

*политика в странах с экономикой переходного периода.* Под ред. В. Танзи. Вашингтон, МВФ.

**Наумов А. А., 1999.** Бюджетная политика США в конце столетия. *США. Канада. Экономика, политика, культура,* № 12.

**Ослунд А., 1996.** *Россия: рождение рыночной экономики.* Москва, Республика.

**Папава В., 1998.** О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика,* № 2.

**Папава В., 2001.** *Международный валютный фонд в Грузии: достижения и ошибки.* Тбилиси, Империал.

**Папава В., 2002.** О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. *Вопросы экономики,* № 3.

**Папава В., Беридзе Т., 1994.** Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал,* № 3.

**Папава В., Беридзе Т., 1998.** Экономические реформы в Грузии. *Российский экономический журнал,* № 1.

**Смыслов Д. В., 1993.** *Международный валютный фонд: современные тенденции и наши интересы.* Москва, Финансы и статистика.

**Сутырин С. Ф., Погорлецкий А. И., 1998.** *Налоговое планирование в мировой экономике.* Санкт-Петербург, Изд-во Михайлова В.А., «Полиус».

**Тейт А., 1993.** Введение налогов на добавленную стоимость. В кн.: *Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода.* Под ред. В. Танзи. Вашингтон, МВФ.

თავი IV

# პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების დუალისტური ხასიათი

---

## § IV. 1. მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური პრობლემები და პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების კონცენტრაცია

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მიმართ არა მარტო ქართული საზოგადოების, არამედ ეკონომისტთა დამოკიდებულებაც კი არაერთგვაროვანია (მაგალითად, დე ვაალი, 2011; პაპავა, 2008; Applebaum, 2008; De Waal, 2011; ESI, 2010; Gurgenidze, 2009; Jobelius, 2011; Lazarus, 2010; MacFarlane, 2011; Mitchell, 2009; Papava, 2009; Roubanis, 2009; Rukhadze, Hauf, 2009; Timm, 2014; Udensiva-Brenner, 2010; WB, 2012; Буракова, 2011; Мендкович, 2012). აშკარაა, რომ ინტერესი ამ რეფორმების, მათი არსის მიმართ როგორც პროფესიონალთა ვიწრო წრეში, ისე მთელ საზოგადოებაში ძალზედ დიდია. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ყურადღება იქნეს შეჩერებული იმ პრობლემაზე, თუ რამდენად აახლოებს საქართველოს ეკონომიკას გატარებული ეკონომიკური რეფორმები იმ მოდელს, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ევროპისათვის, და რომლისკენაც ლტოლვას ოფიციალური თბილისი საჯაროდ აცხადებდა როგორც ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას (მაგალითად, Papava, Tokmazishvili, 2006).

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს ახალ, ძირითადად ახალგაზრდა და ხშირ შემთხვევაში გამოუცდელ მთავრობას მემკვიდრეობით არაერთი გადაუწვეტელი პრობლემა ერგო. გაუთავებელი ენერგეტიკული კრიზისის პირობებში მოსახლეობა შიშით ელოდა ყოველ შემდგომ ზამთარს, რადგანაც წინასწარ იცოდა, რომ არც ელექტროენერგია ექნებოდა და არც გათბობა. გადასახადების აკრეფის უუნარობამ და სურვილის არ ქონამაც დააგროვა გადაუხდელი პენსიები და საბიუჯეტო სექტორში გასაცემი ხელფასები, ხოლო საყოველთაო კორუფციამ მთავრობა არაეფექტიანად აქცია.

ამ გამოწვევათა გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქედან გამომდინარე პოსტ-რევოლუციურმა მთავრობამ, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე გამართლებულად ჩათვალა ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონცენტრაცია.

2004 წლის თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში, პარლამენტში სასწრაფოდ იქნა დამტკიცებული კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტს უფლება მიეცა პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების შემთხვევაში ან მთავრობა გადააყენოს, ან პარლამენტი დაითხოვოს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. შედეგად მივიღეთ, რომ პარლამენტი ლოიალური შეიქნა არა მარტო პრეზიდენტის, არამედ მისი მთავრობის მიმართაც. ამან კი პარლამენტის დამოუკიდებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების ფუნქციაც დაასუსტა.

2006 წლის მიწურულს ევროპის საბჭოს ზეწოლის შედეგად საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით კონსტიტუციაში მორიგი ცვლილებები შევიდა, რომელთა თანახმადაც, პარლამენტის განმეორებითი დათხოვნის შემთხვევაში, ასევე დაინიშნება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიც. ამ ცვლილების მიუხედავად, რომელიც მოწოდებული იყო ძალაუფლების განაწილების დარღვეული ბალანსის მცირედი დოზით აღდგენისაკენ, შემდგომმა

ცვლილებებმა კონსტიტუციაში პარლამენტზე პრეზიდენტის ზეგავლენა კიდევ უფრო გაზარდა. კერძოდ, ამ ცვლილებებამდე მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე, ხოლო საპრეზიდენტო კი 2009 წლის ზამთარში უნდა გამართულიყო, ხოლო ხსენებული ცვლილებიდან გამომდინარე ორივე არჩევნები ერთდროულად 2008 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. მართალია, პრეზიდენტი რამდენიმე თვით იმოკლებდა თავის ვადას, თუმცა პარლამენტის ვადა ნახევარ წელზე მეტი დროით ხანგრძლივდებოდა. რაც მთავარია საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება მიზნად ისახავდა პრეზიდენტის პარტიის არჩევნებში გამარჯვების შანსის გაზრდას, რომელიც ხალხში ყოველდღიურად კარგავდა პოპულარობას. 2007 წლის 7 ნოემბრამდე[1] საქართველოს პრეზიდენტს არ ჰყავდა სერიოზული კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში, ამიტომ ალბათობა იმისა, რომ მისი ამომრჩეველი იმავდროულად ხმას მისცემდა მის პარტიასაც, იზრდებოდა.

ასე, რომ 2007 წლის 7 ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტისა და მის მხარდამჭერთა გეგმაში პარლამენტის მხრიდან ლოიალურობის შენარჩუნების პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების კონცეტრაცია შედიოდა. რაც შეეხებოდა ოპოზიციას, ის პარლამენტში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო როგორც დეკორაცია „ვარდების რევოლუციიდან" თანდაყოლილი დემოკრატიულობის იმ იმიჯისა, რომლის შენარჩუნებასაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აპირებდა.

ძალაუფლების ამ კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება, თუმცა არ შეიძლება ითქვას ისიც, რომ მას დადებითი შედეგები საერთოდ არ ჰქონია. უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ პოსტრევო-

---

[1] 2007 წლის 7 ნოემბერს პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით დარბეულ იქნა საპროტესტო აქცია, რასაც მოჰყვა მისი გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

ლუციურ მთავრობას შეაძლებინა, აღედგინა ფინანსური წესრიგი და გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული 2004 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ახალი შესაძლებლობები ცენტრალურ მთავრობასა და ყოფილ ურჩ რეგიონს შორის ნორმალური საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე ამან 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შემობრუნების დასტურად 2004 წლის ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა პროგრამა, რომელიც 2003 წელს შეჩერებულ იქნა იმდროინდელი მთავრობის უუნარობისა და კორუმპირებულობის გამო.

ახალმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა კრიმინალსა და კორუფციას. ძლიერმა საპრეზიდენტო მმართველობამ შესაძლებელი გახადა ყველასაგან მოძულებული საგზაო პოლიცია სწრაფად შეცვლილიყო დასავლური ტიპის საპატრულო პოლიციით. ენერგეტიკულ სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და არსებითად გაუმჯობესდა ელექტროენერგიის მიწოდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ შემოიღო ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელმაც უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდების საბჭოთა პერიოდიდან თანდაყოლილი კორუფციული სისტემა ჩაანაცვლა. ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი, დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად ე. წ. „თავისუფლების საფასურს" იხდიდნენ. ამან მთავრობას მისცა დამატებითი შემოსავლები, რომლებიც ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ იქმნებოდა შემო-

სავლების დამატებითი წყაროც. თუმცა აშკარაა, რომ ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორიცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების პრაქტიკის გამარტივება და გადასახადებისა და ტარიფების განაკვეთების შემცირება, რამაც აშკარად მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება. ამ რეფორმების ლიბერტარიანისტურად გამოცხადებამ და ინტენსიურმა „გაპიარებამ" საქართველოს მთავრობის წევრებს ლიბერტარიანისტების იმიჯი შეუქმნა.

საქართველოში ფინანსური სიტუაციის გაჯანსაღებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას მისცა შესაძლებლობა, არსებითად გაეუმჯობესებინა მდგომარეობა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. აშშ-ისა და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების დახმარებით სამხედრო მზადყოფნა მნიშვნელოვნად ამაღლდა, ხოლო ქართულმა სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც გაიგზავნენ ერაყსა და ავღანეთში, კოალიციის ოფიციალური პირების უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს.

## § IV.2. ლიბერალური იმპერია და რუსული ფაქტორის გაძლიერება*

ლიბერალური იმპერიის რუსული მოდელი ეფუძვნება რუსულ ევრაზიანიზმს (მაგალითად, Dugin, 2005; Дугин, 1997, 2004; Дугин (ред.), 2004), რომელსაც რუსეთში ღრმა ფესვები აქვს გადგმული (Гловели, 2000). ევრაზიანიზმის მიზანია თეორიული საფუძვლები მოუძებნოს რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს და ამით

---

* ამ პარაგრაფის თანაავტორი არის თამარ თაფლაძე (პაპავა, თაფლაძე, 2009).

გაამართლოს ის (ისმაილოვი, პაპავა, 2012; Ismailov, Papava, 2010; Papava, 2013).

ხაზგასასმელია, რომ თავისთავად ლიბერალური იმპერიის იდეა სულაც არ არის რუსული (Крупнов, 2005), და რომ პირველად მან დიდ ბრიტანეთში გაიჟღერა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (Matthew, 1973), ხოლო განვითარება XX საუკუნის ბოლოს ჰპოვა (Reiff, 1999), და საბოლოოდ ამერიკული „ელფერიც" კი მიიღო (Farrell, 2005). სავარაუდოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსული ვერსიის შექმნა „დააჩქარა" აშშ-ის სამხედრო ოპერაციებმა ავღანეთსა და ირანში (Torbakov, 2003), რომელიც მიზნად ამერიკული დემოკრატიული იმპერიის შექმნას (Kurtz, 2003) ისახავს.

პოსტრევოლუციურ საქართველოში აშკარად გაძლიერდა რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულება (Papava, 2006c).

პრობლემის არსში გასარკვევად აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ 2003 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში – „ნეზავისიმაია გაზეტაში" დაიბეჭდა ცნობილი რუსი პოლიტიკოსისა და ეკონომისტის, ელექტროენერგეტიკული გიგანტის „რაო ეეს"-ის ხელმძღვანელის, ანატოლი ჩუბაისის წერილი სათაურით „რუსეთის მისია XXI საუკუნეში", რომელშიც გატარებულია აზრი პოსტსაბჭოთა სივრცეში ე. წ. „ლიბერალური იმპერიის" შექმნის შესახებ (Чубайс, 2003). სიტყვა „ლიბერალურს" ის დატვირთვა აქვს, რომ ახალი იმპერიის შექმნა არა ძალადობის გზით უნდა განხორციელდეს, არამედ რუსულმა მსხვილმა კომპანიებმა (სულერთია სახელმწიფო თუ კერძო) ხელთ უნდა იგდონ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული საწარმოები, რამაც საბოლოო ანგარიშით, უნდა უზრუნველყოს მოსკოვის პოლიტიკური ზეგავლენის ზრდა ამ ქვეყნებზე.

ლიბერალური იმპერია, მის შემოქმედთა აზრით, უნდა დაეყრდნოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა არა სამხედრო გზით დაპყრობას, არამედ მათ ტეროტორიებზე განლაგებულ ობიექტთა ხელში ჩაგდებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღე-

ბოა რუსეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებში (Crane, Peterson, Oliker, 2005). ასევე საყურადღებოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსულ იდეაში, მისი განმავითარებლები და განმახორციელებლები ძირითად ყურადღებას ამახვილებენ სიტყვა „ლიბერალურზე", და ცდილობენ საერთოდ არ „შეამჩნიონ" სიტყვა „იმპერია", რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ კი გავითვალისწინებთ იმას, რომ პუტინის რეჟიმის რუსეთი ძალზედ შორსაა დემოკრატიისა და ლიბერალიზმისაგან (მაგალითად, Åslund, 2005; Trenin, 2005).

ამასთან, უნდა გვახსოვდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მიერ გატარებული ენერგეტიკული დამოკიდებულობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკა (Balzer, 2005), რომლის თანახმადაც, როცა პირველი იზრდება, მეორე სუსტდება (Smith, 2004, pp. 5-8). ეს სრულად ჯდება რუსეთის მიერ ლიბერალური იმპერიის შექმნის სქემაში, როცა აქცენტი გაკეთებულია ენერგეტიკული იმპერიის ფორმირებაზე (Hill, 2004).

კავკასიაში ლიბერალური იმპერიის შექმნა რუსეთმა დაიწყო სომხეთით, როცა უკანასკნელმა 93 მლნ აშშ დოლარის ვალის სანაცვლოდ 2002 წელს (საყურადღებოა, რომ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ) რუსეთს საკუთრებაში გადასცა შესაბამისი ღირებულების ობიექტები. 2006 წლის დასაწყისში კი მომდევნო ნაბიჯი გადაიდგა, როცა გაზის გაორმაგებული ფასის ძველ დონეზე შენარჩუნების მიზნით რუსეთის ხელში ახალი აქტივები გადავიდა.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და სომხეთს საერთო საზღვარი არ გააჩნია, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის გზაზე, განსაკუთრებული როლი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენიჭება. საქართველოს ლიბერალური იმპერიის ქსელში მოქცევის შემდეგ კი აზერბაიჯანის ბედიც გადაწყვეტილი იქნება, რამეთუ მისი სტრატეგიული ეკონომიკური პროექტები უშუალოდაა საქართველოსთან დაკავშირებული (Papava, 2006a).

საქართველოს მოქცევა ლიბერალური იმპერიის ქსელში ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა გაკოტრებული ამერიკული კომპანიის „ეიიეს სილქ როუდ"-ის აქციები „რაო ეეს"-მა შეიძინა.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესში რუსული კაპიტალის შემოსვლას საქართველოს ეკონომიკაში მთავრობისგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა. ამის საუკეთესო მაგალითია ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტის რუსული ჰოლდინგის „პრომიშლენნიე ინვესტორის" მიერ დაფუძნებული კომპანიის „სტეტონ ექვიტიზ"-ისათვის მიყიდვა.

რუსული კაპიტალისადმი საქართველოს მთავრობის კეთილგანწყობით გამხნევებულმა, კარგა ხნის წინ პრივატიზებული „გაერთიანებული ქართული ბანკის" მესაკუთრეებმა აქციათა საკონტროლო პაკეტი მიჰყიდეს რუსულ „ვნეშტორგბანკს", რომლის აქციათა 99% რუსეთის მთავრობის ხელთაა. პრაქტიკულად, განხორციელდა გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია, ოღონდ არა საქართველოს, არამედ რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ. საყურადღებოა, რომ საქართველოში შემოსვლამდე ცოტათი ადრე „ვნეშტორგბანკმა" სომხური „არმსბერბანკის" აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა.

განსაკუთრებული და თანაც აშკარა აგრესიულობით „გაზპრომი" გამოირჩეოდა, რომელმაც რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ამ გაზსადენის ვითომდა პრივატიზაციის კონტექსტში მოლაპარაკებაც კი დაიწყო გაზპრომთან, თუმცა, აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო პრივატიზაციად მონათლული რუსული სახელმწიფო კომპანია გაზპრომისათვის გაზსადენის მიყიდვა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ პროცესში აშშ ჩაერია აქტიურად, საქართველოს მთავრობისა და გაზპრომის გარიგება ჩაიშალა, რითაც რუსეთმა პირველი სერიოზული დარტყმა მიიღო

საქართველოს ლიბერალურ იმპერიაში სრულად მოქცევის გეგმის განხორციელებაში.

2006 წლის ბოლოს რუსული გაზის ფასის გაორმაგების სანაცვლოდ გაზპრომმა კვლავ დააყენა საკითხი სხვადასხვა ობიექტის მისთვის საკუთრებაში გადაცემაზე.

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში მოქცევის პროცესი სწორედ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გააქტიურდა (პაპავა, თაფლაძე, 2009; Papava, Starr, 2006).

## § IV.3. ფსევდორეფორმები

აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი საკანონმდებლოს დამორჩილებამ მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა შეამცირა. შედეგად კანონის უზენაესობის ხელყოფის არაერთი შემთხვევა მივიღეთ. პარლამენტი იმდენად დასუსტდა, რომ მას „მთავრობის ნოტარიუსიც" კი შეარქვეს. პარლამენტის დასუსტებას კი ისიც დაემატა, რომ სასამართლომაც დაკარგა დამოუკიდებლობა და ის გენერალური პროკურატურისა და მთავრობის სრულ კონტროლქვეშ აღმოჩნდა.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები სამსახურიდან მასობრივად გაიყარა, ხოლო ინსტიტუციონალური რეფორმები ბოლომდე გააზრებული არც კი იყო. გამოცდილი კადრების სანაცვლოდ (ხშირ შემთხვევაში უკანონოდ) სამსახურში აყვანილ იქნენ საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდები, რამაც ინსტიტუციური მეხსიერების მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვია. ამ პრობლემამ ყველაზე უფრო მწვავედ თავი იჩინა მთავრობის არაპროფესიონალიზმში, რაც სამინისტროებს შორის ფუნქციების განაწილებაშიც გამოიხატა. კერძოდ, 2007 წლის შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გაუქმებული ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქცია, ხოლო

2006 წლის გაზაფხულზე თავდაცვის მინისტრს დაევალა ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება.

რევოლუციურ ტალღაზე ჩატარებული მთავრობის რეორგანიზაცია არაერთ სამინისტროსა თუ დეპარტამენტს შეეხო. კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც რევოლუციამდე როგორც დამოუკიდებელი ერთეული უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, იმისდა მიუხედავად რომ ეს აშკარად ინტერესთა კონფლიქტს მოასწავებდა. შედეგად სტატისტიკას საქართველოში იგივე პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა, რაც მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა; ეს კი იმაში გამოიხატა, რომ ფაქტების მიუხედავად სახელმწიფო სტატისტიკას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ყოველწლიურად უპირობო გაუმჯობესება უნდა ეჩვენებინა. მაგალითისათვის გავიხსენოთ, რომ 2006 წლის აგვისტოში სტატისტიკის დეპარტამენტს „შემთხვევით გაეპარა" და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგომარეობით 14,5 პროცენტის დონეზე დააფიქსირა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მწვავე კრიტიკის შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდომარე გადააყენა და მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის „შემცირება". მთავრობის განცხადების თანახმად 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით წლიური ინფლაცია 9,2 პროცენტის დონეზე იქნა დაფიქსირებული, რითაც ფორმალურად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ამ უკანასკნელმა მომხდარზე თვალის დახუჭვა ამჯობინა.

საქართველოს ეკონომიკაში გატარებულ ცალკეულ ნაბიჯს, რომელიც არა მარტო ეკონომიკურ თეორიას, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება, ძნელია მოეძებნოს რაიმე დასაბუთება და მით უფრო გამართლება.

ამ ტიპის ეკონომიკურ ნაბიჯებში განსაკუთრებით გამოირჩევა დასაქმების 50 ათასი კაცით გაზრდის კეთილშობილური მიზნების მქონე ღონისძიება, რომლის თანახმადაც მეწარმეებს იმპერატიულ ტონალობაში ეთხოვათ სამი თვის განმავლობაში

დაესაქმებინათ უმუშევრები, რომლებიც ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ თვეში 150 ლარის ოდენობით, ანუ მთლიანად ამ ღონისძიებაზე ბიუჯეტიდან გამოიყო 22,5 მლნ ლარი. აშკარაა, რომ ნებისმიერ მეწარმეს, თუ კი სურვილი აქვს გააფართოვოს ბიზნესი, უშუალო დახმარება ბიუჯეტიდან არ ესაჭიროება. მთავრობის მხრიდან კი ისაა გასაკეთებელი, რომ ხელი შეუწყოს პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარებას, რაც საქართველოს მთავრობამ სავსებით სამართლიანად აიღო თავის თავზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული 22,5 მლნ ლარის შედეგად ერთეულები მართლა დასაქმდნენ, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მოხდა ჩვეულებრივი გარიგება: მეწარმეები თანახმა იყვნენ ხელი მოეწერათ ნებისმიერ დოკუმენტზე, თითქოს კონკრეტული პირი სამსახურში დადის და რაღაცას აკეთებს. უმუშევრებიც კმაყოფილი დარჩნენ, რადგან ისინი 450 ლარს არაფერში იღებდნენ. უფრო მახინჯი სიტუაციებიც დაფიქსირდა – ზოგი მეწარმე ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწერდა შესაბამის დოკუმენტზე, თუ უმუშევარი მას თანხის ნახევარს მისცემდა.

როგორც ცნობილია, პროდუქციის ფასში ხელფასის წილი საშუალოდ 20%-ის დონეზეა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ხელფასის სახით დახარჯულმა 22,5 მლნ ლარმა, სხვა თანაბარ პირობებში საშუალოდ, 5-ჯერ მეტი ანუ 112,5 მლნ ლარის ღირებულების პროდუქცია და მომსახურება უნდა შექმნას. ჩვენს შემთხვევაში, რეალურად დასაქმებულთა სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ოპტიმისტური ექსპერტული შეფასებით, ის არ იყო ამ პროექტით მოცულთა 10%-ზე მეტი.

საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ზრდის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი 22,5 მლნ ლარის შინაარსობრივი დატვირთვა უმთავრესად უმუშევართათვის შემწეობის გაღებით გამოიხატა. ეს თანხა ისე გავიდა ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად, რომ ადეკვატური ოდენობის პროდუქცია და მომსახურება არ შეუქმნია, რამაც ბუნებრივად ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი. მაშასადამე, ამ ტიპის ეკონო-

მიკური ღონისძიება მის წინაშე მდგარი თუნდაც კეთილშობილური მიზნის მიღწევას ვერანაირად უზრუნველყოფს, სამაგიეროდ მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას კი, სამწუხაროდ, ხელს უწყობს. სამწუხაროდ, უფრო ფართე მასშტაბში, მთავრობამ იმავე შინაარსის პროგრამა 2007 წლის დეკემბერში განაახლა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში გაუქმდა არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური, საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამსახური), რამაც, ერთი მხრივ, მოსახლეობა დააზარალა, ხოლო, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო დააკნინა. ამ ტიპის ღონისძიებები შეიძლება შევადაროთ თავის ტკივილის მკურნალობას თავის მოჭრის გზით: თუ კი თავი არ გაქვს, ის არც არასოდეს აგტკივდება!

მთავრობის მხრიდან კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უგულვებელყოფა ყველაზე ნათლად საკუთრების უფლების ხელყოფაში გამოიხატა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო დეპრივატიზაციის პროცესი, როცა პრივატიზებული ობიექტები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული (რაც ცალკეულ შემთხვევაში არც კი იყო დასაბუთებული) შეცდომების გამოსწორების საბაბით ჩამოერთმევა კერძო მესაკუთრეს და უბრუნდება სახელმწიფოს ხელახალი პრივატიზაციის მიზნით. სხვა სიტყვებით, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირება თავიდან იწყება, რაც ამ ინსტიტუტის დაუცველობაზე მეტყველებს (Papava, 2006b). თავის მხრივ კი, საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და განვითარება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გარეშე შეუძლებელია. გარდა ხსენებულისა, დეპრივატიზაციის საშიში შედეგი რევანშის მოლოდინის ფორმირებაშიც გამოიხატება, როცა საკუთრება ჩამორთმეულები ელოდებიან მათთვის ხელსაყრელ მომენტს, რათა წართმეული დაიბრუნონ, რაც საზოგადოდ კერძო საკუთრების ინსტიტუტის სტაბილურობას ასევე უთხრის ძირს.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ამგვარი ტიპის ღონისძიებები არც თუ იშვიათი იყო პოსტრევოლუციურ საქართველოს სინამდვილეში (Christiansen, 2006).

მთავრობის მიერ საკუთრების უფლების დარღვევა ასევე გამოვლინდა კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ნგრევაში, იმისდა მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში მესაკუთრეებს საკუთრებისა და მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგში ჰქონდათ. ერთადერთი არგუმენტი, რითაც მთავრობა თავს იმართლებდა, იყო ის, რომ ეს ქმედება ვითომდა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, ამ ფაქტებზე დასავლეთს ყურადღება არ გაუმახვილებია. უფრო მეტიც, მსოფლიო ბანკის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ ბიზნესის წარმართვის მოხსენებაში, საქართველოს, მისი მთავრობის მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის არაერთი ფაქტის მიუხედავად, მსოფლიოში მე-18 ადგილი მიენიჭა (WB, 2007).

პოსტრევოლუციური მთავრობის ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ყველა მიესალმებოდა, თუმცა სინამდვილეში ის კი არ გამქრალა, არამედ მან მხოლოდ ტრანასფორმაცია განიცადა. ბიუჯეტგარეშე ანგარიშებიდან ხარჯვა, რომელიც უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო, საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მთავრობა გადაერთო ბიზნესზე და მას აიძულებდა ამ ანგარიშებზე ე. წ. „ნებაყოფლობითი შენატანები" ჩაერიცხა. ასე რომ, თუ რევოლუციამდელ მთავრობას ქრთამის ასაღებად ჯიბეები ჰქონდა გახსნილი, პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ჯიბეები „დახურა" და მათ სანაცვლოდ ანგარიშები გახსნა. თავიდან ამ ანგარიშების არსებობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეგნებულად ხუჭავდა თვალს, რადგანაც მას მექრთამეობასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებად თვლიდა. მოგვიანებით კი ის იძულებული შეიქნა, საკუთარი თავისთვის მაინც ეღიარებინა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კორუფციული მეთოდით შეცდომა იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით

ბიუჯეტგარეშე ანგარიშები მხოლოდ 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა.

მასობრივი კორუფციის წინააღმდეგ წარმატებულად განხორციელებული ბრძოლის ფონზე, ელიტარულ ფენაში კორუფცია მაინც დარჩა მთავრობის პრობლემად. ეს კი ზედაპირზე, და თანაც ყველაზე რელიეფურად მაშინ ამოტივტივდა, როცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პრეზიდენტის უახლოესი წრის ერთ-ერთი წარმომადგენელი მას შემდეგ, რაც მან შექმნა ოპოზიციური პარტია და პრეზიდენტის წინააღმდეგ სკანდალური განცხადებები გააკეთა, კორუფციაში იქნა დადანაშაულებული. ეს შემთხვევა იმითაც ნიშანდობლივია, რომ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის არც ერთი წევრი სულაც არ იყო „დაზღვეული" იმისაგან, რომ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მათი კორუფციული საქმიანობის ფაქტებიც არ გამომჟღავნდება. შედეგად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ არანაკლები წარმატებით პოლიტიკური ოპონენტების გასაჩუმებლადაც გამოიყენებოდა. ეს კი რეალური დემოკრატიისაგან აშკარა უკუსვლა იყო.

## § IV.4. რატომ ხუჭავდა დასავლეთი თვალს?

ფსევდორეფორმები აშკარად გვაშორებდნენ ევროპის ეკონომიკური მოდელისაგან, ხოლო სახელმწიფოს მმართველობაში გადადგმული არადემოკრატიული ნაბიჯები ევროპულ ფასეულობებს ასევე აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ. მიუხედავად ამისა პოსტრევოლუციური მთავრობის მიღწევები დასავლეთისაგან ფართო მხარდაჭერას პოულობდა, შეცდომები კი მხოლოდ ძალზედ ზომიერი (და ისიც უკეთეს შემთხვევაში) კრიტიკის საფუძველი თუ გამხდარა. აქ ბუნებრივად იბადება კითხვები, თუ რატომ ხუჭავდა 2007 წლის 7 ნოემბრამდე დასავლეთი თვალს ყველა ხსე-

ნებულ შეცდომაზე, და რატომ დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის, მისი მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის კრიტიკა მხოლოდ ნოემბრის მოვლენების შემდეგ? ან თუნდაც რატომ არ მოითხოვდა დასავლეთი საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობისაგან საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის დასავლური სტანდარტების დაცვას?

ერთი მხრივ, დასავლეთი მოხიბლული იყო საქართველოს პრეზიდენტით, ისეთი პოსტსაბჭოთა ლიდერით, რომელსაც საუნივერსიტეტო განათლება დასავლეთში ჰქონდა მიღებული, და რომელიც, როგორც დემოკრატიულ ფასეულობათა, ადამიანის უფლებათა და საბაზრო ეკონომიკის მხარდამჭერი, თავის მჭევრმეტყველებითაც გამოირჩეოდა. პროდასავლური ორიენტაციის მტკიცებულებად ისიც აღიქმებოდა, რომ ოფიციალური განცხადებების თანახმად საქართველო მიილტვის ნატო-სა და ევროკავშირისაკენ, რომ ქვეყნის სამხედრო ნაწილები მონაწილეობდნენ ერაყში ანტიტერორისტულ, და კოსოვოსა და ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციებში (საყურადღებოა, რომ ყოველივე ამას საფუძველი ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით ჩაეყარა), რაც კიდევ უფრო აძლიერებდა საქართველოს პრეზიდენტისადმი დასავლეთის მხარდაჭერას.

სამწუხაროდ, დასავლურ აუდიტორიაზე გამიზნული მომხიბვლელი ტონისა და მანერებისაგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტის რიტორიკა საქართველოში დაუფარავი აგრესიულობით (ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს კულტურისა და მეცნირების უფროსი თაობის მიმართ ტელევიზიით გამოთქმული შეფასება, რომ ისინი „ჩასარეცხები“ არიან) ხასიათდებოდა. საზოგადოების მიმართ მისმა მტრულმა განწყობამ და დემოკრატიული ფასეულობებიდან ხსენებულმა გადახვევებმა საქართველოში ბევრი განაწყო იმისათვის, რომ საქართველოს პრეზიდენტში ავტორიტარული მმართველი და, იმავდროულად, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი დემოკრატიის ყოველდღიური დასუსტება დაენახა.

დასავლეთს ასევე მოსწონდა საქართველოს პრეზიდენტის დაუფარავი ანტირუსული რიტორიკა, რომელიც რუსეთის პოლიტიკური ლიდერების მიმართ სიმკაცრის გარდა, ხანდახან დამცინავიც კი იყო. თუმცა დასავლეთი თითქმის არანაირ ყურადღებას არ აქცევდა იმ ფაქტებს, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველომ ფართოდ გაუღო კარი რუსულ კაპიტალს, რომლის შემოდინებაც არც მაშინ შეწყვეტილა, როცა 2006 წლის გაზაფხულზე საქართველოდან იმპორტზე რუსეთმა ემბარგო დააწესა და არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. ის, რომ კრემლი დაუფარავად გამოხატავდა სიძულვილს საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობისა და თავად საქართველოს პრეზიდენტის მიმართაც (რაც საქართველოს ტერიტორიის დაბომბვასა, თუ რუსული პასპორტების დარიგებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ანექსიაში გამოიხატებოდა), კიდევ უფრო აძლიერებდა დასავლეთის მხრიდან საქართველოსა და მისი ლიდერების მხარდაჭერას. დასავლეთმა ანტირუსული რიტორიკა, სამწუხაროდ, შეგნებულად ჩაუთვალა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პროდასავლურობად (Papava, 2012).

მოკლედ, საქართველოს ვითომდა პროდასავლური კურსი და ანტირუსული რიტორიკა გახდა საფუძველი, დასავლეთს პოსტრევოლუციური მთავრობის შეცდომებზე თვალი დაეხუჭა. რასაც ბრწყინვალედ იყენებდა საქართველოს პრეზიდენტი და მისი გუნდი. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც 2005 წლის მაისში საქართველოს აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ეწვია, ქვეყნის ხელმძღვანელობამ ეს ვიზიტი როგორც უკვე ჩადენილ თუ მომავალში ჩასადენ ანტიდემოკრატიულ ქმედებათა ინდულგენციად აღიქვა.

საქართველოს გამოცდილება თვალნათლივ ცხადყოფს, რომ შეცდომაა პროდასავლური და ანტირუსული ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ფასეულობებთან გაიგივება (Papava, 2008).

საქართველოს გამოცდილება ასევე ცხადყოფს, რომ დასავლეთი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ორმაგი სტანდარ-

ტით ხელმძღვანელობს: ერთი თავისათვის, ხოლო მეორე ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა (Papava, 2012). მიუხედავად იმისა, რომ პოსტრევოლუციურ საქართველოში ყველა მიესალმებოდა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებას, სინამდვილეში მთავრობამ ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკას საკუთარ თავზე მორგებული ეკონომიკა ამჯობინა, ხოლო დემოკრატიას – ავტორიტარიზმი. იმის გამო, რომ დასავლეთი საქართველოს პრეზიდენტის მომხიბვლელ რიტორიკას მისი მმართველობის რეალური სტილისაგან არ ასხვავებდა, ამით დასავლეთი ღალატობდა საკუთარ იდეალებს, ხოლო ქართველების თვალში სულ უფრო მეტად აღიქმებოდა როგორც ავტორიტარული რეჟიმის მხარდამჭერი.

## § IV.5. ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა უკრაინაში

2014 წელს უკრაინასა და რუსეთს შორის განვითარებული დაპირისპირების გამო მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია უკრაინისადმი, რომელიც აღმოჩნდა ურთულესი პრობლემების გადაჭრის წინაშე. ამ პრობლემათა ჩამონათვალში ეკონომიკას ნამდვილად არ უკავია ბოლო ადგილი. კორუფციით დასნეულებული უკრაინის სახელმწიფო და მისი ეკონომიკა ამ კუთხით ჩამოჰგავს XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოსას. სწორედ ეს გახლდათ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ვერც საქართველოს მთავრობამ 2003 წლის შემოდგომაზე, და ვერც უკრაინისამ 10 წლის შემდეგ, საპროტესტო აქციების პირობებში, ვერ შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება. ამ კონტექსტში საინტერესო ხდება ეკონომიკური გარდაქმნების ქართული გამოცდილების უკრაინის მიერ გაზიარების მიზანშეწონილობა. საკითხის აქტუალურობას ისიც აძლიერებს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენ-

ტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მთავრობამ მრჩევლის რანგში მიიწვია, ხოლო სააკაშვილის მთავრობისდროინდელი ეკონომიკური რეფორმების მთავარი იდეოლოგი, საქართველოს მთავრობის ყოფილი წევრი კახა ბენდუქიძე უკრაინის მთავრობის მრჩეველი გახდა ეკონომიკურ საკითხებში.

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში დაიწყო მასშტაბური გარდაქმნები. განსაკუთრებული მიზანსწრაფულობა რეფორმებმა 2004 წლის ზაფხულიდან შეიძინა, როცა მოსკოვიდან საქართველოს მთავრობაში სამუშაოდ რუსი ოლიგარქი, ეთნიკურად ქართველი კახა ბენდუქიძე მოიწვიეს. ის, როგორც სამრეწველო ჰოლდინგის „გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" («Объединенные машиностроительные заводы») გენერალური დირექტორი, საკმაოდ დაახლოებული იყო პუტინის რეჟიმთან, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰოლდინგში შემავალი ქარხნები აწარმოებენ საკმაოდ რთულ მანქანა-დანადგარებს, მათ შორის, დანადგარებს ატომური ენერგეტიკისათვის.

ბ-ნი ბენდუქიძე საქვეყნოდ ცნობილია ლიბერტარიანული განცხადებებით, რამაც 2003 წლის შემდეგ საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმების მიმართ შექმნა იმის განწყობა, რომ ეს რეფორმებიც საერთაშორისო დონეზე მონათლულიყო როგორც ლიბერტარიანული. ამ მოსაზრებას საფუძველს უმყარებდა ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების დიდი რაოდენობის გაუქმება, ხოლო დარჩენილების აღების წესის გამარტივება, მთავრობისაგან სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების გაცემის სისტემის არსებითი გამარტივება, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, გადასახადების გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, და სხვა. ამ ტიპის რეფორმებმა საქართველო მსოფლიო ბანკის ცნობილი რეიტინგის მიხედვით "Doing Business" რეფორმების ლიდერ ქვეყნად აქცია, თუმცა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩა მის უშუალო მეზობელ „არალიბერტარიანული" მთავრობის მქონე სომხეთს (მეორე მეზობლის, აზერბაიჯანის ეკონომიკური

ზრდა ამ პერიოდში გამოწვეული იყო ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და მათი ექსპორტის ზრდით, და ამდენად, არ გამოდგება შედარებისათვის). კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, თუ 2002-2003 წლებში საქართველოსა და სომხეთში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის თანაბარი იყო, 2011 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 94%-ს შეადგენდა.

ამ რეფორმების პარალელურად, სააკაშვილის მთავრობა სისტემატურად არღვევდა საკუთრების უფლებას და არც იმას ერიდებოდა, რომ მეწარმეებს იძულების წესით გადაერიცხათ თავისი მოგების ნაწილი არასაბიუჯეტო ფონდებში (რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდებოდა მთავრობის წევრებთან დაახლოებული პირების ბიზნესზე), ხოლო სასამართლო სისტემა უშუალოდ იყო პროკურატურის კონტროლქვეშ, რასაც როგორც არაერთი საერთაშორისო, ისე მრავალი ადგილობრივი დამკვირვებელი აღიარებდა. სამწუხაროა, მაგრამ ამ ანტილიბერტარიანულ (სინამდვილეში, ნეობოლშევიკურ) ფაქტებზე არა თუ პროტესტი, არამედ რაიმე კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ მთავრობაში მყოფ „ლიბერტარიანელებს“.

ის, რომ ზოგადად ადამიანი თავისთვის, როგორც წესი, ლიბერტარიანელია, სულაც არ არის გასაკვირი – არავის არ სურს, რომ მის საქმეში სხვა ჩაერიოს, ან მისი უფლებები რაიმეთი შეიზღუდოს. ნამდვილი ლიბერტარიანელი კი ისაა, ვინც ლიბერტარიანელი, უწინარეს ყოვლისა, სხვისთვისაა, რის შედეგადაც ის ლიბერტარიანელია ზოგადად.

ბატონი ბენდუქიძის მიერ შექმნილი ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელის უმთავრესი თავისებურება არის ის, რომ მისი ამოსავალი პრინციპია „ლიბერტარიანიზმი მხოლოდ საკუთარი ბიზნესისათვის!“

იმ გუნდისათვის, რომელიც ბ-ნმა ბენდუქიძემ შემოიკრიბა დამახასიათებელი იყო ის, რომ მათ უმრავლესობას, ისევე, როგორც მათ ლიდერს, არ გააჩნდათ ეკონომიკური განათლება. ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების არცოდნის პირობებში

კი მათთვის ყველაზე ადვილი იყო ლიბერტარიანული შეხედულებების გაზიარება: როცა არ იცი ბაზრის ჩავარდნების და მათი დაძლევის სირთულეების შესახებ, ძალზედ ადვილია ერთადერთ გამართლებულ პრინციპად აღიარო სახელმწიფოს მაქსიმალური არ ჩარევა ეკონომიკაში.

მაშასადამე, ქართველი „ლიბერტარიანელები" ნამდვილი ლიბერტარიანელებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ქართველებისათვის ლიბერტარიანიზმი არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძვნებული არჩევანი, პირიქით მათთვის ლიბერტარიანიზმი ეკონომიკის არცოდნის დამალვისათვის საჭირო ნიღაბია!

ქართველი „ლიბერტარიანელების" ინიციატივით 2005 წლიდან გაუქმდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ხოლო როცა 2007 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა მარილის და შაქრის ბაზრების ანტიმონოპოლიური რეგულირება შინაგან საქმეთა სამინისტროს (რომელიც საქართველოში აერთიანებდა პოლიციას, უშიშროებისა და საზღვრის დაცვის სამსახურებს) დაავალა, ამ ფსევდოლიბერტარიანელებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. ისინი მაშინაც დუმდნენ, როცა 2006 წელს რუსეთმა აკრძალა საქართველოში წარმოებული პროდუქტების იმპორტი და პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამის საპასუხოდ თავდაცვის მინისტრს დაავალა ქართული ღვინისათვის საერთაშორისო ბაზრების მოძიება, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ თავადაცვის სამინისტროში შეიქმნა ღვინის ექსპორტის დეპარტამენტი.

როცა ევროკავშირთან დღის წესრიგში დადგა ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმების მისაღწევად ბრიუსელის მიერ წამოყენებული პირობების (ანტიმონოპოლიური, სასურსათო უსაფრთხოებისა და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღება) შესრულება, ქართველი „ლიბერტარიანელები" ყველანაირად აჭიანურებდნენ ამის გაკეთებას, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილის საყვარელი მოწოდება საქართველოს სინგაპურიზაცია იყო. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველომ ევროკავშირის მოთხოვნათა დიდი ნაწილის შესრულება და მასთან ასოცირების შეთანხმების ხელ-

მოწერა შეძლო 2014 წელს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი ჩამოცილდნენ ხელისუფლებას.

ქართველი „ლიბერტარიანელები“ არათუ ეწინააღმდეგებოდნენ რუსული სახელმწიფო კაპიტალის შემოსვლას საქართველოში, არამედ ყველანაირად ხელს უწყობდნენ ამას. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ერთ-ერთი პრივატიზებული ქართული ბანკის საკონტროლო პაკეტის შეძენა 2005 წელს რუსული სახელმწიფო ბანკის – VTB-ის მიერ (რის შედეგადაც მოხდა კერძო ქართული ბანკის ნაციონალიზაცია რუსეთის მიერ), ან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ორი ჰესის მიყიდვა რუსული საჯარო კომპანია “Inter RAO”-სთვის; ხოლო 2006 წელს, რომ არა ამერიკელების ხელშეშლა, საბჭოთა პერიოდში აშენებული მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც საქართველოზე გავლით რუსეთს აერთიანებს სომხეთთან, ქართველი „ლიბერტარიანელების“ ინიციატივით გაზპრომს უნდა მიყიდვოდა.

აი ამგვარი მრწამსის და გამოცდილების მქონე ქართული „ლიბერტარიანიზმის“ მამა აირჩია უკრაინის მთავრობამ საკუთარ მრჩევლად. საეჭვოა, რომ თუ კიევს მართლა სურს ქვეყნის ევროინტეგრაციის გზით წაყვანა, მას არა მარტო ამ ტიპის ფსევდოლიბერტარიანელი, არამედ თუნდაც ჭეშმარიტი ლიბერტარიანელი გამოადგეს, რადგანაც ევროკავშირის ბაზარი აშკარად გამოკვეთილი სახელმწიფო რეგულირებაზე დაფუძნებული ბაზარია.

იმავდროულად ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკრაინას ნამდვილად გამოადგება ბიზნესის სტიმულირების საქართველოს ზემოხსენებული პოზიტიური გამოცდილება.

რაც შეეხება კორუფციის დაძლევას, ეს უწინარეს ყოვლისა მთავრობის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, და ამის საუკეთესო მაგალითი ისევ საქართველოა, სადაც კორუფციამ უძლიერესი დარტყმა სწორედ ე. წ. „ფსევდოლიბერტარიანული ეპოქის“ დაწყებამდე მიიღო, რის შედეგადაც ყოველგვარი რე-

ფორმის გარეშე უმოკლეს ვადაში მოხერხდა სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გაორმაგება.

დაბოლოს, იმისათვის რომ კიევმა მაღალკვალიფიციური რჩევები მიიღოს ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, სულაც არ არის საჭირო „ველოსიპედის თავიდან გამოგონება", ამისათვის საჭიროა მჭიდროდ ითანამშრომლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან, და, რაც განსაკუთრებით მთავარია, გაიზიაროს ბრიუსელის რეკომენდაციები.

## ლიტერატურა


**დე ვაალი თ., 2011.** *საქართველოს არჩევანი: მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში.* Washington, DC, Carnegie Endowment, http://carnegieendowment.org/files/georgias–choices––georgian.pdf.

**ისმაილოვი ე., პაპავა ვ., 2012.** *ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება.* თბილისი, „ინტელექტი".

**პაპავა ვ., 2008.** პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები,* ტომი 6. თბილისი, „სიახლე".

**პაპავა ვ., თაფლაძე თ., 2009.** „ლიბერალური იმპერიის" რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. *ეკონომისტი,* № 1.

**Applebaum A., 2008.** Getting Past Mythmaking in Georgia. The *Washington Post*, November 20, http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/11/19/AR2008111903533.html.

**Åslund A., 2005.** *Putin's Decline and America's Response*. Policy Brief, 41, August, 2005. Washington, DC, Carnegie Endowment for International Peace.

**Balzer H., 2005.** The Putin Thesis and Russian Energy Policy. *Post-Soviet Affairs*, Vol. 21, No. 3.

**Crane K., Peterson D. J., Oliker O., 2005.** Russian Investment in the Commonwealth of Independent States. *Eurasian Geography and Economics*, Vol. 46, No. 6.

**Christiansen R. E., 2006.** Property Rights, Institutions and Growth: Will Georgia Make the Transition? Presentation Delivered at Cato Conference, *International Monetary Fund, Resident Representative Office in Georgia*, 27 October, http://www.imf.ge/view2.php?lang=1&view=239.

**De Waal T., 2011.** *Georgia's Choices: Charting a Future in Uncertain Times.* Washington, DC, Carnegie Endowment, http://carnegieendowment.org/files/georgias-choices.pdf.

**Dugin A. G., 2005.** *Eurasian Mission (Programme Materials of International Eurasian Movement).* Moscow, ROF "Evrazia.".

**ESI, 2010.** *Reinventing Georgia: The Story of a Libertarian Revolution.* Berlin – Brussels – Istanbul, European Stability Initiative, http://www.esiweb.org/index.php?lang=en&id=322&debate-ID=3.

**Farrell T., 2005.** Strategic Culture and American Empire. *The SAIS Review of International Affairs*, Vol. XXV, No. 2.

**Gurgenidze L., 2009.** Georgia's Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economies. *American Enterprise Institute for Public Policy Research, Development Policy Outlook*, No. 2, June, http://www.aei.org/docLib/02%20DPO%20June%202009%20newg.pdf.

**Hill F., 2004.** *Energy Empire: Oil, Gas and Russia's Revival.* London, The Foreign Policy Centre, http://www.brookings.edu/views/articles/Fhill/20040930.pdf.

**Ismailov E., Papava V., 2010.** *Rethinking Central Eurasia.* Washington, DC, Johns Hopkins University-SAIS, and Stockholm, Institute for Security and Development Policy, http://www.silkroadstudies.org/new/inside/publications/Rethinking.html.

**Jobelius M., 2011.** Georgia's Authoritarian Liberalism. In *South Caucasus-20 Years of Independence.* Tbilisi, Friedrich-Ebert-Stiftung, http://www.fes.ge/images/Fes-Files/2011-GEO/20%20years%20of%20independence%20eng.pdf.

**Kurtz S., 2003.** Democratic Imperialism. *Policy Review*, Is. 118, April/May.

**Lazarus J., 2010.** *Neo-Liberal State Building and Western "Democracy Promotion": the Case of Georgia.* Prepared for delivery at the 2010 SGIR 7th Pan-European Conference on International Relations. Stockholm, Sweden, September 9-11, 2010, http://www.eisa-net.org/be-bruga/eisa/

files/events/stockholm/Neo-liberal%20state%20building%20and%20democracy%20promotion%20in%20Georgia.pdf.

**MacFarlane S. N., 2011.** Post-Revolutionary Georgia on the Edge? *Chatham House Briefing Paper*, March 2011, http://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/public/Research/Russia%20and%20Eurasia/bp0311–macfarlane.pdf.

**Matthew H. C. G., 1973.** *The Liberal Imperialists. The Ideas and Politics of a Post-Gladstonian Élite.* Oxford, Oxford University Press.

**Mitchell L. A., 2009.** *Uncertain Democracy: U.S. Foreign Policy and Georgia's Rose Revolution.* Philadelphia, University of Pennsylvania Press.

**Papava V., 2006a.** Comparative Advantages of the Central Caucasian Countries: Potential, Realised, and Missed Opportunities. *The Caucasus & Globalisation*, No. 1.

**Papava V., 2006b.** Corruption and Primary Accumulation of Capital in Transitional Economies. *Ludwig von Mises Institute Working Papers*, 10/17/2006, http://www.mises.org/journals/scholar/papava.pdf.

**Papava V., 2006c.** The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *Orbis. A Journal of World Affairs*, Vol. 50, No.4.

**Papava V., 2008.** Georgia's Hollow Revolution: Does Georgia's Pro-Western and Anti-Russian Policy Amount to Democracy? *The Harvard International Review*, February 06, http://www.harvardir.org/articles/1682/1/

**Papava V., 2009.** Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution. *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Is. 1.

**Papava V., 2012.** Democracy: a Goal or a Merely a Commitment for the West? *Open Democracy*, 21 May, http://www.opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/democracy-goal-or-merely-commitment-for-west.

**Papava V., 2013.** The Eurasianism of Russian Anti-Westernism and the Concept of "Central Caucaso-Asia." *Russian Politics & Law*, Vol. 51, No. 6.

**Papava V., Starr F., 2006.** Russia's Economic Imperialism. *Project Syndicate*, January, http://www.project-syndicate.org/commentary/papava1.

**Papava V., Tokmazishvili M., 2006.** Becoming European. Georgia's Strategy for Joining the EU. *Problems of Post-Communism*, Vol. 53, No. 1, January/February.

**Reiff D., 1999.** A New Age of Liberal Imperialism? *World Policy Journal*, Vol. XVI, No. 2.

**Roubanis I., 2009.** Georgia's Pluralistic Feudalism: A Frontline Report. *Open Democracy*, July 3, http://www.opendemocracy.net/article/georgia-pluralistic-feudalism№.

**Rukhadze I., Hauf M., 2009.** The Georgian Economy Under Saakashvili. *The Financial*, April 21, http://www.finchannel.com/index.php?option=com-contentandtask=viewandid=35088andItemid=13.

**Smith K. C., 2004.** *Russian Energy Politics in the Baltics, Poland and Ukraine. A New Stealth Imperialism?* Washington, DC, The CSIS Press.

**Timm C., 2014.** *A Liberal Developmental State in Georgia? State Dominance and Washington Consensus in the Post-Communist Region.* Forschungspapiere Research Papers, PFH Private Hochschule Göttingen, No. 2014/02, https://www.pfh.de/fileadmin/Content/PDF/forschungspapiere/a-liberal-developmental-state-in-georgia-timm.pdf.

**Torbakov I., 2003.** Russian Policymakers Air Notion of "Liberal Empire" in Caucasus, Central Asia. *Eurasia Insight. Eurasianet*, October 27, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav102703.shtml.

**Trenin D., 2005.** *Reading Russia Right.* Policy Brief, 42, October, 2005. Washington, DC, Carnegie Endowment for International Peace.

**Udensiva-Brenner M., 2010.** Kakha Bendukidze Analyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis. *At The Harriman Institute*, April 7, http://www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf.

**WB, 2007.** *Doing Business. Economy Rankings.* Washington, DC, The World Bank Group, http://www.doingbusiness.org/EconomyRankings/

**WB, 2012.** *Fighting Corruption in Public Services. Chronicling Georgia's Reforms.* Washington, DC, The World Bank.

**Буракова Л., 2011.** *Почему у Грузии Получилось.* Москва, ООО «Юнайтед Пресс».

**Гловели Г., 200.** Геополитическая экономия в России. *Вопросы экономики*, №11.

**Дугин А., 1997.** *Основы геополитики. Геополитическое будущее России.* Москва, «Арктогея».

**Дугин А., 2004.** *Основы Евразийства.* Москва, «Арктогея-Центр».

**Дугин А. (ред.), 2004.** *Проект «Евразия».* Москва, Эксмо, Яуза.

**Крупнов Ю., 2005.** Почему либеральная империя в России не получится? *Вестник аналитики*, №2 (20).

**Мендкович Н. А., 2012.** *Цена реформ, или Почему у Грузии не получилось?* Москва, РИСИ.

**Чубайс А., 2003.** Миссия России в XXI веке. *Независимая газета*, 1 октября, http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1–mission.html.

თავი V

# საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „ვარდისფერი“ შეცდომები

## § V. 1. რატომ „ვარდისფერი“?

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების – საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული (მაგალითად, პაპავა, 2000, 2002, თავი III, 2005, თავი IX, 2011ა, თავი 12; МВФ, 1991, 1997). კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმთავრესად ფოკუსირებულია მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, მაშინ როცა მსოფლიო ბანკის პროგრამები გამიზნულია ზოგადად ეკონომიკურ რეფორმებზე, ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, ინფრასტუქტურისა და სექტორალურ განვითარებაზე. მიუხედავად სფეროების ამგვარი გამიჯვნისა, არის ისეთი საკითხები, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური გარდაქმნების სფეროებს ერთდროულად განეკუთვნება, რაც ბუნებრივია კომპლექსურ განხილვას საჭიროებს.

საქართველოში საქმიანობის დასაწყისიდანვე საერთაშორისო სავალუტო ფონდს (Papava, 2003a, 2003b; Папава, 2001, 2002) და მსოფლიო ბანკს (პაპავა, 2011ბ) არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული (იხ. თავი III). განსაკუთრებით განსახილველია ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ (Papava, 2009; Папава, 2009б).

სანამ უშუალოდ შეცდომების გაანალიზებას დავიწყებდეთ, აუცილებელია ყურადღების შეჩერება იმ მიზეზებზე, რაც აღ-

მოჩნდა ამ შეცდომების დაშვების ობიექტიური საფუძველი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ დაშვებულ შეცდომათა უმეტესობა გამოწვეული იყო ფონდის მისიის წევრების მიერ საქართველოს მთავრობისადმი მიცემული მცდარი რეკომენდაციებით, ხოლო 2004 წლიდან მოყოლებული ამ შეცდომების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ გარდაქმნებს, მათ შორის დაშვებულ შეცდომებსაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც შეგნებულად მხოლოდ „ვარდისფერი სათვალით“ უყურებდნენ და „ვარდისფრად“ აღიქვამდნენ. აქედან გამომდინარე, თავად ფონდისა და ბანკის ეს შეცდომები უპრიანია შეფასდეს, როგორც „ვარდისფერი“[1] შეცდომები.

ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც საქართველოში აგერ უკვე ოთხ წელიწადზე მეტი სავსებით შეგნებულად ატარებდნენ წაყრუების პოლიტიკას, ბადებს კითხვას იმის შესახებ, თუ რით იყო ეს გამოწვეული?

უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ 1999 წლიდან მოყოლებული, ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ გუნდში გამეფებული უძრაობის (რომ არაფერი ვთქვათ სხვა ნაკლოვანებებზე) გამო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს (და არა მარტო მათ) იმედი გადაეწურათ, რომ საქართველოს მთავრობა შეძლებდა რეფორმატორულ რელსებზე დაბრუნებას. განსაკუთრებით უიმედოდ გამოიყურებოდა მთავრობის საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და მისი შესრულების სფეროში – გაუთავებელი სეკვესტრები ცხადყოფდა, მთავრობაში არ იყო პოლიტიკური ნება, რომ დაეწყოთ ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და ამის ნიადაგზე შეძლებოდათ საგადასახადო შემოსავლების მობილიზების თვისებრივი გაუმჯობესება. შედეგად 2003 წლის ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეაჩერა საქართველოსთან პროგრამა,

---

[1] ამ თავში სიტყვა „ვარდისფერი“ განსხვავებული შინაარსით გამოიყენება, ვიდრე მთლიანად წიგნში (იხ. წინასიტყვაობა).

რამაც ავტომატურად გამოიწვია მსოფლიო ბანკის პროგრამის შეჩერებაც (Papava, 2006; Папава, 2004) (თუ კი ფონდის დასკვნა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესახებ უარყოფითია, მაშინ მსოფლიო ბანკის პროგრამის დაფინანსებას აზრი ეკარგება, რამეთუ ამ გზით მიღებული ფული მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ვერ იქნება ეფექტიანად და რაც მთავარია, დანიშნულებისამებრ გამოყენებული).

„ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული მთავრობის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ პოლიტიკური ნების არსებობა, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში საფინანსო წესრიგი დამყარდა და უკვე 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები (და არა მარტო) ორჯერ და მეტად გაიზარდა, და ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ეს რეალური წარმატება, რევოლუციით გახმიანებულ დემოკრატიულ ფასეულობებთან ერთად იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამით პრაქტიკულად მონუსხულნი იყვნენ.

ამ წარმატებამ ბიძგი მისცა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, საქართველოს მთავრობასთან განეახლებინა პროგრამა, რასაც მსოფლიო ბანკიდანაც მსგავსი გადაწყვეტილება მოჰყვა.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემების გადაწყვეტა (რაც რევოლუციამდელი მთავრობის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა), ბიუჯეტში შემოსავლების ნახტომისებური ზრდა გახდა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ზეგავლენა საქართველოს მთავრობაზე შესუსტდა: სავალუტო ფონდის მისია ობიექტიურად მიიჩნევდა, რომ მთავრობა წარმატებითართმევდა თავს საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას და ამ სფეროში ფონდის რჩევები ზედმეტიც კი იყო. უფრო მეტიც, თუ 2004 წლამდე სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას პირდაპირი გაგებით უკრძალავდა უვარგისი საგადასახადო კოდექსის შეცვლას, 2004 წელს ფონდს მთავრობისათვის უკვე ხელი აღარ შეუშლია ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა-მიღებაში, რომელიც 2005 წლიდან ამოქმედდა (Хадури, 2006).

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის შესუსტებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია იმან, თუ როგორ გადაწყდა კონფლიქტი საქართველოს მთავრობასა და ფონდის მისიის ხელმძღვანელს შორის, რომელიც უკიდურესად გამწვავდა 2005 წლის გაზაფხულზე და რომელიც სხვა თემებთან ერთად დაკავშირებული იყო არასაბიუჯეტო ფონდების (ამ საკითხს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ) არსებობასთან. ეს კონფლიქტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სრული გამარჯვებით დასრულდა, რომელიც 2005 წლის მაისში ჩავიდა ვაშინგტონში და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვა ფონდის მისიის მოქმედი ხელმძღვანელის შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ძალზედ მაღალი დონის პროფესიონალი იყო, ხოლო მისი მოთხოვნები სამართლიანი, სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა დააკმაყოფილა – მისიის ხელმძღვანელი შეცვალა. ეს კი სერიოზული გაფრთხილება იყო მისიის ყველა წევრისათვის, მისი ახალი ხელმძღვანელისათვის და ფონდის თბილისში მყოფი მუდმივი წარმომადგენლისათვის (რომელმაც შეძლო საბოლოო ჯამში მიეღწია საქართველოს მთავრობასთან შეხმატკბილებული თანამშრომლობისთვის და, რომელსაც საქართველოში ყოფნის ვადა გაუორმაგეს, რაც ფონდის პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა) – ნებისმიერი კონფლიქტი საქართველოს მთავრობასთან მათი კარიერისთვისაც ასევე ცუდად შეიძლებოდა რომ დასრულებულიყო. ბუნებრივია, რომ აქედან მოყოლებული სიტუაციის სერიოზული გამწვავება საქართველოს მთავრობასთან სულაც არ შედიოდა სავალუტო ფონდის ამ თანამშრომლების ინტერესში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საქართველოს პროგრამა 2007 წლის სექტემბერში დასრულდა, ხოლო ახლის დაწყება მთავრობის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. შედეგად ფონდის რეკომენდაციები უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სასურველობის ხასიათის მატარებელი გახდა და მთავრობის მხრიდან არანაირ ვალდებულებასთან არ იყო დაკავშირებული.

## § V.2. ძირითადი შეცდომები

**არასაბიუჯეტო ანგარიშები.** „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ძალოვანი უწყებების არასაბიუჯეტო ანგარიშების შექმნის მიმართულებით გადაიდგა, სადაც ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი, დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად ე. წ. „თავისუფლების საფასურს" იხდიდნენ. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ სახელმწიფოს ექმნებოდა შემოსავლების მიღების დამატებითი წყაროც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, „თავისუფლების საფასურის" მხოლოდ ერთი ნაწილი ხვდებოდა ამ ფონდებში, მეორე კი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში იყრიდა თავს. ამან მთავრობას მისცა დამატებითი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შემოსავლები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასაბიუჯეტო ანგარიშებიდან ხარჯვა, უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო და საზოგადოების მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარებოდა: არასაბიუჯეტო ანგარიშებზე ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი არც პარლამენტისათვის, არც კონტროლის პალატისათვის და არც მედიისათვის. სწორედ ამიტომ ის, თუ რამდენი იქნა ამ გზით თავმოყრილი სახელმწიფო ბიუჯეტში, ხელმისაწვდომი ინფორმაციაა, ხოლო ის, თუ რა თანხები იქნა მოზიდული არასაბიუჯეტო ანგარიშებზე, ექსპერტულ შეფასებასაც კი ძნელად ექვემდებარებოდა.

აშკარაა, რომ ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა. თუ პირველ წრეზე „თავისუფლების საფასურის" აკრეფა მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა, მეორე წრეზე იმავე ყოფილი ჩინოვნიკებისაგან ამ „საფასურის" სახით ნაკლები თანხების მობილიზება გახდა შესაძლებელი, რაც სულაც არ იყო მოულოდნელი, რამეთუ მეორე წრეზე მათ ბევ-

რად ნაკლები თანხები ჰქონდათ იმასთან შედარებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაიწყებოდა.

მეორე წრეზე ამოღებული თანხების სიმწირემ მესამე წრეზე მთავრობა გადართო ბიზნესზე და ბიზნესმენებს აიძულებდა ამ ანგარიშებზე ე. წ. „ნებაყოფლობითი შენატანები" ჩაერიცხათ (Anjaparidze, 2006).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არასაბიუჯეტო ანგარიშების სისტემა პირველად საქართველოში 1992 წლიდან ამოქმედდა, და 1994 წლის მეორე ნახევარში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაწყებული რეფორმების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იყო ის, რომ 1995 წლისათვის ყველა ასეთი ანგარიში ან სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი გახდა, ან საერთოდ გაუქმდა. ამ ფონზე აშკარად მოულოდნელი იყო ის, იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ ანგარიშების რესტავრაციაზე შეგნებულად რომ დახუჭა თვალი.

თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის კულუარებში ამგვარ მიდგომას ასე ხსნიდნენ: „თუ არასაბიუჯეტო ანგარიშების პრაქტიკა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კორუფციის შემცირებას, დაე იყოს ეს ანგარიშებიო". თანაც ეს ანგარიშები მექრთამეობასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებადაც აღიქმებოდა.

რადგანაც არასაბიუჯეტო ანგარიშების გაუმჭვირვალეობა თავადაა კორუფციის წყარო, ამიტომ ამ საკითხში საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა სწორედ ისაა, რომ კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად კორუფციული ინსტიტუტის არსებობას დაუჭირა მხარი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყო ზემოხსენებული მესამე წრე, ანუ მას შემდეგ, რაც დაიწყო ბიზნესმენებისაგან ე. წ. „ნებაყოფლობითი შენატანების" ჩარიცხვა ამ ანგარიშებზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკვე მკაცრად მოითხოვა არასაბიუჯეტო ანგარიშების დახურვა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მას თავდაცვის სამინისტრომ გაუწია, რომლის არასაბიუჯეტო ანგარიში ყველაზე გვიან, მხოლოდ 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა. მართალია, სავალუტო ფონდმა ამ საკითხში დაშვებული შეცდო-

მა გამოასწორა, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მთავრობამ საქართველოში ფონდის მისიის ხელმძღვანელი „დასაჯა“, რამეთუ ის გადაყენებული იქნა ამ თანამდებობიდან, რასაც ზემოთ უკვე გაესვა ხაზი.

და ბოლოს, საყურადღებოა რომ მსოფლიო ბანკს, რომელიც ინტენსიურადაა ჩართული მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შემუშავებასა და გატარებაში, პოსტრევოლუციურ საქართველოში არასაბიუჯეტო ანგარიშების თემაზე ხმა საერთოდ არც კი ამოუღია...

**საკუთრების უფლების სისტემატური დარღვევა.** ყველაზე დიდი შეცდომა რაც დაუშვა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ, ეს კერძო საკუთრების უფლების ხელყოფაა (HRIDC, 2008). მესაკუთრეებს ძალოვანი უწყებების ზეწოლით აიძულებდნენ ვითომდა „ნებაყოფლობით“ დაეთმოთ საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს პროცესი დეპრივატიზაციის საბურველქვეშ გატარდა, რომლის მიზნადაც პრივატიზაციაში 2004 წლამდე დაშვებულ შეცდომათა ვითომდა გამოსწორება იქნა გაცხადებული. სინამდვილეში საკუთრების უფლების ხელყოფა გამოიყენეს ხელისუფლებასთან დაახლოებულ ე. წ. ელიტარულ ბიზნესმენთათვის ქონების გადასანაწილებლად. ამ სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაინგრა არაერთი შენობა-ნაგებობა; თითოეული ასეთი შემთხვევა საკუთრების უფლების დარღვევის თვალსაჩინო პრეცედენტი იყო.

ეს თემა უწინარეს ყოვლისა მსოფლიო ბანკის სფეროს განეკუთვნება, თუმცა საქართველოში არც არავის გაუგია, რომ მას თუნდაც რაიმე შეშფოთება (რომ არაფერი ვთქვათ აღშფოთებაზე, რასაც ბუნებრივია ყველა ელოდა) გამოეხატოს ამ ფაქტებთან დაკავშირებით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისში მყოფმა მუდმივმა წარმომადგენელმა საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება (Chris-

tiansen, 2006), მაგრამ ეს იმდენად მოკრძალებულად გაკეთდა, რომ ვეჭვობ, ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებისათვის ეს ფაქტი საერთოდ იყოს ცნობილი...

**სახელმწიფო ქონების არაგამჭვირვალე გასხვისება.** 2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ კი გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ გზით შემოვიდა საქართველოში რუსული, ყაზახური თუ არაბული კაპიტალი. ხშირ შემთხვევაში პრივატიზაციისას გაცხადებულ თანხაზე რამდენიმეჯერ ნაკლები ფიქსირდებოდა სახელმწიფოსა და ახალ კერძო მესაკუთრეს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში. ასე მაგალითად, ჩეხურმა კომპანიამ „ენერგო-პრომ" ენერგეტიკულ ობიექტთა პრივატიზაციისას განაცხადა, რომ საკუთრების უფლებაში 325 მლნ. აშშ დოლარს გადაიხდიდა, თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულებაში მხოლოდ 72 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა.

არც თუ იშვიათად, სპეციალურად ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციაში მონაწილეობის მისაღებად, უშუალოდ პრივატიზაციის წინ იქმნებოდა ფირმები, საეჭვო დამფუძნებლებითა და საეჭვო კაპიტალით, და სწორედ ისინი გამოდიოდნენ შესაბამის ტენდერებში გამარჯვებულნი.

პრივატიზაციის თემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო ბანკისათვის, თუმცა, სამწუხაროდ, ის ტრადიციული დუმილით შეხვდა ამჯერად უკვე ქართული პრივატიზაციის სიმახინჯეებს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საქართველოს სახელმწიფო ქონების მესაკუთრე ხდებოდა სხვა სახელმწიფო (მაგალითად, თბილგაზის გასხვისების შემდეგ მისი მესაკუთრე ყაზახური სახელმწიფო კომპანია გახდა), რაც პრივატიზაციად ვერანაირად ვერ ჩაითვლება, თუმცა მსოფლიო ბანკს პრივატიზაციად მონათლულ არც ამ პროცესზე ამოუღია ხმა.

ყველაზე დიდ გაოცებას კი ის იწვევს, რომ, როცა პრივატიზებული გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია გა-

ნახორციელა ერთ-ერთმა რუსულმა სახელმწიფო ბანკმა – ვნეშტორგბანკმა, მსოფლიო ბანკის პროტესტი, სამწუხაროდ, და თანაც მერამდენედ, ისევ არავის გაუგია...

**კონკურენციის შეზღუდვა.** „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტის ნგრევა, რამაც ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს დასუსტებას. კერძოდ, 2004 წლის ბოლოს ვითომდა რეფორმების საბურველქვეშ გაუქმდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რითაც ხელი შეეწყო ბაზარზე მონოპოლიების განვითარებას.

კონკურენციის ხელშეწყობა მსოფლიო ბანკის „საკურატორო" სფეროს მიეკუთვნება, თუმცა მას საქართველოში მერამდენედ „გამორჩა მხედველობიდან" ამჯერად უკვე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება.

ყველაზე დიდი კურიოზი კი ის იყო, როცა 2007 წლის ოქტომბერში მთავრობის სხდომის ტელეტრანსლიაციიდან შევიტყვეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ანტიმონოპოლიური რეგულირების ფუნქცია მარილის, შაქრის და სხვა საქონლის ბაზრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, რაც სრული ნონსენსია, რამეთუ ეს ფუნქცია არანაირ კავშირშია პოლიციისა თუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობასთან (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი კურიოზი ადრეც, კერძოდ, 2006 წლის გაზაფხულზეც მოხდა, როცა პრეზიდენტის მიერ თავდაცვის მინისტრს ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება დაევალა). ფაქტია, რომ არც ეს გამხდარა მსოფლიო ბანკის მხრიდან რაიმე რეაგირების საფუძველი.

**სტატისტიკური ინფორმაციით მანიპულირება.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2004 წლამდე უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ხოლო 2004 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტი იყო. შედეგად საქართვე-

ლოში სტატისტიკას იგივე პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა. კერძოდ, ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ რეალური ფაქტების მიუხედავად, სახელმწიფო სტატისტიკას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ყოველწლიურად უპირობო გაუმჯობესება უნდა ეჩვენებინა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მთავრობის და, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში ყოფნა ის ინსტიტუციური შეცდომა იყო, რაზეც ხმა, უპირველესად, მსოფლიო ბანკს უნდა აემაღლებინა, თუმცა ფაქტია, რომ ის მაინც დუმილს ამჯობინებდა...

ამ საკითხში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია მსოფლიო ბანკის პოზიციასთან შედარებით უკეთესი იყო (თუმცა არც დიდად სანუგეშო). კერძოდ, 2006 წლის აგვისტოში სტატისტიკის დეპარტამენტს „შემთხვევით გაეპარა" და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგომარეობით 14,5 პროცენტის დონეზე დააფიქსირა. ამის გამო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისში მყოფი მუდმივი წარმომადგენლის მხრიდან მწვავე, თუმცა სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა. შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდომარე გადააყენა და მთავრობისადმი აშკარად მორჩილ მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის გამოქვეყნებული მაჩვენებლის თანდათანობითი შემცირება. მთავრობის განცხადების თანახმად 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით წლიური ინფლაცია 8,8 პროცენტის დონეზე იქნა დაფიქსირებული, რითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა, რომ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი არ ყოფილიყო ორნიშნა, ფორმალურად დაკმაყოფილდა. მართალია, არც ჩვენი მოქალაქეების მხრიდან იყო იმის განცდა და არც ქართველი ექსპერტებიდან იმის შეფასება, რომ წლიური ინფლაციის დონე არ იყო ორნიშნა, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მთავრობის მხრიდან ინფლაციის პრობლემის ამგვარი „გადაწყვეტა" (თუ კი ამას საერთოდ შეიძლება „გადაწყვეტა" ეწოდოს) არათუ გააპროტესტა, არამედ ეროვნული ბანკისა და მთავრობის საქმიანობა დადებითად შეაფასა კიდეც...

აქვე აუცილებელია გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ტექნიკურ დახმარებას უწევდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს, ხოლო მსოფლიო ბანკი არამარტო ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლა, არამედ დაფინანსებაც გამოყო დეპარტამენტის ინსტიტუციური სრულყოფის სპეციალური პროგრამის ფარგლებში. სამწუხაროდ, ხსენებული დახმარების ეს პაკეტი მნიშვნელოვანწილად წყალში იქნა გადაყრილი...

**ინფლაციის სტიმულირება.** პოსტრევოლუციური მთავრობისათვის, სამწუხაროდ, დამახასიათებელი გახდა პოპულისტური ეკონომიკური პროგრამების გატარება, რაც პრაქტიკულად ინფლაციის ზრდას უწყობდა ხელს. ამ ტიპის პროგრამებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა დასაქმების გაზრდის მიზნების მქონე ღონისძიებები (იხ. § IV.3). აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ე. წ. დასაქმების პროგრამასთან ერთად წინასაარჩევნოდ სტუდენტებისათვისაც გაკეთდა მსგავსი შინაარსის პროგრამა ქალაქის დასუფთავებისთვის, ხოლო 2007-2008 წლის ზამთარში დარიგდა სხვადასხვა სახეობის საქონლის შესაძენად გამოყოფილი ვაუჩერები, რის შედეგადაც ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ინფლაციურ პროცესებზე კონტროლისა და მთავრობასთან ამ სფეროში აქტიური თანამშრომლობის განხორციელებაა, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ფონდმა საქართველოში ინფლაციის მასტიმულირებელ სამთავრობო პროგრამებზეც ჩვეული „წარმატებით" დახუჭა თვალი.

**საგადასახადო კურიოზი.** 2006 წელს პრეზიდენტის ინიციატივით 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი და 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაერთიანებულიყო (?!) საშემოსავლო გადასახადში, რომლის დონეც უნდა დადგენილიყო 25 პროცენტით. ეს ასეც გაკეთდა, და შესაბამისი საგადასახადო ცვლილება ძალაში 2007 წლიდან შევიდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური და საშემოსავლო გადასახადები სხვადასხვა ბაზიდან იანგარიშება, მათი გაერთიანება პრინციპულად შეუძლებელია, რაც ძნელად წარმოსადგენია, რომ სავალუტო ფონდის სპეციალისტებს არ სცოდნოდათ, თუმცა კვლავ დუმილი ამჯობინეს.

სინამდვილეში დამსაქმებლებს გაუუქმეს 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი და სანაცვლოდ დასაქმებულებს საშემოსავლო გადასახადი 12-დან 25 პროცენტამდე გაუზარდეს. თანაც ეს ტრადიციისამებრ, გახმაურდა როგორც ხალხზე ზრუნვით გადადგმული ნაბიჯი.

**სიღარიბის დაძლევის პროგრამა.** ხელისუფლების 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მოწოდება იყო „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე!“ ამ მოწოდებას მთავრობამ „ხორცი შეასხა“ იმავე სათაურის ე. წ. პროგრამით, რომელიც პარლამენტმა 2008 წლის იანვრის ბოლოს დაამტკიცა. ამ დოკუმენტს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს პროგრამა, რამეთუ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე გვერდზე ჩამოწერილი მოწოდებებით შემოიფარგლებოდა.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობითა და დაფინანსებით ჯერ კიდევ 2003 წლისათვის მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ვრცელი პროგრამა (საქართველოს მთავრობა, 2003), რომელმაც თავის დროზე დიდი მოწონება დაიმსახურა ამ ორგანიზაციების მხრიდან. ფაქტია, რომ იმდროინდელი მთავრობა იმდენად უუნარო იყო, რომ ამ პროგრამის განხორციელების დაწყება არც კი უცდია, ხოლო რევოლუციით მოსულმა მთავრობამ უარყო რა ყოველივე, რაც რევოლუციამდე გაკეთებულა, ხსენებული პროგრამა არათუ განაახლა, არამედ მივიწყებასაც კი მისცა.

მიუხედავად ამისა, საერთაშარისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც წარმატებით იტყუებდნენ თავს და საჯაროდ აფიქსირებდნენ, რომ საქართველოში ხელს უწყობდნენ სიღარი-

ბის შემცირების პროგრამას, ანუ მას რასაც საქართველოს მთავრობა არც კი სცნობდა... უფრო მეტიც, 2007 წლის სექტემბერში საერთაშარისო სავალუტო ფონდმა ისიც კი განაცხადა, საქართველოში სიღარიბის შემცირების პროგრამა წარმატებით დასრულდაო!

**თავისუფალი ეკონომიკური ზონა – ეკონომიკური განვითარების მახე.** თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ იმ ეკონომიკური სივრცის, სადაც ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შეღავათები მოქმედებს) იდეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის სახელთანაა დაკავშირებული.

ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ეკონომიკური მიზანშეწონილობა კლებულობდა, რადგანაც შესაძლო შეღავათების ნუსხა და მასშტაბები სწორედ ამ ლიბერალიზაციის გამო მცირდებოდა. ეს კი ის მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომლის გათვალისწინების სურვილი, სამწუხაროდ, არც ასლან აბაშიძეს და არც პოსტრევოლუციურ მთავრობას აღმოაჩნდა (პაპავა, 2007ა).

სიტუაციას კიდევ უფრო ის ამძიმებდა, რომ საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციების ნაკლებობას ანუ ინვესტიციურ „შიმშილს" განიცდიდა (და დღემდე განიცდის) და ასეთ პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა (რაც ხელისუფლებამ ფოთსა და ქუთაისში განახორციელა) ქვეყანაში ინვესტიციური „შიმშილის" გაღრმავებას იწვევს, რაც საბოლოო ჯამში მთელი ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. ინვესტიციური „შიმშილის" პირობებში არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი პოტენციური ინვესტორიც ფულს მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში აბანდებს.

საყურადღებოა, რომ ინვესტიციური „შიმშილის" მქონე ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნით მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებმა, დახურულ კარს მიღმა, სემინარი ჩაუ-

ტარეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის იმ წევრებს, ვისაც მეტ-ნაკლებად შეხება ჰქონდათ მოცემულ პრობლემასთან. ამ სემინარზე ფონდის სპეციალისტებმა საქართველოს მთავრობას მოკრძალებული ტონით რეკომენდაცია შესთავაზეს, რომ არ შეექმნათ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნა გაზიარებული.

იბადება კითხვა, რატომ მოქმედებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ საკითხის განხილვისას ე. წ. „ჩურჩულის" რეჟიმში, მით უფრო მაშინ, როცა ფონდს ჯერ კიდევ ჰქონდა პროგრამა საქართველოს მთავრობასთან და რაც აძლევდა საშუალებას, უფრო მკაცრად დაეფიქსირებინა თავისი მოთხოვნა მთავრობისადმი. როგორც ირკვევა, თურმე მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ ექსპერტს საქართველოს მთავრობისათვის, ხსენებული სემინარის ჩატარებამდე, უკვე ჰქონდა მიცემული ბანკის სახელით დადებითი დასკვნა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ, და თურმე ფონდი მორიდებია ბანკთან ინსტიტუციონალურ დაპირისპირებას... აი, საქართველომ და მისმა ეკონომიკამ კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის არსებულ ურთიერთობათა ლაბირინთებში მეორე პლანზე გადაიწია!

**ეროვნული ბანკის დაკნინება.** საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დააპირა ეროვნული ბანკის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის დაკნინება და ამ მიზნით მოამზადა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოშორებოდა. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და, განსაკუთრებით, საქართველოს პარლამენტის საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის შედეგად მთავრობამ საწადელი ვერ აისრულა და ეროვნული ბანკიც გადარჩა.

2007 წლის გაზაფხულზე კი, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გადამდგარი იყო და მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ასრულებდა, მთავრობამ დრო იხელთა და საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძირითადად მიაღწია საწადელს: საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს

ჩამოაშორა, ხოლო თვით ეროვნულ ბანკს ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა.

მართალია საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავის მემორანდუმში მოკრძალებულად გამოხატა თხოვნა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა არ შელახულიყო, მაგრამ თხოვნას ანგარიში აღარ გაეწია, რადგანაც 2008 წლის გაზაფხულზე ფონდს საქართველოში პროგრამა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე აღარ გააჩნდა.

**ევროობლიგაციების ემისია და საგარეო ვალის დამატებით 500 მლნ. აშშ დოლარით გაზრდა.** მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში იზრდებოდა და რის გამოც მთავრობას სახელმწიფო ვალი არ უნდა გაეზარდა, 2008 წლის აპრილში ევროობლიგაციების გამოშვებით მთავრობამ საგარეო ვალი 500 მლნ. აშშ დოლარით გაუზარდა ქვეყანას. ამ კურიოზს ისიც დაემატა, რომ მთავრობამ პრაქტიკულად აღიარა, რომ არც კი იცოდა, თუ რაში სჭირდებოდა ეს ფული. თავიდან აცხადებდა, რომ ეს ფული ენერგეტიკული ობიექტების (გაზსაცავის, მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების) მშენებლობის დასაფინანსებლად სჭირდებოდა, ხოლო ბოლოს აღიარა, რომ ამ თანხის ნახევარს მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში მოუყრიდა თავს, ხოლო მეორე ნახევარზე გადაწყვეტილებას მომავალში მიიღებდა. ჯერ ერთი, ხსენებული ფონდები ბიუჯეტის პროფიციტიდან უნდა ივსებოდეს, ხოლო მეორე და მთავარი კი ისაა, რომ გადასახადის გადამხდელებმა არც კი იცოდნენ, თუ რატომ აიღო მთავრობამ ეს სესხი, რომელიც 5 წლის შემდეგ მათი (გადასახადის გადამხდელების) გადასახდელი იქნებოდა, რასაც ყოველწლიურად ამ სესხზე 7,5 პროცენტის გადახდაც ემატება.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალის პრობლემატიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კომპეტენციაში უშუალოდ შედის, მისი საპროტესტო ხმა საქართველოს მთავრობის ქმედებაზე, სამწუხაროდ, არავის გაუგონია.

2011 წელს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა უკვე 10 წლით გამოეშვა 500 მლნ. აშშ დოლარის ევროობლიგაციები (წლიური საპროცენტო განაკვეთით 7,125 პროცენტი), რითაც გადაფარა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციებით აღებული ვალის 83,4 პროცენტი, ანუ 417 მლნ. აშშ დოლარი. როცა პარლამენტში იხილებოდა ახალი ვალის აღების საკითხი, ოპოზიცია დაინტერესდა, თუ რაში დაიხარჯა 2008 წელს ვალად აღებული ხსენებული 500 მლნ. აშშ დოლარი, რაზეც მთავრობამ უპასუხა, რომ ეს თანხა 2008 წლის შემოდგომაზე დაიხარჯა იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის. სამწუხაროდ, არავის უკითხავს, თუ სად ინახებოდა ეს თანხა 2008 წლის აპრილიდან (როცა ვალი იქნა აღებული) აგვისტომდე (რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებამდე), ან თუ მართლა „ინახებოდა", ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მთავრობა ელოდა რუსეთთან ომს და გამარჯვების შემთხვევაში, ამ ფულს დახარჯავდა საქართველოსთან შემოერთებული ტერიტორიების რეაბილიტაციაზე, ხოლო დამარცხების შემთხვევაში კი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური პრობლემების გადაჭრაზე... ეს კითხვები, სამწუხაროდ, არც საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის და არც მსოფლიო ბანკისათვის ყოფილა საინტერესო.

**„მწვანე პარასკევი".** „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს ეკონომიკა „ჰოლანდიური დაავადებით" (Nafziger, 1997, p. 335) დაავადდა (პაპავა, 2011, გვ. 268-273). უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება უმთავრესად განპირობებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითა და საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილებით (ასლამაზიშვილი, 2006; პაპავა, 2007ბ; Aslamazishvili, 2006; Papava, 2005, 2007). 2008 წლის შემოდგომაზე გლობალური ფინანსური კრიზისის გამწვავებისას უცხოური ვალუტის შემოდინების ხსენებული ორივე წყარო სწორედ კრიზისის გამო შეიზღუდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება აგრეთვე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმაც შეზღუდა (Papava, 2008b). ცხადი გახდა, რომ ეროვნული ვალუტის, ლარის დევალვაციის ობიექტური პირობები შეიქმნა.

იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს განეხორციელებინა თანდათანობით დევალვაცია, მან 40 დღის განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელად დაიჭირა ლარის გაცვლითი კურსი, რისთვისაც სავალუტო რეზერვების 20 პროცენტის დახარჯვა მოუწია.

2008 წლის 7 ნოემბერს ლარის კურსი დოლართან ნახტომისებრ შეიცვალა: თუ დილით ერთი დოლარი ღირდა 1,44 ლარი, საღამოსათვის გაცვლითი პუნქტები დოლარს ან საერთოდ არ ყიდიდნენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთი დოლარი 1,65 ლარად იყიდებოდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, მას შემდეგ რაც პირველი გარიგება შედგა, გამოცხადდა, რომ ტექნიკური მიზეზების გამო ვაჭრობა შეწყდა, რამაც პანიკა გამოიწვია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პარასკევი ამ თვალსაზრისით, არახელსაყრელი დღეა, რადგანაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მომდევნო დღე მხოლოდ ორშაბათია, ანუ შაბათ-კვირის განმავლობაში სავალუტო ბაზარზე გაუგებარი სიტუაცია არის შენარჩუნებული. ამის გამო, მოცემულ შეცდომას, რამაც ლარის ვარდნა გამოიწვია დოლართან მიმართებაში „მწვანე პარასკევი" ვუწოდეთ (Papava, 2008a).

იმის გათვალისწინებით, რომ სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული საქონელი ოთხჯერ აღემატებოდა ადგილობრივად წარმოებულს, გასაგებია თუ რა ზეგავლენა ჰქონდა „მწვანე პარასკევს" ინფლაციაზე: ფასები მკვეთრად გაიზარდა, რადგანაც იმპორტიორებისათვის რთული იყო ეროვნული ბანკის შემდგომი ნაბიჯების განჭვრეტა.

სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ „მწვანე პარასკევის" შესახებ კომენტარი მხოლოდ ორშაბათს, 2008 წლის 10 ნოემბერს გააკეთა, თანაც ეს კომენტარი აშკარად არაადეკვატური იყო, რადგანაც ხაზგასმით ამტკიცებდა, რომ ის, რაც მოხდა პარასკევს, არ იყო ინფლაციის ზრდის ხელშემწყობი.

2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში მსოფლიო ბანკის ეგიდით შედგა დონორთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გა-

დაწყდა საქართველოსთვის 4,55 მილიარდი დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება გამოყოფილიყო. აქედან 2 მილიარდი გრანტი, ხოლო დანარჩენი კრედიტი იყო. ეს ფული მიმართული იყო იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც საქართველომ რუსული აგრესიის შედეგად მიიღო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2008-2009 წლებში 1,3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი კრედიტი გამოუყო ომისშემდგომ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს არც „მწვანე პარასკევის" შესახებ გამოუთქვამთ რაიმე კრიტიკული შენიშვნა.

**დასკვნის მაგიერ.** საერთაშორისო საფინასო ინსტიტუტების საქართველოში დაშვებულ ხსენებულ შეცდომებს ამძიმებს ის, თუ როგორ შელამაზდა მსოფლიო ბანკის მონაწილეობით საქართველოში ჩატარებული გარდაქმნები, რომლებიც მიუხედავად იმისა იყო უბრალოდ ნგრევა (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახურის შემთხვევაში) თუ მართლა რეფორმა, საბოლოო ჯამში მაინც ყველაფერი რეფორმად მოინათლა და „ბიზნესის წარმართვის" რეიტინგში საქართველო 112-ე ადგილიდან ჯერ 37-ე, ხოლო შემდეგ უკვე მე-18 ადგილზე გადაასკუპეს. რა თქმა უნდა, ვერ მოიძებნებოდა ფსიქიკურად ნორმალური ისეთი მეწარმე, რომელიც მართლა დაიჯერებდა, რომ მე-18 ადგილზე მყოფ საქართველოში, სადაც სულ ცოტა, საკუთრების უფლება იყო დაუცველი, უფრო ადვილი და მიმზიდველი იყოს ბიზნესის წარმართვა, ვიდრე ეს მე-20 ადგილზე მყოფ გერმანიაში.

ხსენებული რეიტინგი, რომელიც გამოკითხვით მიღებულ ინფორმაციაზე აიგება, ჯეროვნად არ ასახავს (ცალკეულ შემთხვევებში კი საერთოდ არ ითვალისწინებს) ისეთ პრობლემებს, რაც ზემოთ იქნა განხილული.

საქართველოს (ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის) მოსახლეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან უწინარეს ყოვლისა ელოდა და ელის მაღალპროფესიულ დახმარებას და არა წაყრუებას მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომ

არაფერი ვთქვათ არსებული სიტუაციის შელამაზებაზე. იმავდროულად, ერთი წამითაც არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ ამ ინსტიტუტებში, და განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მართლაც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ და მათ მიერ „ვარდისფერი სათვალის გადაგდება", „თვალის ფართოდ გახელა" მხოლოდ და მხოლოდ ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელობისა და მათ უკან მდგომი ძალების პოლიტიკურ ნებაზე იყო და არის დამოკიდებული.

## ლიტერატურა

**ასლამაზიშვილი ნ., 2006.** „ჰოლანდიური დაავადება" საქართველოს ეკონომიკაში: არსებული რეალობა და შესაძლო საფრთხეები. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, ოქტომბერი.

**პაპავა ვ., 2000.** *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები*. თბილისი, „იმპერიალი".

**პაპავა ვ., 2002.** *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ".

**პაპავა ვ., 2005.** *პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**პაპავა ვ., 2007ა.** *თავისუფალი ეკონომიკური ზონა – „უკვდავი იდეა"*. ექსპერტის აზრი, №2. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, http://www.gfsis.net/pub/files/publications-economics/EXPERT-OPINION-VLADIMER-PAPAVA-GEO.pdf.

**პაპავა ვ., 2007ბ.** „სავალუტო ფარი" „ჰოლანდიური სენის ფონზე". *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, ოქტომბერი.

**პაპავა ვ., 2011ა.** *არატრადიციული ეკონომიკსი*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

**პაპავა ვ., 2011ბ.** საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციაში ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების როლის შეფასება. კრებულში: *პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის*

*სამეცნიერო შრომების კრებული, IV.* თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

**საქართველოს მთავრობა, 2003.** *ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა.* თბილისი, საქართველოს მთავრობა.

**Anjaparidze Z., 2006.** Georgian Government Questioned about Secret Funds. *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, Vol. 3, Is. 71, April 12, http://www.jamestown.org/single/?no-cache=1&tx-ttnews-%5Bswords%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx-ttnews-%5Bany-of-the-words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx-ttnews-%5Bpointer%5D=1&tx-ttnews%5Btt-news%5D=31572&tx-ttnews%5B-backPid%5D=7&cHash=864959a53b.

**Aslamazishvili N., 2006.** "Dutch Disease" in Georgian Economy: Current Reality and Potential Threats. *Georgian Economic Trends,* October.

**Christiansen R. E., 2006.** Property Rights, Institutions and Growth: Will Georgia Make the Transition? *Presentation Delivered at Cato Conference, International Monetary Fund, Resident Representative Office in Georgia*, 27 October, http://www.imf.ge/view2.php?lang=1&view=239.

**HRIDC, 2008.** *The Big Eviction. Violations of Property Rights in Georgia*. Tbilisi, The Human Rights Centre, http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf.

**Nafziger E. W., 1997.** *The Economics of Developing Countries*. Upper Saddle River, Prentice - Hall.

**Papava V., 2003a.** On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia. *Emerging Markets Finance & Trade,* Vol. 39, No. 5.

**Papava V., 2003b.** *Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia*. Laredo, we-publish.com.

**Papava V., 2005.** The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia. In: *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. Ed. by S. F. Starr, S. E. Cornell. Uppsala, The Silk Road Studies Program, Uppsala University, http://www.silkroadstudies.org/BTC-5.pdf.

**Papava V., 2006.** The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *Orbis. A Journal of World Affairs*, Vol. 50, No. 4.

**Papava V., 2007.** Currency Board Against the Background of Dutch Disease. *Georgian Economic Trends*, October.

**Papava V., 2008a.** Georgia's "Green Friday." *The Georgian Times*, November 17, http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=13663.

**Papava V., 2008b.** Post-War Georgia's Economic Challenges. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 10, No. 23, November 26, http://www.cacianalyst.org/?q=node/4991.

**Papava V., 2009.** The "Rosy" Mistakes of the IMF and World Bank in Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 52, No. 7.

**МВФ, 1991.** *Десять широко распространенных заблуждений по поводу деятельности Международного валютного фонда.* Вашингтон, МВФ.

**МВФ, 1997.** *Надлежащее управление: роль МВФ.* Вашингтон, МВФ.

**Папава В., 2001.** *Международный валютный фонд в Грузии: достижения и ошибки.* Тбилиси, Империал.

**Папава В., 2002.** О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. *Вопросы экономики,* №3.

**Папава В., 2004.** Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии. *Общество и экономика,* №7-8.

**Папава В., 2009.** «Розовые» ошибки МВФ и Всемирного банка в Грузии. *Вопросы экономики,* №3.

**Хадури Н., 2006.** Грузия: экономика. *Центральная Евразия 2005: Аналитический ежегодник.* Лулеа, CA&C Press.

თავი VI

# სიღარიბის პრობლემა და მისი დაძლევის „ვარდისფერი" გამოცდილება

## § VI.1. სიღარიბის პრობლემის გააქტიურება

XX საუკუნის მიწურულიდან მსოფლიოში ძალზე აქტუალური გახდა სიღარიბის დაძლევის პრობლემა (მაგალითად, Ahuja, Bidani, Ferreira, Walton, 1997; Milanovic, 1998; Sachs, 2005; ВБ, 2001; Румянцева, 2001). ეს გასაგებიცაა, რადგანაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში სიღარიბემ მსოფლიოს მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბები მოიცვა. XX საუკუნის ბოლოს კი ცხადი გახდა, რომ აუცილებელი იყო სპეციალური პროგრამების შემუშავება სიღარიბის დაძლევის მიზნით. ამ პროგრამების შემუშავების ინიცირება და მათთვის ერთიანი კონცეპტუალური სქემის მომზადება გაეროს განვითარების პროგრამისა და მსოფლიო ბანკის მიერ იყო კოორდინირებული. როგორც ცნობილია, უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა გაეროს ათასწლეულის მიზნებიდან უმთავრესია.

სიღარიბის შემცირება უნდა მიიღწეოდეს არა იმდენად შემოსავლების გადანაწილებით, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კერძო სექტორის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სწორედ კერძო სექტორის განვითარება უწყობს ხელს დასაქმების ზრდას, დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას და ამ გზით სიღარიბის შემცირებას. ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული „სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული

ზრდის“ (Pro-Poor Growth) (OECD, 2004) მიდგომა, რომელიც ბოლო ხანებში სულ უფრო პოპულარული ხდება. ამ მიდგომის თანახმად სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ ზრდას აქვს ორი გაგება – *აბსოლუტური* და *ფარდობითი*. პირველის თანახმად ღარიბთა შემოსავლები უნდა იზრდებოდეს, მეორის თანახმად კი ღარიბთა შემოსავლები უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო შემოსავლები. ამგვარი ზრდა კი სწორედ კერძო სექტორის განვითარებით მიიღწევა, როცა სულ უფრო მეტ ღარიბს ეძლევა საშუალება დასაქმდეს და საკუთარი შრომით გაიუმჯობესოს თავისი და თავისი ოჯახის პირობები.

საქართველოსათვის, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოსათვის, სიღარიბის დაძლევა იყო და დღესაც რჩება ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად (ასათიანი, 2001; ბურდული, 2011; თუთბერიძე, 2002; მესხია, 2008; პაპავა, 2009; Papava, 2001, 2009a; Tarkhan-Mouravi, 1998). ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ქვეყანას უკვე ჰქონდა გარკვეული გამოცდილება, თუმცა, სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ხელისუფლებას ბოლომდე გაეცნობიერებინა ამ პრობლემის არსი და ქმედითად ემოქმედა მის გადასაწყვეტად.

## § VI.2. სიღარიბის გაზომვის „ვარდისფერი“ ხერხი

ხარვეზებს შორის უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს „ვარდისფერ“ მთავრობას ჯეროვნად არ ჰქონდა გააზრებული, თუ რას ნიშნავდა სიღარიბის დაძლევა. თანაც არც ის ჰქონდა რეალურად დათვილი, თუ საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს მიღმა.

პრობლემის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც სიღარიბე არ იყოს. თვით აშშ-შიც კი, მაგალითად, 2008 წელს სიღარიბის ზღვარს (აშშ-ში იმავე 2008

წელს ღარიბად ითვლებოდა საშუალო ოთხსულიანი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალიც 20 ათას დოლარს არ აღემატებოდა) მიღმა მოსახლეობის 12 პროცენტი ცხოვრობდა. საერთაშორისო სტანდარტებით მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელსაც დღეში შეუძლია მოიხმაროს არაუმეტეს 2,5 აშშ დოლარი, ხოლო უკიდურესად ღარიბად, ანუ ღატაკად კი – არაუმეტეს 1 აშშ დოლარი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქვეყანას ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით სიღარიბის დონის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმი აქვს. აქედან გამომდინარე აუცილებელია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი სიღარიბის, როგორც ასეთის აღმოფხვრა. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სიღარიბის ზღვრის განსაზღვრის კრიტერიუმს. რა თქმა უნდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, სიღარიბის ამა თუ იმ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით, ამ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ნულამდე დაყვანა შესაძლებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების კვალობაზე დღის წესრიგში დგება თავად ამ კრიტერიუმის გადასინჯვის აუცილებლობა, რადგანაც სიღარიბე უწინარეს ყოვლისა, ფარდობითი მოვლენაა და საზოგადოებაში ეკონომიკური სიმდიდრის ზრდის კვალობაზე ღარიბებად უკვე ის ადამიანები ჩაითვლებიან, ვინც წინა კრიტერიუმით სულაც არ იყო ასეთი. ამის საუკეთსო მაგალითად გამოდგება ზემოთმოყვანილი ინფორმაცია აშშ-ის შესახებ: დღევანდელ საქართველოში ოთხსულიან ოჯახს წელიწადში 20 ათასი აშშ დოლარის შემოსავალი თუ აქვს, ის სულაც არ არის ღარიბი, მაგრამ გავა დრო და ისევე როგორც აშშ-ში ეს შემოსავალი უკვე სიღარიბის ზღვარი გახდება. ასე, რომ ფარდობითი სიღარიბის სრული აღმოფხვრა ისევე შეუძლებელია, როგორც პერპეტუმობილის შექმნა, ამიტომ მოწოდება „საქართველო სიღარიბის გარეშე" არაკორექტული იყო.

2003 წლის ზაფხულში, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის

დაძლევის პროგრამა", დადგინდა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 52 პროცენტი, ხოლო სიღატაკის ზღვარს მიღმა კი მოსახლეობის 25 პროცენტი ცხოვრობდა.

პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი „ქმედითი" ხერხი სიღარიბის ზღვრის მეთოდიკის შეცვლა აღმოჩნდა: შეამცირეს საარსრებო მინიმუმის კალათაში გასათვალისწინებელი პროდუქტების კალორიულობა, ხოლო საცალო ფასების ნაცვლად აიღეს საბითუმო. შედეგად მთავრობამ თავი მოიწონა იმით, რომ მათი აზრით, 2004 წელს სიღარიბის ზღვარმა 35 პროცენტამდე დაიწიაო. საინტერესოა, რომ ამ ახალი მეთოდიკით ჩატარებულმა გათვლებმა 2005 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლობის 39 პროცენტი დააფიქსირა, რაც მთავრობისათვის არა მარტო მოულოდნელი, არამედ მიუღებელიც აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ 2006 წლის მონაცემები საერთოდ არ გამოაქვეყნეს, რადგანაც არაოფიციალური ცნობით სიღარიბის ზღვარი კიდევ უფრო გაიზარდა და 42 პროცენტი შეადგინა. 2007 წლის დეკემბრიდან, როცა ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია გაჩაღდა, უმაღლეს დონეზე გახმაურდა სულ ახალი მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც თურმე სიღარიბის ზღვარს მიღმა საქართველოს მოსახლეობის 28 პროცენტი ყოფილა. თუ კი სიღარიბის ზღვრის განსაზღვრის ყველა წინა მაჩვენებელი საარსებო მინიმუმის გათვლაზე იყო დაფუძნებული, ეს 28 პროცენტი აღებულია იმაზე დაყრდნობით, თუ სპეციალურად შექმნილი მეთოდიკით მოსახლეობის რა ნაწილი იღებს მთავრობისაგან დახმარებას, როგორც სიღარიბის ზღვარს მყოფი.

აშკარაა, რომ მთავრობას ესაჭიროება სიღარიბის დონის ობიექტიური შეფასება, რომელიც მსოფლიოში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას დაეყრდნობა.

## § VI.3. სიღარიბის შემცირების „ვარდისფერი" გზა

2000 წლის მიწურულს მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა სიღარიბის დაძლევის პროგრამის შექმნაზე (საქართველოს მთავრობა, 2001, 2001ბ). მას შემდეგ, რაც მთავრობის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე ამ პროგრამაზე მუშაობის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის სხვა წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვნენ, პროგრამის პროექტმა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახე შეიძინა და ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა სამუშაოებში საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების ჩართვა, რამაც ამ დოკუმენტს საბოლოო სახე მიაღებინა. 2003 წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიერ დამტკიცდა „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა" (საქართველოს მთავრობა, 2003). აღსანიშნავია, რომ თავიდანვე ამ პროგრამამ საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, რის საფუძველზეც გადაწყდა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) საქართველოსთან სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გააგრძელებდნენ თანამშრომლობას.

სამწუხაროდ, ხსენებული პროგრამის მიღებასა და საერთაშორისო მოწონებას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია იმდროინდელი საქართველოს მთავრობაზე, რომელსაც არ გააჩნდა ნება და უნარი დაეწყო ამ პროგრამის (და არა მარტო მისი) განხორციელება, 2003 წლის ნოემბერში კი „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოხდა ხელისუფლების ცვლილება.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროგრამის განხორციელების დაწყება იგვიანებდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები იქნა გატარებული, საჭირო შეიქნა მისი (პროგრამის) მნიშვნელოვანი გადამუშავება. ამის სანაცვლოდ პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ეს პროგრამა აბსოლუტურად ზედმეტად მიიჩნია და დავიწყებას მისცა.

იმავდროულად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები რატომღაც მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს მთავრობას ჰქონდა სიღარიბის დაძლევის პროგრამა და მასთან სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ. 2007 წლის სექტემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური განცხადებით, მან წარმატებით დაასრულა კიდეც სიღარიბის დაძლევის პროგრამა საქართველოში. ერთი სიტყვით, პროგრამა კი დასრულდა (თანაც თურმე წარმატებით), მაგარამ სიღარიბე მაინც დარჩა!

ასე, რომ შეიქმნა აბსურდული სიტუაცია, როცა საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობა არ სცნობდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ დამტკიცებულ საქართველოს „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას", ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მთავრობასთან სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ახორციელებდნენ თანამშრომლობას (Papava, 2005, p. 14).

მას შემდეგ, რაც 2007 წლის ნოემბერში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იძულებული იყო გადამდგარიყო და დაენიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, მან თავის წინასაარჩევნო კამპანიაში წინა პლანზე სიღარიბის დაძლევის ამოცანა დააყენა. ამას კი შემდეგი ახსნა აქვს: 2007 წლის შემოდგომის საპროტესტო აქციების უმთავრესი გამომწვევი მიზეზი საზოგადოების ხელისუფლებისაგან შელახული ღირსება იყო და წინასაარჩევნო მარათონში პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა სცადა ამომრჩეველთა ყურადღება უმწვავეს სოციალურ პრობლემაზე – სიღარიბეზე გადაეტანა, რაც მან წარმატებით მოახერხა კიდეც.

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლების წინასაარჩევნო მოწოდება იყო „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე!" ამ მოწოდებას მთავრობამ „ხორცი შეასხა" იმავე სათაურის ე. წ. პროგრამით, რომელიც პარლამენტმა 2008 წლის იანვრის ბოლოს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებასთან ერთად დაამტკიცა. ამ დოკუმენტს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს პროგრამა, რამეთუ ის მხოლოდ

და მხოლოდ რამდენიმე გვერდზე ჩამოწერილი მოწოდებებით შემოიფარგლებოდა. თვით ამ „სიფრიფანა" დოკუმენტში სიღარიბის პრობლემა მხოლოდ ერთი წინადადებით იყო მოხსენიებული, რომლის თანახმადაც „უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში სიღარიბე მნიშვნელოვნად შემცირდება", რაც, თავის მხრივ, არ ასახავდა ამ დოკუმენტის სახელწოდებას, რომლის თანახმადაც საქართველო უნდა ყოფილიყო სიღარიბის გარეშე. სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებაში კი, როგორც ტექსტიდან ირკვევა, მთავრობა გულისხმობდა იმას, რომ სოციალური პაკეტის მიმღებ ბენეფიციართა, ანუ სახელმწიფოზე დამოკიდებულ გაჭირვებულთა რიცხვი 50 პროცენტით უნდა შემცირებულიყო (საქართველოს მთავრობა, 2008).

მსგავსი მიდგომა იყო დამახასიათებელი სახელისუფლებო პარტიის – ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიისათვის, და არჩევნების შემდგომი პერიოდისათვისაც.

როგორც ვხედავთ, სამწუხაროდ, არც 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობას სიღარიბის შემცირების არა თუ მეტ-ნაკლებად რეალისტური პროგრამა არ ჰქონია, არამედ ბოლომდე არც გაეაზრებინათ, თუ რა არის სიღარიბე და როგორ უნდა შემცირდეს ის.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მთავრობის არაფორმალური მითითებით, ცალკეულ კერძო ფირმებს დაევალათ უფასო სასადილოების ფართო ქსელის შექმნა, რაც უკიდურესად ღარიბ მოსახლეობას ერთგვარად უმსუბუქებდა არსებობას.

კერძო სექტორში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პოსტრევოლუციურმა მთავრობამ 2006 წელს წამოიწყო ე. წ. დასაქმების ეროვნული პროგრამა (საქართველოს მთავრობა, 2006), რომელიც თავის ხასიათით უფრო პოპულისტური იყო, და რამაც პრაქტიკულად მხოლოდ ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი. ეს პროგრამა მთავრობამ 2007 წლის მიწურულსა და 2008 წლის დასაწყისში გაიმეორა (ეს საკითხი განხილულია § IV.3-ში).

2010 წლიდან თბილისის მთავრობამ დაიწყო პროგრამა – „მიიღეთ ცოდნა თქვენი დასაქმებისათვის" – მოქალაქეთა გადამ-

ზადების კურსები (ინგლისურისა და კომპიუტერის შესწავლა), რომელიც მიზნად ისახავდა თბილისში დასაქმების გაზრდას იმით, რომ უმუშევარ თბილისელებს უფასო კურსებით ინგლისური ენა და კომპიუტერი ესწავლათ (ჯიბუტი, მესხია, ბასიაშვილი, პაპავა, თოქმაზიშვილი, 2011, თავი 6).

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა უმუშევარ თბილისელს 23 წლის ასაკიდან. თბილისის მერია თავის მხრივ, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს აძლევდა პირობას, რომ უშუამდგომლებდა კერძო სექტორსა და სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის დასაწყებად.

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მოცემული პროგრამა დაფინანსდა 1 687,0 ათასი ლარით. ამ თანხით გადამზადების კურსების გავლა 26 298 მოქალაქემ შეძლო, მათ შორის, კომპიუტერის კურსები – 16 075 მოქალაქემ, ხოლო ინგლისურის კურსები კი – 10 223 მოქალაქემ.

როგორც იმავე ანგარიშიდან ირკვევა, კურსდამთავრებულთაგან დასაქმდა 27 კაცი ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსებულ პროექტებში. ეს კი კურსდამთავრებულთა მხოლოდ 0,15 პროცენტია. გამოდის, რომ ერთი ასეთი დასაქმებულის მოსამზადებლად თბილისის ბიუჯეტიდან 2010 წელს დაიხარჯა 62,5 ათასი ლარი (1 687 000:27), რაც არაადეკვატურია მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესასწავლად (შედარებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ასპროცენტიანი გრანტი ბაკალავრიატში ერთწლიანი სწავლებისათვის შეადგენს 2 250 ლარს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაკალავრიატის სრული ოთხწლიანი კურსის ასპროცენტიანი გრანტი მხოლოდ 9,0 ათას ლარს შეადგენს).

თავად პროგრამის ფარგლებში წლის დასაწყისში დასაქმდა 342 პედაგოგი, ხოლო წლის ბოლოს – 190 პედაგოგი, ანუ საშუალოდ დასაქმებული იყო 266 პედაგოგი. შესაბამისად ერთი პედაგოგის ამ პროექტით დასაქმება თბილისის ბიუჯეტს 6 342 ლარი (1 687 000:266) დაუჯდა, თუმცა ამ პროექტის მიზანი არა

ამ პედაგოგთა, არამედ მათ მიერ ნასწავლი თბილისელების დასაქმება გახლდათ.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ასეთი დაბალი დონე იმითაა განპირობებული, რომ ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა ყოველთვის როდია საკმარისი სამუშაოს დასაკავებლად. თანაც ცნობილია, რომ ინგლისური ენის ჯეროვან დონეზე შესწავლა მხოლოდ ბავშვობიდანაა შესაძლებელი, და რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად არის ის უცხო ენის ამთვისებელი. კომპიუტერის შესწავლა კი მხოლოდ მაშინაა შედეგიანი, თუ ადამიანს ყოველდღიურ საქმიანობაში უხდება კომპიუტერთან საქმიანობა, რასაც უმუშევართა დიდი ნაწილი აშკარად მოკლებულია.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით ხსენებული პროგრამის დაწყება აშკარად გაუმართლებელი იყო.

2006 წლის გაზაფხულზე, როდესაც მოსკოვმა დახურა ქართული ღვინისა და მინერალური წყლისათვის რუსეთის ბაზარი, შესაბამისი კერძო კომპანიები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. იმავე და მომდევნო წლების შემოდგომაზე, ხელისუფლების მოწოდებით, ყველა კერძო (და არა მარტო) კომპანია, პროფილისა და ინტერესების მიუხედავად, იძულებული შეიქნა რთველში აქტიურად მიეღო მონაწილეობა და დაეფინანსებინა ღვინის ჩამოსხმა. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ კომპანიებმა თავის საბრუნავი თანხების ნაწილი არამიზნობრივად დახარჯეს, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა მათი შემდგომი განვითარება.

საქართველოს მთავრობის ინიციატივებს შორის ცალკე აღსანიშნავია ე. წ. „იაფი კრედიტის" პროგრამა, რომელიც, როგორც წესი, მიეცემოდა ახალდამწყებ მცირე მეწარმეებს, რაც თავისი იდეით კერძო სექტორის განვითარებისათვის წამახალისებელი უნდა გამხდარიყო. მთავრობის მიერ ამ პროგრამის განხორციელებაში დაშვებული შეცდომის არსი იყო ის, რომ იაფ კრედიტებს ხშირ შემთხვევაში ანაწილებდა თავად მთავრობა და ნაკლებად იყვნენ ამ პროცესში ჩართულნი კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო ინსტიტუტები, რაც აქვეითებდა კრედიტების განაწი-

ლების ეფექტიანობის დონეს (ვინაიდან მთავრობა პოლიტიკური ორგანოა და არა საკრედიტო ინსტიტუტი).

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისა და იმავდროულად სიღარიბის შემცირების კუთხით არაერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

დადებითად უნდა შეფასდეს 2005 წლიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედება, რითაც გადასახადების სახეობათა რაოდენობა 21-დან 7-მდე შემცირდა, ხოლო საგადასახადო ტვირთი აშკარად შემსუბუქდა. ქვეყანაში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და საშენ მასალებზე, დანარჩენ საქონელზე საიმპორტო გადასახადი გაუქმდა. გამარტივდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გაუქმდა ბიზნესის დაწყებისათვის ლიცენზიებისა და სხვადასხვა ტიპის ნებართვების აღების აუცილებლობა. არსებითად გამარტივდა საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები. ყოველივე ეს აშკარად ხელშემწყობ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს კერძო სექტორის განვითარებისათვის.

საკანონმდებლო ინიციატივათა შორის ცალკე აღსანიშნავია ისეთები, რომლებიც, ერთი მხრივ, წაახალისებდნენ კერძო სექტორის განვითარებას, თუმცა იმავდროულად, სიღარიბის შემცირებას სულაც არ უწყობდნენ ხელს.

პოსტრევოლუციური მთავრობის ერთ-ერთ „დამსახურებად" ითვლება შრომის კოდექსის ისეთი ვარიანტის მიღება, რომელიც მაქსიმალურ უფლებებს აძლევდა დამქირავებელს და აბსოლუტურად უუფლებოს ხდიდა დაქირავებულს. ამგვარი შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მთავრობა იმით ასაბუთებდა, რომ მიმზიდველი გაეხადა საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის. მართალია, რომ დამქირავებლისათვის მაქსიმალური უფლებების მინიჭება ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას, მაგრამ დაქირავებულთა უუფლებობა არ იძლევა მათ მიერ სამსახურის შენარჩუნების საკანონმდებლო გარანტიებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, აფერხებს სიღარიბის შემცირების შესაძლებლობის რეალიზაციას.

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი და 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაერთიანებულიყო (?!) საშემოსავლო გადასახადში, რომლის დონეც უნდა დადგენილიყო 25 პროცენტით. საქართველოს პროფკავშირების წინააღმდეგობის მიუხედავად ეს ასეც გაკეთდა, და შესაბამისი საგადასახადო ცვლილება ძალაში 2007 წლიდან შევიდა. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური და საშემოსავლო გადასახადები სხვადასხვა ბაზიდან იანგარიშება, მათი გაერთიანება პრინციპულად შეუძლებელია. შედეგად მივიღეთ სიტუაცია, როცა 20 პროცენტიანი სოციალური გადასახადი, რომელსაც დამქირავებელი იხდიდა, გაუქმდა, ხოლო 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც დაქირავებული იხდის, 25 პროცენტამდე გაიზარდა.

20 პროცენტიანი სოციალური გადასახადის გაუქმება კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელშემწყობია, თუმცა 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის 25 პროცენტამდე გაზრდა სიღარიბის შემცირებას სულაც არ უწყობს ხელს.

2008 წლის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2009 წლიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდა, რაც თავისთავად კარგია დაქირავებულთათვის, თუმცა სულაც არ უნდა იყოს დავიწყებული ის, რომ ორიოდე წლის წინ ეს განაკვეთი მხოლოდ 12 პროცენტი იყო.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კერძო სექტორის განვითარებით სიღარიბის დაძლევის ამოცანის გადაჭრაში აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა ეს უფრო თავად სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა აღმოჩნდა, რომელსაც სერიოზული სირთულეები შეექმნა პოსტრევოლუციური განვითარების პროცესში, რაც სცილდება აქ განსახილველ საკითხთა წრეს.

# ლიტერატურა

**ასათიანი რ., 2001.** „ახალი სოციალური საკითხი“ და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები.* ტომი 2. თბილისი: „სიახლე“.

**ბურდული ვ., 2011.** სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის სრულყოფის საკითხები. *ეკონომისტი,* № 2.

**თუთბერიძე გ., 2002.** „საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის“ შესახებ. *მაკრო მიკრო ეკონომიკა,* № 9.

**მესხია ი., 2008.** ცხოვრების დონე და სიღარიბე საქართველოში. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები,* მაისი.

**პაპავა ვ., 2009.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 7.* თბილისი, „სიახლე“.

**საქართველოს მთავრობა, 2001ა.** *საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამა.* სადისკუსიო მასალა. თბილისი, „ბიტი“.

**საქართველოს მთავრობა, 2001ბ.** *საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. მთავრობის განაცხადი.* თბილისი, „ბიტი“.

**საქართველოს მთავრობა, 2003.** *ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა.* თბილისი, საქართველოს მთავრობა.

**საქართველოს მთავრობა, 2006.** ახალი ეკონომიკური ინიციატივები. *Civil.Ge,* 5 აგვისტო, http://www.civil.ge/geo/article.php?id=13363&-search.

**საქართველოს მთავრობა, 2008.** მთავრობის პროგრამა 2008-2012. ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე. *Civil.Ge,* 31 იანვარი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=17412.

**Ahuja V., Bidani B., Ferreira F., Walton M., 1997.** *Everyone's Miracle? Revisiting Poverty and Inequality in East Asia.* Washington, D.C., The World Bank.

**Milanovic B., 1998.** *Income, Inequality and Poverty during the Transition from Planned to Market Economy.* Washington, D.C., The World Bank.

**OECD, 2004.** *Accelerating Pro-Poor Growth through Support for Private Sector Development. An Analytical Framework.* Paris, Organisation for Economic Co-Operation and Developmen, http://www.oecd.org/development/povertyreduction/34055384.pdf.

**Papava V., 2001.** *Trends in Poverty and Well-Being in the 90's of Georgia.* Background Paper Prepared for the Regional Monitoring. Report No. 8: A Decade of Transition. Florence, UNICEF Innocenti Research Centre, http://www.papava.info/publications/Georgia00pov.pdf.

**Papava V., 2005.** Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No 4.

**Papava V., 2009b.** Poverty Reduction Through Private Sector Development in Georgia: Policy, Practice and Perspectives. *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 3 (3) – Summer, http://www.cria-online.org/Journal/8/Done–Poverty%20reduction%20through%20private%20sector%20development%20in%20Georgia–Vladimer%20Papava.pdf.

**Sachs J. D., 2005.** *The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time.* New York, The Penguin Press.

**Tarkhan-Mouravi G., 1998.** *Poverty in a Transitional Society: Georgia.* Discussion Paper Series 6. Tbilisi, UNDP.

**ВБ, 2001.** *Наступление на бедность. Доклад о мировом развитии – 2000/2001.* Москва, Издательство «Весь Мир».

**Румянцева Е. Е., 2001.** *Стратегия преодоления бедности.* Минск, «Армита-Маркетинг, Менеджмент».

თავი VII

# გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკური პრობლემები

## § VII.1. ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში და „ომის პარადოქსი“

ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასახული ფინანსური კრიზისის (რომელიც მოკლე დროში გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა) საქართველოზე ნეგატიური გავლენის შესაძლებლობა, მისი ფინანსური ბაზრის განუვითარებლობისა და შედარებითი იზოლირებულობის გამო, არ განიხილებოდა როგორც გარდაუვალი, თუმცა მაინც იკვეთებოდა სხვადასხვა სირთულე, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკაში 2008 წელსაც იჩინა თავი (Akhmeteli, 2008).

2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომის (მაგალითად, Cornell, Starr, eds., 2009) შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა არა მარტო ამ ომის შედეგებმა, არამედ გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამაც, რამაც ქვეყნის წინაშე თვისებრივად ახალი ამოცანები დააყენა (კაკულია, 2008; Corso, 2009; Giuli, 2009; Papava, 2008, 2009b).

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის კრებსით ეკონომიკურ მაჩვენებლებში ერთდროულად აისახება გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგები.

საქართველოში ეკონომიკური ვითარების დასახასიათებლად უნდა ვისარგებლოთ ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცი-

ით, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ასახავდა რეალობას, რადგანაც „ვარდების რევოლუციის“ მთავრობა ხშირად პოლიტიკური მიზნებისათვის სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირებდა (პაპავა, 2008, გვ. 27; Papava, 2009a, p. 11).

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2008 წელს საქართველოში ეკონომიკის ზრდამ მხოლოდ 2,3% შეადგინა (2005 წელს 9,6% შეადგენდა, 2006 წელს – 9,4%, 2007 წელს – 12,3%), მაშინ როცა წლიური ინფლაცია იყო 5,5%.[1] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ ეკონომიკის ყველაზე დიდი სეგმენტი სახელმწიფო აპარატზე მოდიოდა და მთლიანი შიგა პროდუქტის 17% შეადგენდა (Khaduri, 2009, pp. 151-152).

2008 წელს შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც: თუ 2007 წელს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ეს ინვესტიციები 2 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენდა, 2008 წელს მათი ოდენობა 1,6 მილიარდ აშშ დოლარზე ნაკლები იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ეს ტენდენცია 2009 წელსაც შენარჩუნდა.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ მას ადგილობრივი საფუძველიც ჰქონდა, რაც განპირობებულია ეკონომიკურ პოლიტიკაში პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებით (პაპავა, 2008; Papava, 2009a; Rukhadze, Hauf, 2009). არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სხვა მიზეზების აღნიშვნაც, რომლებმაც უშუალოდ შეუწყო ხელი საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყებას (Папава, 2009б):

1. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადი კონცენტრირებული იყო პრივატიზაციაში და უძრავი ქონების შეძენაში, რამაც აშკარა

---

[1] აქ და შემდეგ, თუ სპეციალური მითითება არ არის, ოფიციალური სტატისტიკის ინფორმაცია გამოიყენება.

დისბალანსი გამოიწვია, როცა ფინანსური რესურსების ნაკადის ზრდის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღემატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს;

2. მთავრობის მხრიდან „წაყრუების" პირობებში სამშენებლო ბიზნესში „ფინანსური პირამიდები"[1] გაჩნდა;

3. ბანკები თავიანთ საკრედიტო რესურსებს ძირითადად ევროპის ფინანსურ ბაზრებზე შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებლობისა და იმ სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის შეძენის მიზნით გაიცემოდა, რომელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ამრიგად, იმპორტირებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა „ფინანსური პირამიდებით" დასნეულებული სამშენებლო ბიზნესი და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტი, რაც ვერანაირად ვერ აისახებოდა დადებითად ქვეყნის ეკონომიკაზე.

როგორც რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო გაერთიანებამ საქართველოს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია. კერძოდ, გამოიყო 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება, საიდანაც 2 მლრდ აშშ დოლარი გრანტი, ხოლო დანარჩენი კი შეღავათიანი კრედიტი იყო (UN, WB, 2009). ამ თანხების საქართველოში შემოსვლა დაიწყო 2008 წელს და გაგრძელდა 2010 წლის ბოლომდე.

---

[1] კერძოდ, „ფინანსური პირამიდის" პრინციპით საქმიანობისას ძველი ვალდებულების შესასრულებლად აღებული საფასური არ არის მის შესასრულებლად საკმარისი და, შესაძლოა, უკვე გახარჯულიცაა, ამიტომ კომპანია იღებს ახალ ვალდებულებას, რათა ამ გზით შეავსოს ხსენებული დანაკლისი; ბუნებრივია, რომ უკვე ამ ახალი ვალდებულების შესავსებად მოზიდული თანხები არ არის საკმარისი, და მორიგი ვალდებულებაა ასაღები თანხების ხელახლა მოსაზიდად, და ა. შ. ადრე თუ გვიან „ფინანსური პირამიდა" აუცილებლად ჩამოიშლება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს ევროპის ფინანსურ ბირჟებზე დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდათ, რომლის დაფარვის ვადა 2009 წლის გაზაფხულზე დადგა. სამწუხაროდ, თავად ამ ბანკებს ვალის დაბრუნება არ შეეძლოთ, მაგრამ საქართველომ თავიდან აიცილა საბანკო კრიზისი, ვინაიდან დონორთა ზემოხსენებული დახმარების ფარგლებში საქართველოს ბანკებმა 636 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს (UN, WB, 2009, p. 11).

საბიუჯეტო სფეროში კრიზისი იმით გამოვლინდა, რომ 2009 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 500 მილიონი ლარით შემცირება, რაც 2009 წლისათვის დაგეგმილი ბიუჯეტის ჯამური საგადასახადო შემოსავლების 10,5% შეადგენდა. ამასთან, მთლიანად საბიუჯეტო მაჩვენებლები გაიზარდა, რაშიც ლომის წილი დონორთა ზემოაღნიშნულ დახმარებაზე მოდიოდა.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტები ბევრად უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, როგორც რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მხარისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის მას თავისი, თუ შეიძლება ითქვას, დადებითი მხარეც ჰქონდა, რაც ამ ფინანსური დახმარებით გამოიხატა. შედეგად, მივიღეთ ე. წ. **„ომის პარადოქსი“**, *როცა ომი უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადებითი ეფექტიც ახლავს* (Папава, 2009б).

2009 წელს საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდება დაქვეითება: 2009 წლის პირველ ნახევარში მთლიანმა შიგა პროდუქტმა 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის მხოლოდ 89,3% შეადგინა, ხოლო 2009 წელს 2008 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 3,8 პროცენტი იყო.

საქართველოს მრეწველობაში შექმნილმა სიტუაციამ, როცა ათმა ყველაზე დიდმა საწარმომ საგრძნობლად შეამცირა წარმოების მოცულობა ან საერთოდ დაიხურა (Aris, 2009, p. 61), კიდევ

უფრო გააშიშვლა ნეკროეკონომიკის* (Papava, 2005) პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პერიოდულად იძენდა სასუქს საბჭოთა პერიოდის უდიდესი ქიმიური კომბინატის „აზოტისაგან“, ამ პერიოდში საწარმომაც შეაჩერა მუშაობა (Aris, 2009, p. 61). მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკაში აშკარა კრიზისული მოვლენების მიუხედავად, ეს სამრეწველო საწარმოები, ნეკროეკონომიკის „საუკეთესო“ ტრადიციებით, 2009 წლის პირველ თვეებშიც განაგრძობდნენ საწყობზე მუშაობას, რადგან მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას მყიდველი არ ჰყავდა; ამ საწარმოებმა მუშაობა მხოლოდ 2009 წლის აპრილ-მაისში შეწყვიტეს, როცა ყველა საწყობი გადავსებული აღმოჩნდა (Aris, 2009, p. 61).

ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ე. წ. „ახალი ფინანსური პაკეტი“, რომელიც, ძირითადად, საბანკო და სამშენებლო სექტორს მოიცავდა (საქართველოს მთავრობა, 2009). კერძოდ, მთავრობამ გადაწყვიტა 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და აქედან მიღებული თანხების დაბანდება ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ამით მთავრობა დაეხმარა კომერციულ ბანკებს, რომლებიც სახაზინო ვალდებულებების ძირითადი მყიდველები არიან, რადგან ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბანკებმა ბიუჯეტიდან გარანტირებული შემოსავლის მიღება შეძლეს. ამასთან, პაკეტი ითვალისწინებდა ბანკების რეგულირების შესუსტებასაც, რაც მთავრობის მოსაზრებით საკრედიტო რესურსების სახით მათ დამატებით 700 მილიონ ლარზე მეტს მისცემდა. ეს პაკეტი ასევე ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ ფინანსური გარანტიების გამოყოფას იმ სამშენებლო კომპანიების მიერ საბანკო კრედიტების მისაღებად, რომლებიც ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლებას მოკიდებდნენ ხელს. ეს საკითხი ცალკე განხილვის თემაა.

---

* ნეკროეკონომიკის არსი განხილულია დანართ 1-ში.

## § VII.2. ქალაქ თბილისის ანტიკრიზისული პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა 2009 წლის ივლისში. პროგრამის მიზანი იყო ძველი თბილისის რეაბილიტაცია, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება და ძველი თბილისის აღდგენისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესში ბანკების მონაწილეობის წინაპირობების შექმნა.

პროგრამის ხსენებული მიზანი ერთდროულად რამდენიმე კეთილშობილური პრობლების გადაწყვეტაზეც იყო მიმართული.

ჯერ ერთი, თბილისის მერიის მიერვე მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2009 წლისათვის ძველი თბილისის რაიონში, ავარიულ სახლებში 50 000 ოჯახი ცხოვრობდა. თანაც ეს საცხოვრებელი ფონდი თითქმის აღარ (ან უკეთეს შემთხვევაში ძნელად თუ ექვემდებარებოდა) გამაგრება-აღდგენას. ხოლო ის სამშენებლო ბუმი, რომელიც თბილისში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარდა, ძველი თბილისის ავარიულ საცხოვრებელ ფონდს თითქმის არ შეხებია. სავსებით ბუნებრივია, რომ თბილისის მერიისათვის ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლება უმწვავეს პრობლემად ჩამოყალიბდა.

მეორე, რუსეთის სამხედრო აგრესიამ 2008 წლის აგვისტოში და 2008 წლის შემოდგომიდან განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ოდენობა, ასევე იკლო საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა, ხოლო საქართველოს ბანკებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ევროპული ფინანსური ბაზრებიდან შედარებით დაბალპროცენტიანი სესხები, მათი გლობალური კრიზისით გამოწვეული გაძვირების გამო. ეს კი საქართველოში განხორციელებულ ნებისმიერ ბიზნესზე უარყოფითად აისა-

ხა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სამშენებლო ბიზნესი აღმოჩნდა, რადგანაც ის კრიზისამდე ყველაზე სწრაფად განვითარებადი იყო, ხოლო კრიზისმა არაერთი სამშენებლო (რომელთაც უმთავრესად „დეველოპერულად“ მოიხსენიებენ) კომპანია გააჩერა. ამ ვითარებაში საქართველოს მთავრობის წინაშე დადგა ამოცანა ხელი შეეწყო სამშენებლო კომპანიებისათვის, რათა მათ მოეხერხებინათ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა.

მესამე, სამშენებლო ბიზნესთან უშუალოდ დაკავშირებული იყო საქართველოს საბანკო სექტორი, რამეთუ კომერციული ბანკები ან უშუალოდ იყვნენ სამშენებლო კომპანიების დამკრედიტებლები, ან იმ მოქალაქეებს აკრედიტებდნენ, რომლებიც იპოთეკური სესხით ცდილობდნენ თავიანთი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. კრიზისმა სამშენებლო სექტორში (ასევე სამომხმარებლო კრედიტების დაუბრუნებლობამ) ფინანსური სირთულეები საქართველოს არაერთ კომერციულ ბანკსაც შეუქმნა. ბუნებრივია, რომ საქართველოს მთავრობისათვის არანაკლები მნიშვნელობის ამოცანა იყო ფინანსური სირთულეების მქონე ბანკებისათვის აღმოეჩინა დახმარება.

სწორედ ამ სამივე პრობლემის ერთდროულად გადასაწყვეტად შეიმუშავა საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. კერძოდ, ძველი თბილისის რაიონში, ავარიულ სახლებში მცხოვრებლების ნებაყოფლობითი თანხმობის შემთხვევაში, თბილისის მერია სამშენებლო კომპანიას აძლევდა გარანტიას, რომლის საფუძველზეც მას ბანკიდან სესხის აღება უნდა შეძლებოდა. ამ სქემის საფუძველზე, მის ავტორთა ჩანაფიქრით, ბანკები შეძლებდნენ საკრედიტო ოპერაციების გააქტიურებას, სამშენებლო კომპანიებს მიეცემოდათ ფინანსური რესურსი სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად და, შედეგად, ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდიც განახლდებოდა.

საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა იყო სამშენებლო სექტორში კრიზისის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობის მხრიდან სამშენებლო ბიზნესზე მარეგულირებელი ფუნქციის მინიმუმამდე დაყვანის პირობებში, ეკონომიკის ამ სექტორში არაერთმა კომპანიამ „ფინანსური პირამიდის“ პრინციპით დაიწყო საქმიანობა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სამშენებლო კომპანიებს შორის არაერთი მათგანი ფუნქციონირებს „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმით, მთავრობას, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – დაწყებამდე, ამ ტიპის კომპანიების მიმართ გაკოტრების შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები უნდა გაეტარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო სექტორისადმი ხსენებული მხარდაჭერა იგივეა, რაც ბიუჯეტის ხარჯზე „ფინანსური პირამიდის“ მხარდაჭერა, რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია არა მარტო სამშენებლო, არამედ საბანკო სექტორისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის ბიუჯეტის შესაბამისი ნაწილის არამიზნობრივ ხარჯვაზე.

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ითვალისწინებდა თუ არა თბილისის მერია სამშენებლო კომპანიების შერჩევისას მათი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივების რეალურობას. ამის გასარკვევად აუცილებელია ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – განსახორციელებლად თბილისის მერიის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესსა და საკონკურსო პირობებში გარკვევა.

ამ წესის თანახმად, ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ კვალიფიციურ მენაშენესა და კვალიფიციურ ფინანსურ ორგანიზაციას.

კვალიფიციურ მენაშენედ კი ითვლება ის იურიუდიული პირი ან ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა, ან სამეწარმეო ამხანაგობა, რომელიც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფლობს მრავალბინიანი ან მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ნებართვას, ან თუნდაც ერთ ასეთ შენობა-

ზე აქვს მშენებლობის ნებართვა, ან ფლობს ამ ტიპის შენობის რეკონსტრუქციის ნებართვას, რომელშიც გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები შეიძლება გადაიყვანოს.

კვალიფიციურ ფინანსურ ორგანიზაციად კი ითვლება საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ყველა კომერციული ბანკი, ის უცხოური ბანკი, რომელსაც კრედიტუნარიანობის შეფასების წამყვანი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს BBB და უფრო მაღალი რეიტინგი, საერთაშორისო ან ადგილობრივი ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკიდან წარმოადგენს გარანტიას, და უცხო ქვეყნის სახელმწიფო ფონდები.

საყურადღებოა, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ვრცელ ჩამონათვალში შესული არ იყო ინფორმაცია, კვალიფიციურ მენაშენეთა მიერ შეუსრულებელ ვალდებულებათა მდგომარეობის შესახებ. ამ კუთხით საკმარისი იყო, წარმოედგინათ ცნობა სასამართლოდან, რომ მათ მიმართ არ მიმდინარეობდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, და ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია არ ხორციელდებოდა.

შედეგად, საკონკურსო კომისიამ ყურადღების გარეშე დატოვა ის, თუ რამდენად გამოიყენებდა ყოველი კონკრეტრული სამშენებლო კომპანია „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმს.

პროექტის – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – პირველი ეტაპის კონკურსი თბილისის მერიამ 2009 წლის 28 ივლისს გამოაცხადა და საკონკურსო განაცხადების ბოლო ვადა 2009 წლის 25 სექტემბერი იყო. კონკუსის შედეგად გამოვლინდა ათი გამარჯვებული კომპანია და შემდეგი ბანკები: თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ბანკი რესპუბლიკა და ბანკი ქართუ. საყურადღებოა, რომ ბანკების ამ ჩამონათვალში სწორედ ის ბანკები მოხვდა, რომელთაც პრობლემები შეექმნათ მშენებლობაზე ადრე გაცემული კრედიტების დაბრუნებაში.

თანამშრომლობის ხელშეკრულებით ბანკებმა აიღეს ვალდებულება მშენებლობის დასასრულებლად სამშენებლო კომპანიებზე 53 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტის გაცემის შესახებ.

პროექტი ითვალისწინებდა, რომ სამშენებლო კომპანიებს ის 1 917 ბინის მშენებლობა უნდა დაესრულებინათ, რომელთა ნაწილი ადრე იყო დაწყებული, მაგრამ ფინანსური რესურსის არ ქონის გამო შეჩერდა.

2010 წელს თბილისის მერიამ გამოაქვეყნა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" – მეორე ეტაპის კონკურსი, რომელშიც საბუთების წარდგენის ბოლო ვადა 21 მაისი იყო. გაიმარჯვა ცხრა სამშენებლო კომპანიამ და ბანკებმა: თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, კორ სტანდარტ ბანკი და ბაზის ბანკი.

მეორე ეტაპის კონკურსი პრაქტიკულად იმავე პირობებით ჩატარდა, როგორც პირველი ეტაპის კონკურსი. მართალია, 2010 წლის ბოლოსათვის თბილისის მერია გეგმავდა მესამე ეტაპის კონკურსის ჩატარებას, თუმცა ამ ეტაპის ჩატარება მოგვიანებით, 2011 წლისათვის გადაიდო.

ხაზგასასმელია, რომ თბილისის მერიის ცნობით სამშენებლო კომპანიების მიერ ხსენებული პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება იყო იმის საფუძველი, რომ ის (მერია) ასევე სრულად დააფინანსებდა მოცემულ კონკრეტულ პროექტს, რაც ძირითადად ბანკის მიერ სამშენებლო კომპანიისათვის მიცემული კრედიტის დაფარვას უნდა მოხმარებოდა.

აქ ადგილი ჰქონდა ერთ არსებით შეცდომას. კერძოდ, თბილისის მერია გაცემული გარანტიის საფუძველზე სრულად უფინანსებდა სამშენებლო კომპანიას ბანკიდან აღებულ სესხს, როცა უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით სამშენებლო კომპანიებს შეექმნებოდათ დაბრკოლება ამ სქემით ბანკებიდან აღებული სესხის დაბრუნებაში, მაშინ ბანკებისათვის მერიის მიერ გაცემული გარანტიის თანახმად, ხსენებული სესხების დაბრუნება თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე განხორციელებულიყო.

სინამდვილეში კი თბილისის ბიუჯეტს მოუწია არა მარტო სრულად დაეფინანსებინა ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლების პროექტები, არამედ ამ პროექტებში დამატებით გადაეხადა საბანკო პროცენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით 2009 წლის მეორე ნახევარში მშენებლობაზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 17,2 პროცენტიდან 21,7 პროცენტამდე მერყეობდა. თუ კი გავითვალისწინებთ, რომ 2009 წელზე მოცემული პროგრამა სულ 53 მლნ. ლარს ითვალისწინებდა, მაშინ გამოდის, რომ ამ თანხაში 7,8 მლნ. ლარიდან 9,5 მლნ. ლარამდე წინასწარ იყო გამოყოფილი საბანკო პროცენტის გადასახდელად. სხვა სიტყვებით საქმე გვაქვს საბიუჯეტო სახსრების გადახარჯვასთან, რადგანაც რისი გაკეთებაც 43,5 მლნ. ლარიდან 45,2 მლნ. ლარამდე დაჯდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი თბილისის მერია ბიუჯეტიდან უშუალოდ დააფინანსებდა ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლებას, საბანკო სექტორის ჩართვის გამო სამუშაოთა იმავე მოცულობაზე თბილისის მერიამ 2009 წელს 53 მლნ. ლარი გამოყო. გადახარჯვა საბანკო პროცენტის ტოლია, და ის 17,2 პროცენტიდან 21,7 პროცენტამდე მერყეობს.

იმავე სქემის გათვალისწინება 2010 წელს შემდეგ შედეგებს გვაძლევდა. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით 2010 წელს მშენებლობაზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 14,0 პროცენტიდან 19,1 პროცენტამდე მერყეობდა. რადგანაც განსახილველი პროექტის ბიუჯეტი 15 720,1 ათასი ლარი იყო, გამოდის რომ მარტო საპროცენტო განაკვეთებზე ამ თანხიდან გათვალისწინებული იყო 1 930,5 ათასი ლარიდან 2 521 ათას ლარამდე. სხვა სიტყვებით, თბილისის მერიამ პროექტში კომერციული ბანკების ჩართვის გამო დახარჯა 15 720,1 ათასი ლარი, მაშინ როცა ბიუჯეტიდან სამშენებლო კომპანიების უშუალო დაფინანსების შემთხვევაში იგივე შედეგი მიიღებოდა მხოლოდ 13 199,1 ათასი ლარიდან 13 789,6 ათას ლარამდე დახარჯვით. მაშასადამე, მოცემულ პროექტზე გამოყოფილი თანხების 14,0 პროცენტიდან 19,1 პროცენტამდე გადაიხარჯა.

პროექტის – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – მესამე ეტაპისათვის თბილისის მერიამ პრინციპულად შეცვალა პირველ და მეორე ეტაპებზე გამოყენებული სქემა, პროექტმა გარანტიისათვის რეალურად დამახასიათებელი ინსტრუმენტი გამოიყენა, კერძოდ, სამშენებლო კომპანია მხოლოდ მაშინ მიიღებდა თბილისის ბიუჯეტიდან ფულს, თუ კი იგი ვერ შეძლებდა აშენებული ბინის უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვას.

მესამე ეტაპზე პროექტში მონაწილეობის უფლება ნებისმიერ სამშენებლო კომპანიას მიეცა. მას, ახალი მშენებლობის დასაწყებად ან შეჩერებულის დასასრულებლად, თბილისის მერიამ ნასყიდობის ხელშეკრულება გაუფორმა, რომლის თანახმად, სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში, მერია ე. წ. „თეთრი კარკასის“ ერთ კვადრატულ მეტრს შეისყიდიდა 400 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში. თუ სამშენებლო კომპანია ბინის უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვას ვერ მოახერხებდა, მას თბილისის მერიის სახით გარანტირებული მყიდველი ეყოლებოდა, რაც ამ კომპანიას აძლევდა საშუალებას, ბანკიდან აეღო კრედიტი იმის გარანტიით, რომ „თეთრი კარკასის“ ერთ კვადრატულ მეტრს თბილისის მერია შეისყიდიდა 400 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში.

სამშენებლო კომპანიებისაგან თბილისის მერიის მიერ შეძენილი ბინები განკარგვისათვის მერიაში შექმნილ „უძრავი ქონების განვითარების ფონდს“ გადაეცა, რათა გამოყენებულიყო იმ თბილისელებისათვის, რომლებიც უკიდურესად ავარიულ ან მერიის მიერ ნაქირავებ სახლებში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, გამოთავისუფლებული ტერიტორიის განვითარება კი უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვის საგანი გახდა.

აშკარაა, რომ მესამე ეტაპზე თბილისის მერიამ პირველ ორ ეტაპზე დაშვებული შეცდომა გამოასწორა და გარანტიის ინსტრუმენტი დანიშნულებისამებრ გამოიყენა, თუმცა მესამე ეტაპზეც გადაუწყვეტელი დარჩა ფაქტობრივად გადახდისუუნარო, მაგრამ ფორმალურად გაუკოტრებელი სამშენებლო კომპანიების

პროექტში მონაწილეობა. ეს კი არსებითი ნაკლია, რამაც ხელი შეუშალა სამშენებლო ბიზნესის გაჯანსაღებას.

სამწუხაროდ, მთლიანობაში ქალაქ თბილისის ანტიკრიზისული პროგრამა – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უარყოფითად უნდა შეფასდეს (ჯიბუტი, მესხია, ბასიაშვილი, პაპავა, თოქმაზიშვილი, 2011).

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ სტიმული მისცა სამშენებლო ბიზნესში „ფინანსური პირამიდის“ პრინციპებით მომუშავე კომპანიებს, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გაეგრძელებინათ საქმიანობა, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ამ სამშენებლო კომპანიების ზომბირების ხელშეწყობა (Папава, 2009а, 2009в), ხოლო მათი დახმარებით იმ ბანკების ზომბირება, რომლებიც ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური გარანტიების ხარჯზე მისცემდნენ კრედიტებს ამ კომპანიებს (ეკონომიკის ზომბირების საკითხი დეტალურად განხილულია დანართ 2-ში).

## § VII.3. ომის შემდგომი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ახალი მოდელის შესახებ*

მას შემდეგ, რაც საქართველომ 1991 წელს აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხეები შეექმნა: ჯერ სამხრეთ ოსეთში, მოგვიანებით კი აფხაზეთში გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და, საბოლოო ჯამში, თბილისმა დაკარგა მათზე კონტროლი. თუმცა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ეჭვის

---

* ამ პარაგრაფის თანაავტორი არის არჩილ გეგეშიძე (გეგეშიძე, პაპავა, 2009; Gegeshidze, Papava, 2009).

ქვეშ არ დამდგარა და მთელი მსოფლიო, მათ შორის რუსეთიც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს *დე იურე* საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა. საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და იქ სამხედრო ბაზების მშენებლობა დაიწყო. შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც საქართველოს სრულებით განსხვავებულ სიტუაციაში აყენებს. თუკი ვერ მოხერხდა აგვისტომდელი *სტატუს კვოს* აღდგენა, საქართველო არამარტო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას დაკარგავს, არამედ კითხვის ქვეშ დადგება ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პერსპექტივაც. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დგება საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე განვითარების იმგვარი მოდელის მოძებნის ამოცანა, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვით რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა პროვინციებმა რუსეთის არაპირდაპირი სამხედრო მხარდაჭერით მოახერხეს თბილისის კონტროლიდან გასვლა. დსთ-ის ფორმატში რუსეთმა ამ რეგიონებში შეიძინა მშვიდობისმყოფელის სტატუსი და იქ სამშვიდობო ძალები განალაგა. ფაქტობრივად ე. წ. სამშვიდობო ძალები გამოიყენებოდა მოსკოვის მიერ მარიონეტული რეჟიმების უსაფრთხო არსებობის უზრუნველსაყოფად. მართალია, მოსკოვი ფორმალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა, მაგრამ როდესაც 2001 წელს რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო და ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე არ გაავრცელა, ამით კრემლმა პოლიტიკურად პირველად გამიჯნა ეს ორი რეგიონი დანარჩენი საქართველოსაგან. მოგვიანებით კი ამ რეგიონებში მცხოვრებლებს გამარტივებული წესით დაურიგა რუსული პასპორტები და ისინი რუსეთის მოქალაქეებად აქცია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ მოსკოვმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საყურადღებოა, რომ კრემლს თავისი ეს ზრახვები მას შემდეგ, რაც დასავლეთის არაერთმა სახელმწიფომ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, სულაც არ დაუმალავს. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებამდე მოსკოვი აფრთხილებდა მსოფლიოს, რომ კოსოვო შექმნიდა პრეცედენტს და ეს მას ხელ-ფეხს გაუხსნიდა ეღიარებინა პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული სეპარატისტული პროვინციების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად წარმოუდგენელია თვალსაწიერ მომავალში მოსკოვმა უარყოს თავისი გადაწყვეტილება. მეტიც, რუსეთი იქ სამხედრო ბაზების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნებას ეცდება. ამით საქართველო რუსეთთან, როგორც ოკუპანტ ქვეყანასთან, პერმანენტული ტერიტორიული დისპუტის პირობებში აღმოჩნდა. თბილისი, ცხადია, არ შეეგუება ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და ამ ორი რეგიონის დაკარგვას. ამ ვითარებაში დღის წესრიგში დგება საქართველოს განვითარების იმგვარი ახალი მოდელის შემუშავების საკითხი, რაც საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს უკეთესად უპასუხებს. აღნიშნული თვალსაზრისით, ყველაზე თვალსაჩინო სამი ევროპული სახელმწიფოს – ფინეთის, სერბეთისა და კვიპროსის – გამოცდილება ჩანს. უდავოა, რომ თითოეულ მათგანს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს. მიუხედავად ამისა, მათი სათანადოდ შესწავლა სასარგებლოდ გვეჩვენება.

***ფინეთის გამოცდილება*** საქართველოსათვის პრინციპულად მიუღებელია, რადგანაც, როგორც ცნობილია, ნომინალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის საბ-

ჭოთა კავშირის სამხედრო და დიპლომატიური წნეხის ქვეშ მყოფი ფინეთი იძულებული შეიქნა არაერთ დათმობაზე წასულიყო. კერძოდ, გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოებული ომების შედეგად ფინეთმა საბჭოთა კავშირს ქვეყნის ტერიტორიის 10% დაუთმო. თუმცა, ამ ფასად მოპოვებული მშვიდობის პირობებში ფინეთმა მოახერხა ეკონომიკური განვითარების სწორი კურსის შემუშავება და დღეს იგი ევროპის ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა. თვალსაწიერ მომავალში ქართული საზოგადოება, მენტალური თავისებურებებისა და ისტორიული მეხსიერების გათვალისწინებით, ვერ შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას. აქედან გამომდინარე, საქართველო ტერიტორიების დათმობის ფასად განვითარების გზას ვერ აირჩევს. მით უმეტეს, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს პრაქტიკულად მთელი დანარჩენი მსოფლიო.

***სერბეთის მაგალითი*** ოდნავ განსხვავებულია. მას შემდეგ, რაც 2008 წლის თებერვალში აშშ-მ და ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ბელგრადის თანხმობის გარეშე აღიარეს მისი ტერიტორიის ნაწილის – კოსოვოს – დამოუკიდებლობა, დაიწყო სერბეთის დაჩქარებული წესით ევროპეიზაცია. სერბეთს, როგორც ბალკანეთის საკვანძო ქვეყანას, სათანადო სურვილის შემთხვევაში პრაქტიკულად დაპირდნენ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სრულ ინტეგრაციას. მასთან ევროკავშირს უკვე ხელმოწერილი აქვს სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება და, გარდა ამისა, უკვე საუბრობენ სერბეთსა და შენგენის ზონას შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე გადასვლაზე. ამავე დროს, ყველა აცნობიერებს, რომ სერბეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე შეუძლებელია არათუ სერბეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, არამედ ბალკანეთში გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბება. არადა, ჯერჯერობით სერბეთის ყველაზე პროდასავლური ძალებიც კი არ არიან მზად კოსოვოზე ხელისაღებისთვის. ამიტომ ხდება სერბეთის ერთგვარი „ჩათრევა“ ევროპეიზა-

ციის პროცესში, რათა დროთა განმავლობაში სერბეთს იმდენად აღეძრას მადა ამ პროცესის გაღრმავებისა, რომ დილემის წინაშე დადგომის შემთხვევაში უარიც კი თქვას კოსოვოზე. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებით მნიშვნელოვან „თაფლაკვერს" სთავაზობენ, საქართველოს შემთხვევაში ეს სცენარი, ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განხორციელდება.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვის დაუფარავი მიზანია მსოფლიო დაიყოლიოს, ერთი მხრივ, კოსოვოსა და, მეორე მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციის გაიგივებაში. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის აბსოლუტურად მიუღებელია, რომ მის მიმართ ჩამოყალიბდეს ისეთივე მიდგომა, რაც სერბეთის მიმართ გამოიყენება. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ რუსეთის გარდა მთელი ცივილიზებული სამყარო დაინტერესებულია, რომ კოსოვოს პრეცედენტი არ იქნეს გავრცელებული არა მარტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, არამედ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არსებულ შიდასახელმწიფოებრივ ეთნიკურ-ტერიტორიულ დაპირისპირებებზეც.

***კვიპროსის გამოცდილება*** კი ყველაზე უფრო მეტად შეიძლება გახდეს ომის შემდგომი საქართველოსათვის გასაზიარებელი. 30 წელზე მეტი ხნის წინ კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილი თურქეთის სამხედრო ძალების დახმარებით გაემიჯნა ნიქოზიას, რასაც მოჰყვა ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარება ანკარის მიერ. მას შემდეგ მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებისთვის მხარი არ დაუჭერია. კვიპროსში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა და საბაზრო რეფორმებმა მას მისცა შესაძლებლობა არსებითად აემაღლებინა კეთილდღეობის დონე, გამხდარიყო ევროკავშირის წევრი და, შედეგად, გამხდარიყო აშკარად მიმზიდველი ჩრდილოეთ კვიპროსის ერთ დროს სეპარატისტულად განწყობილ მოსახლეობისათვის. საყურადღებოა, რომ როგორც თურქეთი არ არის ევროკავშირის წევრი, ასევე არც რუსეთი არ არის ევროკავშირის წევრი და, უფრო მეტიც, არც იქნება მომავალში.

XXI საუკუნეში კვიპროსის გზით სიარული შესაძლოა ბევრად უფრო ქმედითიც კი იყოს, რამეთუ თავად ევროკავშირმა საქართველოსთან ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას.

აუცილებელია, თბილისმაც და ბრიუსელმაც გაითავისონ, რომ რუსული აგრესიისა და მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის არ აქვს სხვა არჩევანი, თუ არა კვიპროსის გამოცდილების გაზიარება.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-ის როლს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაში. ამ მიზნით აუცილებელია ვაშინგტონსა და ბრიუსელს შორის საქართველოსთან მიმართებაში მოქმედებათა კოორდინაციის ამაღლება, რათა აშშ-ის საქართველოსადმი ფინანსური დახმარების პოლიტიკა ჰარმონიზირებული იყოს ევროკავშირის დახმარების პროგრამებთან.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს პრიორიტეტული საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისათვისაც, მათი პროგრამების პირობებიც სრულ თანხვედრაში უნდა იყოს ბრიუსელის მიერ თბილისისადმი შეთავაზებულ პირობებთან.

## ლიტერატურა

**გეგეშიძე ა., პაპავა ვ., 2009.** ომისშემდგომი საქართველო განვითარების ახალი მოდელის ძიებაში. წიგნში: *2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა*. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი.

**კაკულია მ., 2008.** ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა*, ოქტომბერი, http://www.geplac.org/newfiles/GeorgianEconomicTrends/2008/October%202008%20%20(geo).pdf.

**პაპავა ვ., 2008.** პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია,

წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 6, თბილისი, „სიახლე", 2008.

**საქართველოს მთავრობა, 2009.** მთავრობამ ეკონომიკის სტიმულირების ახალი პაკეტი მოამზადა. *Civil.Ge*, 30 ივნისი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21450.

**ჯიბუტი მ., მესხია ი., ბასიაშვილი დ., პაპავა ვ., თოქმაზიშვილი მ., 2011.** *თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი: მონიტორინგის ანგარიში*. თბილისი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

**Akhmeteli N., 2008.** Will the American Economic Crisis Hit Georgia? *Investor.ge*, Is. 2, April, http://www.investor.ge/issues/2008-2/01.htm.

**Aris B., 2009.** Donor Money Keeps Georgia Afloat. *bne – businessneweurope*, August, http://www.businessneweurope.eu/story1693/Donor-money-keeps-Georgia-afloat.

**Cornell S.E., Starr S.F., eds., 2009.** *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*. Armonk, M.E. Sharpe.

**Corso M., 2009.** Georgia's Expansion Halts. *Caucasus Analytical Digest: The Caucasus in the Global Financial Crisis*, No. 6, May 21, pp. 5-7 http://www.hertie-school.org/binaries/addon/1282-caucasus-economic-report.pdf.

**Gegeshidze A., Papava V., 2009.** Post-War Georgia Pondering New Models of Development. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 11, No. 1, January 14, http://old.cacianalyst.org/?q=node/5012.

**Giuli M., 2009.** Georgia and the Systemic Impact of the Financial Crisis. *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 3 (3), 2009, http://www.cria-online.org/Journal/8/Done-Georgia%20and%20the%20systemic%20impact%20of%20the%20financial%20crisis-Marco%20Giuli.pdf.

**Khaduri N., 2009.** Georgia: Economy. In *Central Eurasia 2008*. Luleå, CA&CC Press.

**Papava V., 2005.** *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

**Papava V., 2008.** Post-War Georgia's Economic Challenges. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 10, No. 23, November 26, http://www.cacianalyst.org/?q=node/4991.

**Papava V., 2009a.** Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution. *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Is. 1.

**Papava V., 2009b.** Georgia's Economy: Post-revolutionary Development and Post-War Difficulties. *Central Asian Survey*, Vol. 28, No. 2.

**Rukhadze I., Hauf M., 2009.** The Georgian Economy Under Saakashvili. *The Financial*, April 21, http://www.finchannel.com/index.php?option=com-content&task=view&id=35088&Itemid=13.

**UN, WB, 2009.** *Georgia Joint Needs Assessment. Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction. Progress Report*. The United Nations, The World Bank, June 30, http://www.mof.ge/common/get-doc.aspx?doc-id=5994.

**Папава В., 2009а.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. *Вестник Института Кеннана в России*, Выпуск 15.

**Папава В., 2009.** У экономического кризиса в Грузии отечественные корни. *Вестник Кавказа*, 27 Июня, http://www.vestikavkaza.ru/articles/ekonomika/mir-fin-kriz/4249.html.

**Папава В., 2009в.** Финансовый кризис и посткоммунистический капитализм. *Мировая экономика и международные отношения*, №8.

თავი VIII

# პოსტსაბჭოთა საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა*

## § VIII.1. რთული დასაწყისი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა პრაქტიკულად არასოდეს ყოფილა კარგი. XXI საუკუნეში ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო დამძიმდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა, ხოლო დიპლომატიური კი საერთოდ გაწყვეტილია, ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს შეჩერებულა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები თავისი ხასიათით იყო რეგიონთაშორისი ურთიერთობები ერთიანი ქვეყნის სახალხომეურნეობრივი კომპლექსის მბრძანებლური ეკონომიკის სისტემაში. საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებს განსაზღვრავდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ცენტრალური ორგანო – სსრკ-ის ე. წ. „გოსპლანი" (ანუ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი). საქართველო მისი მცირე ზომიდან გამომდინარე, კავკასიის სხვა მცირე საბჭოთა რესპუბლიკებთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) ერთად

* ამ თავის თანაავტორი არის თამარ თაფლაძე (პაპავა, თაფლაძე, 2012).

სსრკ-ის ეკონომიკური დარაიონების სისტემაში ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში შედიოდა (Адамеску, Силаева, ред., 1973).

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დაიშალა მბრძანებლური ეკონომიკაც, რამაც უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ცალკეულ საწარმოთა შორის არსებული სამრეწველო კავშირების განყვეტა გამოიწვია. საქართველოში ეს ტენდენცია დაჩქარდა. კერძოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს პირველმა ხელმძღვანელობამ წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოაცხადა რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა და გადაკეტა სარკინიგზო კვანძი ქალაქ სამტრედიაში. ამის შედეგად რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული სამრეწველო კავშირები უფრო ადრე და უფრო სწრაფად გაწყდა, ვიდრე ეს მოხდა სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ამან პირველ რიგში საქართველოს ეკონომიკა დააზარალა (Папава, Беридзе, 1994). ეს იყო პირველი მცდარი ეკონომიკური ნაბიჯი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, რომელიც განაპირობა საქართველოს ხელისუფლების არასწორმა მოქმედებებმა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამის შემდეგაც რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო.

დარჩა რა სამანეთო ზონაში, საქართველოს (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად) 1992 წლის შემოდგომიდან მოსკოვიდან საბჭოთა სამანეთო ბანკნოტების (საბჭოთა მანეთის ნაცვლად რუსული მანეთი მხოლოდ 1993 წლის ზაფხულში შემოიღეს) მიღების პრობლემა გაუჩნდა (Гоциридзе, 2008, сс. 174-175). ეს იყო რუსეთის რეაქცია, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ზოგი ყოფილი რესპუბლიკის (მათ შორის საქართველოს) ცენტრალური ბანკებიდან ე. წ. „ჰაერის" ანუ ისეთი ფულადი გზავნილების გადარიცხვამ, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი უზრუნველყოფა. ამან, თავის მხრივ, საქართველოში დროებითი ეროვნული ვალუტის – ეროვნული ბანკის კუპონის – შემოღება დააჩქარა (Гоциридзе, 2008, с. 175).

პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სადაც გაერთიანდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ბალტიის ქვეყნების გამოკლებით. საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობაში შევიდა მოგვიანებით, 1993 წელს, მას შემდეგ, რაც ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში იძულებული შეიქნა დაეტოვებინა აფხაზეთი, რასაც მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიანი ტალღა. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების იმედით საქართველომ მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება, იმ მიზნით, რომ მოსკოვის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, რომელიც ყოველთვის ედგა მხარში სეპარატისტულ მოძრაობას არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებშიც (მაგალითად, Bertsch, Craft, Jones, Beck, eds., 2000; Lynch, 2004).

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მიაღწიეს მრავალ მნიშვნელოვან შეთანხმებას, რაც ხელს უწყობდა წევრი-სახელმწიფოების ეკონომიკური კონტაქტების დალაგებას, გავრცელებული აზრის თანახმად, თანამეგობრობა თავიდანვე შეეჯახა სირთულეებს ინტეგრაციის პროცესებში (Гринберг, Зевин, и др., 2001; Козик, Кохно, 2001; Шумский, 2001). ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევა საბაზრო საფუძველზე ინტეგრაციის იმ სქემების შემუშავებისაკენ სწრაფვა, რაც დამახასიათებელია საწარმოო კოოპერაციისათვის და რაც ნიშანდობლივი იყო სსრკ-ის შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემისათვის (Olcott, Åslund, Garnett, 1999).

XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში ორივე ქვეყანა, საქართველოც და რუსეთიც, დაკავებული იყო საკუთარი პრობლემებით – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით და ამდენად, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური დაინტერესების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია რუსეთის 1998 წლის სავალუტო-ფინანსურმა კრიზისმა, რაც უარყოფითად აისახა საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის – გაცვლითი კურსისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობაზე (Какулия, 2008, cc. 196-197). ამის შედე-

გად საქართველოსთან საგარეო ვაჭრობაში პირველობა რუსეთმა მხოლოდ თურქეთს დაუთმო (ისიც არა დიდი ხნით). ასე გაგრძელდა 2006 წლამდე, იქამდე, სანამ რუსეთმა ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისთვის, ასევე ქართული წარმოშობის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის არ დაკეტა თავისი ბაზარი.

## § VIII.2. მწვავე თემები

რევოლუციამდელი პერიოდის ქართულ-რუსულ ურთიერთობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. „ნულოვანი ვარიანტის" ხელშეკრულების ტექსტის საქართველოს პარლამენტის მიერ იძულებითი რატიფიკაცია, რომლის თანახმადაც, საქართველომ რუსეთის ვალის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და პარიზის კლუბის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებზე (Броладзе, 2001). მართალია, პარაფირებულ ტექსტში ეწერა, რომ ეს არ ვრცელდება ალმასის ფონდსა და ყოფილი სსრკ-ის „ვნეშეკონომბანკის" ანგარიშებზე, მაგრამ 1993 წელს ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერი უკვე აღარ იყო, რაც ქართულმა მხარემ მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ შენიშნა. საქართველოს ხელისუფლების მრავალრიცხოვანი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის მხარე ხელმოწერილ ტექსტში რამის შეცვლას არ აპირებდა, ხოლო როდესაც საქართველოს დასჭირდა რუსეთის მიმართ საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია, მოსკოვმა ამ ხელშეკრულების იმ სახით რატიფიკაცია მოითხოვა, როგორადაც იყო ხელმოწერილი. რადგანაც საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის ალტერნატიული ვარიანტი არ არსებობდა, საქართველოს თავისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოუწია „ნულოვანი ვარიან-

ტის“ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც პარაფირებული ტექსტისაგან განსხვავდებოდა.[1]

აზერბაიჯანული ნახშირწყალბადის რესურსების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებას ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში (Papava, 2005, 2009, 2011a; Papava, Tapladze, Ulumberashvili, 2011). კერძოდ, რუსეთი მიიჩნევდა (და სამწუხაროდ, დღემდე მიიჩნევს), რომ ამ პროექტის რეალიზაცია ასუსტებს მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს (Rondeli, 2002). ამრიგად, რუსეთი არა მარტო არ იყო დაინტერესებული საქართველოს გავლით ტრანსპორტირების დერეფნის გაყვანით, არამედ ყველა ძალას ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა ამ პროექტებისათვის (Rondeli, 2002). ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გამო რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება შენარჩუნდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც: რუსეთმა ყველა ძალა და საშუალება გამოიყენა, რომ წინ აღდგომოდა მილსადენებთან დაკავშირებული პროექტების რეალიზებას (LeVin, 2007; Tsereteli, 2008). რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ რუსეთი ზოგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან, მათ შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანთან, „ენერგეტიკულ ომს“ აწარმოებს (Дружиловский, 2006, с. 80).

ჯერ კიდევ საქართველოს 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციამდე“ რუსეთში უკვე პოპულარული იყო „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის იდეა (Чубайс, 2003), რომლის მიხედვითაც, რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის საშუალებით შეუძლია და უნდა აღადგინოს კიდეც თავისი ეკონომიკური გავლენა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე (Kissinger, 2002, p. 76). ზოგადად, ლიბერალური იმპერია, მისი ავტორების ჩანაფიქრით, უნდა შეიქმნეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არა ძალადობრივი შეიარაღებული ოკუპაციის, არამედ ამ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი ეკონომიკური ობიექტების დასაკუთრების (შეძენისა და

[1] სამწუხაროდ, პარაფირებული ტექსტის დედანიც დაკარგული იყო და საქართველოს მოუწია ამ ტექსტის ქსეროასლის რატიფიცირება.

აქტივების განვითარების) გზით (Crane, Peterson, Oliker, 2005). სამწუხაროდ, პოსტრევოლუციური საქართველო სულ უფრო და უფრო ღრმად ეხვეოდა „ლიბერალური იმპერიის“ მარწუხებში (პაპავა, თაფლაძე, 2009).[1]

## § VIII.3. ვაჭრობა, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები

2006 წელს, საქართველოს, მისი პროდასავლური ორიენტაციის გამო, „დასასჯელად“, რუსეთმა მოიმიზეზა ქართული ღვინისა და მინერალური წყლების უხარისხობა და ამ პროდუქტებისა და მთლიანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის დახურა თავისი ბაზარი. ეს, მართალია, ერთი მხრივ, უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე (Livny, Ott, Torosyan, 2009), მაგრამ, მეორე მხრივ, იქცა სტიმულად, რომ საქართველოს თავისი პროდუქციის გასასაღებლად ახალი ბაზრები მოეძებნა. ამის პარალელურად რუსეთმა საქართველოს ბლოკადა გამოუცხადა და ყოველგვარი საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო მიმოსვლა და საფოსტო გზავნილებიც კი შეაჩერა.

მოსკოვის მიერ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აკრძალვა არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე. რუსეთის შემდეგ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების შეტანა აფხაზეთმაც აკრძალა. აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთმა სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო აფხაზურ ღვინოსთან დაკავშირებით და მის რუსეთში შესატანად არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია.

ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს

---

[1] უფრო დეტალურად ეს საკითხი განხილულია § IV.2-ში.

მიაღწია. ამის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. ამ ომმა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ეჭვქვეშ დააყენა ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არსებობა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აღიარებს მასში შემავალი ქვეყნების საზღვრების დაურღვევლობას (Allison, 2008, p. 1161). რუსეთის აგრესიის შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, საქართველო გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან.

ამ პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არანაირი ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობდა. ეს ასე არაა, რადგან საქართველო არის სამუშაო ძალის „ექსპორტიორი" რუსეთში, ხოლო რუსეთი – საქართველოში ინვესტიციების მნიშვნელოვანი „იმპორტიორი".

საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი შეზღუდვების გამო საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა საკმაოდ შეიკვეცა, თუმცა სრულად არ შემწყდარა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რუსეთში ქართული ექსპორტის წილი, საქართველოს ექსპორტის მთელ მოცულობასთან შედარებით, 2005 წლის (ანუ ერთი წლით ადრე, სანამ რუსეთი ქართული პროდუქციის თავის ბაზარზე შეტანას აკრძალავდა) 17,8 პროცენტიდან 2008 წელს 2,0 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო, მაგალითად, 2010 წელს კი 2,2 პროცენტი შეადგინა. იგივე ტენდენცია შეინიშნება საქართველოში რუსული იმპორტის წილის შეზღუდვის თვალსაზრისითაც: თუკი 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში იმპორტი 15,4 პროცენტს შეადგენდა, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს 5,5 პროცენტი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში რუსეთს მეხუთე ადგილი ეკავა (თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და გერმანიის შემდეგ), მაგრამ წინ უსწრებდა მაგალითად, აშშ-ს, ბულგარეთსა და ჩინეთს.

ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე, მათ შორის ეთნიკურად ქართველებიც, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა და ცხოვრობენ რუსეთში, თავიანთი შემოსავლის ნაწილს საქართველოში მცხოვრებ ნათესავებს ურიცხავენ. რუსეთის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით სავიზო რეჟიმის შემოღებამ და 2006 წელს რუსეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების (მათ შორის რუსეთის მოქალაქეებისაც) გამოძევებამ (Papava, 2007), საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებისთვის საბანკო არხების გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ნათესავებისთვის ფულის გაგზავნას ნაცნობ-მეგობრების ხელით (Kakulia, 2007, p. 56). ამ ტენდენციაზე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმაც კი ვერ იქონია გავლენა. 2005 წელს (ანუ ქართველების რუსეთიდან გამოძევებამდე ერთი წლით ადრე) საქართველოში სულ გადმოირიცხა 403 მლნ. აშშ დოლარზე მეტი, აქედან რუსეთიდან – 240 მლნ. აშშ დოლარზე მეტი, რამაც მთელი ფულადი გზავნილების 59,6 პროცენტი შეადგინა. 2008 წელს ფულადი გზავნილების ოდენობა, 2005 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,6-ჯერ და 1002 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, სადაც 2,6-ჯერაა გაზრდილი ფულადი გზავნილები რუსეთიდან და შეადგენს თითქმის 634 მლნ. აშშ დოლარს – უკვე ფულადი გზავნილებით მიღებული მთლიანი თანხის 63,3 პროცენტს. 2009 წელს, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, საქართველოში გადმორიცხულმა ფულადმა გზავნილებმა (სულ 842 მლნ. აშშ დოლარი) უკვე 2008 წელს თანხის 84 პროცენტი შეადგინა, რუსეთიდან კი, უფრო ცოტა, – მხოლოდ 71,0 პროცენტი (რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილმა შეადგინა მთლიანი თანხის ნახევარზე მეტი – 53,5 პროცენტი), რაც, პირველ რიგში, რუსეთში ეკონომიკური კრიზისის განსაკუთრებული სიმძიმით აიხსნება. 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, საქართველოში გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა, როგორც საერთოდ (940 მლნ. აშშ დოლარი), ისე რუსეთიდანაც (530

მლნ. აშშ დოლარი), შესაბამისად გაიზარდა რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილიც, რომელმაც 56,4 პროცენტი შეადგინა.[1]

გაცილებით რთულია საქართველოს ეკონომიკაში ჩადებული რუსული (და არა მარტო რუსული) ინვესტიციების მეტ-ნაკლებად ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან სტატისტიკური ინფორმაცია იმდენად არასრულყოფილია, რომ მასზე დაყრდნობა არ იძლევა რეალურ ვითარებაზე საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ბევრი ფირმა, რომელმაც პირდაპირი ინვესტიციები განახორციელა, დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონებში, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს ამ ფულადი ნაკადების რეალური წარმომავლობა. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რუსეთი, საქართველოში, მაგალითად, 2010 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ნიდერლანდის და აშშ-ის შემდეგ, მესამე ადგილზე იყო.[2]

## § VIII.4. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი

XXI საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი (Barysch, Cottrell, Frattini, Hare, Lamy, Medvedkov, Yasin, 2002). საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყანა[3], იმთავით-

---

1 აქ მოყვანილი ინფორმაცია აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

2 აქ მოყვანილი ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

3 საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან.

ვე თანახმა იყო ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე, თუკი მოსკოვი მისცემდა თბილისს შესაძლებლობას, გაეხსნა საკონტროლო-გამშვები პუნქტები საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მონაკვეთებზე. თბილისის პირობები ემყარებოდა იმ მოსაზრებებს, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის საქონლის საზღვარზე გადატან-გადმოტანა უნდა ხდებოდეს ეროვნული საბაჟო კანონმდებლობებით, რაც, სამწუხაროდ, ვერ ხორციელდება სეპარატისტული მთავრობების გადაწყვეტილებათა გამო, რასაც მოსკოვი ღიად უჭერდა და უჭერს მხარს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თბილისის პოზიცია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა: თუ ოფიციალური მოსკოვი ნებას არ მისცემდა ქართველ მებაჟეებს ემუშავათ ამ ორ სეპარატისტულ ტერიტორიაზე, ანუ ორ ქვეყანას შორის არსებულ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებზე, საქართველო ოფიციალურად არ დასთანხმდებოდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. 2011 წლის მარტში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველად, ბერნში (შვეიცარია) რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე სათათბიროდ ერთმანეთს ოფიციალურად შეხვდნენ რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციები. შვეიცარელების მიერ შუამავლობით ჩატარებული მოლაპარაკებები დასრულდა კომპრომისული შეთანხმებით, რამაც შესაძლებლობა მისცა რუსეთს, გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი (Papava, 2011b). ეს კი ქართულ კომპანიებს აძლევს ქმედით ინსტრუმენტს იმისათვის, რომ სურვილის შემთხვევაში დაბრუნდნენ რუსეთის ბაზარზე.

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან შეთანხმებით დასრულებულმა მოლაპარაკებებმა შექმნა იმის განცდა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობები ქართულ-რუსულ ურთიერთობა-

თა გასაუმჯობესებლად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არასოდეს დათმობს ტერიტორიალურ მთლიანობასა და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ ახალმა მთავრობამ დაიწყო რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირება. შედეგად სავაჭრო ბრუნვაც გაიზარდა. კერძოდ, თუ 2011 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტი მთლიანად ექსპორტის 1,7 პროცენტს შეადგენდა, 2013 წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 6,6 პროცენტს მიაღწია, რაც იმან გამოიწვია, რომ თუ მთლიანად ექსპორტი ამ წლებში 1,3-ჯერ გაიზარდა, რუსეთში ექსპორტი 5,2-ჯერ იქნა გაზრდილი. მსგავსი სურათი დაფიქსირდა იმპორტშიც. კერძოდ, თუ 2011 წელს საქართველოში რუსეთიდან იმპორტი მთლიანად იმპორტის 5,5 პროცენტს შეადგენდა, 2013 წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 7,5 პროცენტს მიაღწია, რაც იმან გამოიწვია, რომ თუ მთლიანად იმპორტი ამ წლებში 1,1-ჯერ გაიზარდა, რუსეთიდან იმპორტი 1,5-ჯერ იქნა გაზრდილი.[1] სამწუხაროდ, გამოცოცხლებული სავაჭრო ურთიერთობები არ ემყარება ინსტიტუციურად გამყარებულ გარანტიებს, ამიტომ ნებისმიერ დროს შეიძლება შეიზღუდოს, თუ კი მოსკოვი კვლავ გადაწყვეტს რაიმე მიზეზით თბილისის დასჯას.

## ლიტერატურა

**პაპავა ვ., თაფლაძე თ., 2009.** „ლიბერალური იმპერიის" რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. *ეკონომისტი*, № 1.

**პაპავა ვ., თაფლაძე თ., 2012.** საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. *ეკონომისტი*, № 1.

---

1 აქ მოყვანილი ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

**Allison R., 2008.** Russia Resurgent? Moscow's Campaign to "Coerce Georgia to Peace." *International Affairs*, Vol. 84, No. 6.

**Barysch K., Cottrell R., Frattini F., Hare P., Lamy P., Medvedkov M., Yasin Y., 2002.** *Russia and the WTO*. London: Centre for European Reform (CER), http://www.cer.org.uk/pdf/p394-russia-wto.pdf.

**Bertsch G. K., Craft C., Jones S. A., Beck M., eds., 2000.** *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*, New York: Routledge, 2000.

**Crane K., Peterson D. J., Oliker O., 2005.** Russian Investment in the Commonwealth of Independent States. *Eurasian Geography and Economics*, Vol. 46, No. 6.

**Kakulia M., 2007.** Labour Migrants' Remittances to Georgia: Volume, Structure and Socio-Economic Effect. *Georgian Economic Trends*, October.

**Kissinger H., 2002.** *Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the Twenty-First Century*. London, The Free Press.

**Le Vin S., 2007.** *The Oil and the Glory: The Pursuit of Empire and Fortune on the Caspian Sea*. New York, Random House.

**Livny E., Ott M., Torosyan K., 2009.** Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy. In *Georgia in Transition*. Lorenz King, Giorgi Khubua, eds. Frankfurt am Main, Peter Lang, 2009.

**Lynch D., 2004.** *Engaging Eurasia's Separatist States. Unresolved Conflicts and De Facto States*. Washington, D. C., United States Institute of Peace Press.

**Olcott M. B., Åslund A., Garnett S. W., 1999.** *Getting it Wrong: Regional Cooperation and the Commonwealth of Independent States*. Washington, D.C., Carnegie Endowment for International Peace, 1999.

**Papava V., 2005.** The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia. In: *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. Starr S. F., Cornell S. E., eds. Uppsala, The Silk Road Studies Program, Uppsala University.

**Papava V., 2007.** Russia's Illiberal "Liberal Empire". *Project Syndicate*, February 28, http://www.project-syndicate.org/commentary/russia-s-illiberal--liberal-empire-.

**Papava V., 2009.** Formation and Development of the "Caucasian Tandem". *Azerbaijan Focus*, Vol. 1 (1).

**Papava V., 2011a.** Energy Cooperation Opportunities in the Caucasus. *Caucasus International*, Vol. 1, No. 1.

**Papava V., 2011b.** Russia's Accession to the WTO: The Perspective from Tbilisi. *International Alert*, December, http://www.international-alert.org/our-work/caucasus-dialogues-perspectives-region/russia's-accession-wto-perspective-tbilisi.

**Papava V., Tapladze T., Ulumberashvili N., 2011.** On the Economic and Energy Cooperation in the Caucasus. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 5, No. 1.

**Rondeli A., 2002.** Pipelines and Security Dynamics in the Caucasus. *Insight Turkey*, Vol. 4, No 1. Tsereteli m., 2008.

**Tsereteli m., 2008.** Beyond Georgia: Russia's Strategic Interests in Eurasia. *Central Asia-Caucasus Institute Analyst*, June 11, http://www.cacianalyst.org/?q=node/4879

**Адамеску А. А., Силаева Е. Д., ред., 1973.** *Закавказский экономический район. Экономико-географический очерк.* Москва, «Наука».

**Броладзе Н., 2001.** «Нулевой вариант»: за и против. *Независимая газета*, 17 января, http://www.ng.ru/cis/2001-01-17/5–variant.html№.

**Гоциридзе Р., 2008.** Национальная валюта Грузии – Лари. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press, 2008.

**Гринберг Р. С., зевин Л. З., и др., 2001.** *10 лет Содружества независимых государств: иллюзии, разочарования, надежды.* Москва, ИМЭПИ РАН.

**Дружиловский С. Б., 2006.** К вопросу об альтернативной стратегии Российской Федерации в сфере энергетической политики. В кн.: *Средиземноморье – Черноморье – Каспий: между Большой Европой и Большим Ближним Востоком.* Под ред. Н. П. Шмелева, В. А. Гусейнова, А. А. Язьковой. Москва, Издательский дом «Граница».

**Какулия М., 2008.** До и после введения лари: национальная валюта Грузии в ретроспективе. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты.* Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press.

**Козик Л. П., Кохно П. А., 2001.** *СНГ: реалии и перспективы.* Москва, Издательский дом «Юридический мир ВК».

**Папава В., Беридзе Т., 1994.** Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал*, № 3.

**Шумский Н. Н., 2001.** *Сотрудничество независимых государств: проблемы и перспективы развития*. Минск, «Технопринт».

**Чубайс А., 2003.** Миссия России в XXI веке. *Независимая газета*, 1 октября, http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1-mission.html.

თავი IX

# „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები*

## § IX.1. მძიმე მემკვიდრეობა**

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ოცწლეულში საქართველოს ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა (იხ. წინა თავები; ასევე Papava, 2013). დამოუკიდებლობის პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, როცა ყოველგვარი გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე მყოფი ქვეყანა (Papava, 2011a) შეიარაღებულ კონფლიქტებში აღმოჩნდა ჩათრეული. მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განსაკუთრებით საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი შეცდომები იქნა დაშვებული (Papava, 1995).

ყველა ამ შეცდომის შედეგად 1993 წელს მთლიანმა შიგა პროდუქტმა 1990 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის 30,73% შეადგინა; 1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ 7 840%-ს გადააჭარბა (Khaduri, 2010, p. 71). ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც გეგმიურობიდან ჰიპერინფლაციაზე გადასვლა (Gurgenidze, Lobzhanidze, and Onoprishvili, 1994).

* ამ თავის თანაავტორი არის თამარ თაფლაძე (პაპავა, თაფლაძე, 2013).

** ამ პარაგრაფში წინა თავების მოკლე აღწერაა მოცემული.

1995 წელს წარმატებით განხორციელებულმა ფულადმა რეფორმამ (Kakulia, 2008) მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა (Papava, 1996; Wang, 1998; Wellisz, 1996) და 1996-1997 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტის თითქმის 24%-იან ზრდას შეუწყო ხელი (Khaduri, 2010, p. 72). ამ რეფორმების წარმატებაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი ძალზედ მნიშვნელოვანია (Papava, 2003).

საქართველოს ეკონომიკაზე 1998 წლის რუსეთის დეფოლტის უარყოფითმა გავლენამ (Kakulia, 2008, pp. 183–184), ხოლო შემდგომში ეკონომიკის რეფორმირებაში დაშვებულმა შეცდომებმა (Khaduri, 2005), ქვეყანაში საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები გაამწვავა (Papava, 2005). 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 52%-ს საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა (მაგალითად, Meskhia, 2008, p. 57).

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო (WB, 2012), რის შედეგად საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში ახალი შრომითი კანონმდებლობა შევიდა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა (Papava, 2005). ამან საქართველოს ლიბერტარიანული (მაგალითად, Gurgenidze, 2009) თუ ნეოლიბერალური რეფორმების (მაგალითად, Udensiva-Brenner, 2010) გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა. ამავდროულად, საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა (HRIDC, 2008), მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის მიერ კონტროლირებადი გახდა (Rimple, 2012); ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია (TI, 2012), ხოლო მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა (Anjaparidze,

2006; Gujaraidze, 2010; Gujaraidze, Barbakadze, Gujaraidze, Mchedlishvili, and Kakhaberi, 2007). თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობოლშევიზმის სადარია, და საქართველოს ეკონომიკა სააკაშვილის მთავრობის ხელში „ნეოლიბერალური ფანტაზია" (Jones, 2013, p. 4), „ავტორიტარული ლიბერალიზმი" (Jobelius, 2011), „ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზი" (მაგალითად, Papava, 2009; Waal, 2011, p. 13) უფრო იყო.

მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელიც დესპოტიზმის ელემენტებით იყო გაძლიერებული, სააკაშვილის რეჟიმი აქცია ნეობოლშევიკურად, ხოლო მისი მთავრობა – „ვარდისფრად" ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ვარდების რევოლუციით მივიდა ის ხელისუფლებაში, მეორე კი გახუნებულ ბოლშევიკურ „წითელს" გვახსენებდა (პაპავა, 2013; Papava, 2012b).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის (მაგალითად, Cornell, S. E., and S. F. Starr, eds., 2009) შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებაზე მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა (CEU, 2008), თუმცა წინასწარ რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტის იმპლემენტაცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ კი – სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, სააკაშვილის მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით (IMF, 2008, p. 10), ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

2009 წლის დასაწყისში შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას მოეწერა ხელი, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის შესაძლებლობას ითვალისწინებს (სივილ ჯორჯია, 2009). სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, თუნდაც თემაზე მოლაპარაკებები დაწყებულიყო, რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა.

## § IX.2. ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკა

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მოდელი, სამწუხაროდ, დაფუძნებულია არა იმდენად წარმოების ზრდაზე, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე, რამაც მრავალი უარყოფითი შედეგი გამოიწვია.

მოხმარების სტიმულირებამ ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე მოიტანა ის, რომ 2012 წელს იმპორტი ექსპორტს თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა (NSO, 2012); ექსპორტის სტრუქტურაში კი 22% მსუბუქ ავტომობილებზე, ხოლო 8% ჯართზე მოდიოდა. ამ დროს კი ცნობილია, რომ საქართველოში ავტომშენებლობა არ არსებობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ექსპორტის აღნიშნული 22% იმის შედეგი იყო, რომ საქართველო მეზობელ ქვეყნებში მსუბუქი ავტომობილების გასაყიდად შემომტანის საშუამავლო ფუნქციას ასრულებდა. იმპორტისგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა და ის, რომ ექსპორტის 30% საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქტს არ წარმოადგენდა, საქართველოს ეკონომიკის შედარებითი ჩამორჩენილობის დასტურია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უფრო მოხმარებაზე, ვიდრე წარმოებაზე ორიენტაციის ფაქტს ისიც მოწმობს, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიანი შიგა პროდუქტის 90%-ს შეადგენს (მაგალითად, Samson, 2008, p. 73).

წარმოების შედარებითი ჩამორჩენილობის პირობებში, მოხმარების ზრდას საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფს: „ვარდების რევოლუციის" პირველ წლებში ეს, უპირატესად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (მაგალითად, Shmidt, 2007) და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნათესავების ფულადი გზავნილების ხარჯზე ხორციელდებოდა (Kakulia, 2007).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც წესი, უძრავ ქონებაში აკუმულირდებოდა, რაც მთლიანობაში ქვეყნის შიგნით დამატებით ფინანსურ რესურსს ქმნიდა. ძირითადად საბანკო

სისტემით შემოდინებული ეს ფინანსური რესურსი ბინათმშენებლობის ზრდას უწყობდა ხელს, რომელიც, შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის არარსებობის პირობებში, კარგად ცნობილ „საფინანსო პირამიდის“ სისტემად იქცა (Papava, 2010, p. 46).

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მრავალმა მოქალაქემ სხვადასხვა მიზეზით დატოვა საქართველო. ამჟამად მოქალაქეთა თითქმის 20% (მილიონზე მეტი) საზღვარგარეთ ცხოვრობს (მათ შორის – 2/3 რუსეთში, დანარჩენები კი ძირითადად საბერძნეთში, თურქეთში, უკრაინაში, აშშ-სა და ესპანეთში) (მაგალითად, Samson, 2008, p. 74). მხოლოდ საბანკო არხებით შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად 1 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. ეს ფული ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

დანაზოგების დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების ზრდისა და შევსების ძირითად წყაროს ევროპულ საფინანსო ბაზრებზე აღებული სესხები წარმოადგენდა, რითიც, თავის მხრივ, ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა და სამშენებლო ბიზნესის დაკრედიტება ხდებოდა. მაგრამ, რადგან საქართველო საყოფაცხოვრებო ტექნიკას არ აწარმოებს, გამოდიოდა, რომ ჩვენი კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტები ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას ამ ტექნიკის მწარმოებელ ქვეყნებში უწყობდა ხელს. მაშასადამე, საქართველოს საბანკო სექტორი მესამე ქვეყნების ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დაკრედიტებისთვის საზღვარგარეთიდან სასესხო საშუალებების მოზიდვის ფინანსური რგოლი აღმოჩნდა (Papava, 2010, p. 46).

ამრიგად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ფინანსური რესურსების შემოდინების ზრდამ ახალი მოთხოვნა გააჩინა, თუმცა წარმოების განვითარებას ხელი ვერ შეუწყო.

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მკვეთრად დაეცა. ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს

ომმაც განაპირობა. იმავდროულად, როგორც ამ ომში დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო თანამეგობრობამ ფინანსური დახმარების სახით საქართველოს 5,8 მილიარდი აშშ დოლარი შესთავაზა (Papava, 2008a), რამაც მას გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შედარებით იოლად გადაატანინა.

ეკონომიკის რეალური სექტორის არასაკმარისად განვითარების გამო უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. ის 13-15%-ის ფარგლებში მერყეობს (მაგალითად, Tokmazishvili, 2007, p. 49), თუმცა ადგილობრივი და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მოსახლეობის სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 70% თავს უმუშევრად მიიჩნევს (მაგალითად, Messenger, 2010). ეს პირველ ყოვლისა აიხსნება იმით, რომ სამუშაო ძალის 50-57% თვითდასაქმებულია (მაგალითად, Samson, 2008, p. 71; Tokmazishvili, 2007, p. 49) და მათი შრომით მოპოვებული შემოსავალი იმდენად დაბალია, რომ ადამიანები მსგავს სამუშოს დასაქმებად ვერ აღიქვამენ.

თვითდასაქმებული მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობის წილად მოდის. ამავე დროს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მთლიანი სამუშაო ძალის 54% მთლიანი შიგა პროდუქტის 8%-ზე ოდნავ მეტს ქმნის მხოლოდ. სოფლის მეურნეობის გასავითარებლად საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოსთვის მოცემული ვითარება ნაკლებწარმოების აგრარულ კრიზისზე მეტყველებს. თავის მხრივ, ეს გარემოება პასუხობს კითხვას, თუ რატომ მოდის სასურსათო კალათის 80% იმპორტულ საქონელზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა კიდევ იმ მიზეზითაც დაზარალდა, რომ 2006 წლიდან რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, ვითომ და დაბალი ხარისხის საბაბით, ქართული წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთში შეტანა აკრძალა (მაგალითად, Livny, Ott, Torosyan, 2009; Uzagalieva, 2007).

ტურიზმის განვითარების სტიმულირებამ საქართველოში სურსათზე მოთხოვნა გაზარდა, რაც აგრარული კრიზისის პირობებში მხოლოდ იმპორტის ზრდის ხარჯზე შეიძლება დაკ-

მაყოფილდეს. მსოფლიო ეკონომიკაში აგფლაციური პროცესების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აგფლაციის „იმპორტის" საფრთხეც ემუქრება.

გასაკვირი არაა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 40% ცხოვრობს, ხოლო თვითდასაქმებული მოსახლეობის 64%-ის შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება (Meskhia, 2008, p. 57).

ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებაში (მაგალითად, Beridze, 2009; Gogolashvili, 2011; Samson, 2006) საქართველო ფორმალურად – რეალურად გადადგმული ნაბიჯების გაუთვალისწინებლად – აქტიურ პროპაგანდას უწევდა ევროპულ ორიენტაციას (მაგალითად, Papava, Tokmazishvili, 2006). ამის ნათელი მაგალითია მთავრობის ქმედება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის საქმეში (მაგალითად, Papava, 2008b). ამასთან, პრეზიდენტ სააკაშვილის აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო სინგაპურის მოდელის მიხედვით უნდა განვითარებულიყო. საქართველოს ეკონომიკის ე. წ. „სინგაპურიზაციის" გზაზე დაყენებით, სააკაშვილის მთავრობა სულ უფრო და უფრო აშორებდა საქართველოს ევროკავშირს და, მთლიანობაში, ეკონომიკის მოწყობის ევროპულ მოდელს (მაგალითად, Исраелян, 2010, с. 41; Максоева, 2010).

## § IX.3. რას უნდა ველოდოთ 2020 წლისათვის?

2020 წლამდე ეკონომიკის განვითარების შესაძლო სცენარებიდან, ფორმალურად შესაძლებელია ზემოხსენებული მოხმარების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებაზე დაფუძნებული სცენარის გამოყოფა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით (ანუ „პოსტვარდისფერ" საქართველოში), ამ სცენარის განხორციე-

ლების ალბათობა ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა, ვინაიდან არჩევნებში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. საარჩევნო კამპანიისას კოალიცია „ქართული ოცნება“, აკრიტიკებდა რა სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, აქცენტს მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მხარდაჭერის პარალელურად, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებაზე აკეთებდა (მაგალითად, Jones, 2013, pp. 8-10). ბიძინა ივანიშვილი, ჩაუდგა რა სათავეში მის მიერვე ფორმირებულ მთავრობას, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას შეუდგა.

ახალი რეალიებიდან გამომდინარე, უფრო რეალისტურად ბრიუსელთან მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარების სცენარი წარმოდგა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის მიზნით (Kobzova, 2013). ამის იმედს ახალი ხელისუფლების მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა (მაგალითად, TI, 2013, pp. 9-10) და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის სისტემის იმპლემენტაციის თაობაზე გაკეთებული განცხადებები იძლეოდა.

ანტიმონოპოლიურმა რეგულირებამ კონკურენციის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ბიზნესში არაფორმალურ ჩარევაზე უართან ერთად, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ არაერთხელ გაცხადებულა მკაფიოდ (სივილ ჯორჯია, 2012), საქართველოს ეკონომიკის დემონოპოლიზაცია ბიზნესის განვითარებისთვის დიდი ბიძგის მიმცემი უნდა გახდეს.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა. ეს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევას ითვალისწინებს, რისი ამოქმედებაც არაუგვიანეს 2015 წლისა სავსებით რეალისტურია. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის პირობებს შექმნის, ვინაიდან სამუშაო ძალის შედარებითი სიიაფე (ევროკავშირთან შედარებით), ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული სისტემა და არც თუ მაღალი გადასახადე-

ბი (კვლავ ევროკავშირთან შედარებით), შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. რადგან, ამჟამად, ევროკავშირის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკას 2 000-ჯერ აღემატება (მაგალითად, Samson, 2008, p. 75), ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს ეკონომიკას ბაზრის მასშტაბის გასაფართოებლად თვისებრივად უკეთეს პირობებს შეუქმნის.

თუკი საქართველოში ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება დაიწყება, მაშინ, 2008 წელს თურქეთთან მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის[1] გათვალისწინებით (მაგალითად, Tsikhelashvili, Chkhutishvili, Shergelashvili, Geybullayeva, 2011), წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა თურქულ ბაზარსაც გაუჩნდება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოცემული სცენარი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და ევროკავშირსა და თურქეთში ექსპორტის ზრდას, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

გამომდინარე იქიდან, რომ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ზემოხსენებული ქარტიის ხელმოწერიდან ხუთი წლის თავზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესი ჯერაც არ დაწყებულა, იკვეთება, რომ შესაბამისი შეთანხმება საუკეთესო შემთხვევაში 2020 წლისთვის თუ იქნება მიღწეული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე ამ ჰიპოთეტური შეთანხმების ზეგავლენა 2020 წლისთვის პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება.

---

[1] სამწუხაროდ, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთანხმება აშკარა უპირატესობას ანიჭებს თურქულ კომპანიებს, და არც თუ სახარბიელოა ქართული კომპანიებისათვის, რის გამოც ამ შეთანხმების გადასინჯვა საქართველოს მთავრობისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს (Tsikhelashvili, Chkhutishvili, Shergelashvili, Geybullayeva, 2011).

ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა (Silaev, Sushentsov, 2012, p. 62), ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისაა (Papava, 2012a, pp. 65-66). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოსა და რუსეთის წევრობა სულაც არ წარმოადგენს საკმარის პირობას ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხების მოსაგვარებლად (Papava, 2011b, p. 60). ამ ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარების გათვალისწინება 2020 წლისთვის საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზში პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთთან სრულმასშტაბიანი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ, თავის მხრივ, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი და ჯერ კიდევ 1992 წლის აგვისტოში გაჩერებული რუსეთსა და სომხეთთან საქართველოს დამაკავშირებელი ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხი აქტუალური გახადა (მაგალითად, Ismailov, Papava, 2006, pp. 114-115). ამ საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ კი აჩვენა, რომ ეს პროექტი ეკონომიკურად გაუმართლებელია (Mirimanova, Amiryan, Bayramov, Baratelia, Zade, Hovsepyan, Rasulov, Charaia, 2013).

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევისა და მის ბაზაზე თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების რეალისტურ სცენარზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2013-2020 წლებში საქართველოში ეკონომიკის საშუალო ზრდა 5-10%-ს შეადგენს.[1] ამასთან, უფრო პესიმისტური – საშუალოდ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა – შესაძლოა გლობალური კრიზისული მოვლენებით, ხოლო უფრო ოპტიმისტური – საშუალოდ 10%-იანი ზრდა – მსოფლიო ეკონომიკის სტაბილური

[1] სამწუხაროდ, 2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი 3,2%-ის დონეზე დაფიქსირდა, რისი გადაფარვაც მომდევნო წლებში უნდა მოხდეს, თუ კი მთავრობის მიზანი იქნება, რომ წლიური ეკონომიკური ზრდის ტემპი იყოს 5%-ზე მეტი.

განვითარებით იყოს განპირობებული. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2020 წლისთვის 2011 წელთან შედარებით საუკეთესო შემთხვევაში 2,3-ზე მეტად გაიზრდება და მოსახლეობის ერთ სულზე 7 367 აშშ დოლარს შეადგენს (2011 წელს ეს მაჩვენებელი 3 203 აშშ დოლარს გაუტოლდა (WB, 2014)).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წლისთვის ეკონომიკური ვითარება საქართველოში თითქმის ისეთივე იქნება, როგორიც იყო იგი 2011 წელს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 7 158 აშშ დოლარს შეადგენს) და რუმინეთი (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 8 405 აშშ დოლარს შეადგენს), მაგრამ უარესი, ვიდრე ლატვიასა (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 12 726 აშშ დოლარია) და ლიტვაში (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 13 339 აშშ დოლარს შედაგენს) (WB, 2014).

ინვესტიციები უნდა ჩაიდოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, რომელთაც ზრდის დიდი პოტენციალი აქვთ (მაგალითად, Burkadze, 2007; Cordonnier, 2007, 2008).

საქართველოს ეკონომიკის შედარებითი უპირატესობების გამოსავლენად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მისი ძირითადი სექტორებია: ტრანსპორტირება, უწინარეს ყოვლისა – ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი (მაგალითად, Papaphilippou, 2008, p. 49; Samson, 2008, p. 76).

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდა სწორედ ამ სექტორების ხარჯზე მიიღწევა, სადაც საქართველო შედარებით უპირატესობას ფლობს.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითრება, ევროპული ტიპის ახალი შრომითი კანონმდებლობის მიღება (TI, 2013, p. 10), აგრეთვე სათანადო სოციალური პოლიტიკა – ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედებაა, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ყურადღება ანტიმონოპოლიური რეგულირების ევროპული მოდელის პირობებში წარმოების განვითარებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და შრომით ურთიერთობებზე უნდა გაამახვილოს.

იმავდროულად, აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში, აუცილებელია აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევაზე მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობების საწინააღმდეგო არ იყოს. ამისთვის ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის შესაბამისი კოორდინაციაა საჭირო, რასაკვირველია, ამ პროცესში თბილისის აქტიური ჩართვით.

საქართველოს ახალმა მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დასაშვებად მორიგი უარის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს.

ამ რეკომენდაციების რეალიზება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაფართოების სტიმულირებას შეუწყობს ხელს, რაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოდგენს.

**პაპავა ვ., 2013.** *„პოსტვარდისფერი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები.* ექსპერტის აზრი, №4. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert-Opinion-GEO-4.pdf.

**პაპავა ვ., თაფლაძე თ., 2013.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ. *ეკონომისტი*, №2.

**სივილ ჯორჯია, 2009.** აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. *Civil.Ge*, 9 იანვარი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=20340.

**სივილ ჯორჯია, 2012.** ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა. 7 ოქტომბერი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=26073.

**Anjaparidze Z., 2006.** Georgian Government Questioned about Secret Funds. *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, Vol. 3, Issue 71, April 12, http://www.jamestown.org/single/?no-cache=1&tx-ttnews%5Bswords%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx-ttnews%5Bany-of-the-words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx-ttnews%5Bpointer%5D=1&tx-ttnews%5Btt-news%5D=31572&tx-ttnews%5BbackPid%5D=7&cHash=864959a53b.

**Beridze T., 2009.** The National Economic Model and Globalization (the Case of Georgia). In *Georgia in Transition*, L. King, G. Khubua, eds. Frankfurt am Main, Peter Lang.

**Burkadze V., 2007.** Structural Adjustments of the Georgian Agricultural Sector. *Georgian Economic Trends*, July.

**CEU, 2008.** *Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions*. Brussels, Council of the European Union, http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms-Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf.

**Cordonnier C., 2007.** Georgian Industry: Situation and Prospects for Development. *Georgian Economic Trends*, January.

**Cordonnier C., 2008.** Financing Georgian Industry. *Georgian Economic Trends*, May.

**Cornell S. E., Starr S. F., eds., 2009.** *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*. Armonk, M. E. Sharpe.

**Gogolashvili K., 2011.** In Search of Georgia's Economic Model. *South Caucasus – 20 Years of Independence*. Tbilisi, Friedrich-Ebert-Stiftung, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf.

**Gujaraidze N., 2010.** *Aggressive Statet Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization"-2*. Tbilisi, Green Alternative, OSI, http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatization–report–GA–2010(1).pdf.

**Gujaraidze, N., Barbakadze M., Gujaraidze K., Mchedlishvili R., Kakhaberi R., 2007.** *Aggressive Statet Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization."* Tbilisi, Green Alternative, OSI, http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Eng4.pdf.

**Gurgenidze L., 2009.** Georgia's Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economies. *American Enterprise Institute for Public Policy Research, Development Policy Outlook*, No. 2, June, http://www.aei.org/outlook/foreign-and-defense-policy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty.

**Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D., 1994.** Georgia: From Planning to Hyperinflation. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 6, No. 2.

**HRIDC, 2008.** *The Big Eviction. Violations of Property Rights in Georgia*. Tbilisi, Human Rights Information and Documentation Center, http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf.

**IMF, 2008.** *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding*. September 9. Washigton, DC, The International Monetary Fund, http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf.

**Ismailov, E., Papava V., 2006.** *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm, CA&CC Press.

**Jobelius M., 2011.** Georgia's Authoritarian Liberalism. *South Caucasus – 20 Years of Independence*. Tbilisi, Friedrich-Ebert-Stiftung, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf.

**Jones S. F., 2013.** *Democracy in Georgia: Da Capo?* Cicero Foundation Great Debate Paper, No. 13/02, April, http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen-Jones-Georgia.pdf.

**Kakulia M., 2007.** Labour Migrants' Remittances to Georgia: Volume, Structure and Socio-Economic Effect. *Georgian Economic Trends*, October.

**Kakulia M., 2008.** Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In *Central Eurasia: National Currencies*, E.M. Ismailov, ed. Stockholm, CA&CC Press.

**Khaduri N., 2005.** Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.

**Khaduri N. 2010.** Economic System in Georgia. In *Moving Closer to Europe? Economic and Social Polities in Georgia, Armenia and Azerbaijan*. Tbilisi, Friedrich Ebert Stiftung, Centre for Economic Problem Research.

**Kobzova J., 2013.** *Georgia's Bumpy Transition: How the EU Can Help*. The European Council on Foreign Relations Policy Memo, April 4, http://ecfr.eu/page/-/ECFR75-georgia-MEMO-AW.pdf.

**Livny E., Ott M., Torosyan K., 2009.** Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy. *Georgia in Transition*, L. King, G. Khubua, eds. Frankfurt am Main, Peter Lang.

**Meskhia I., 2008.** Living Standards and Poverty in Georgia. *Georgian Economic Trends*, May.

**Messenger, 2010.** Unemployment the Major Problem in Georgia. *The Messenger*, May 10, http://www.messenger.com.ge/issues/2102-may-10-2010/2102-econ-one.html.

**Mirimanova N., Amiryan V., Bayramov G., Baratelia B., Zade L., Hovsepyan K., Rasulov F., Charaia V., 2013.** *Rehabilitation of the South Caucasus Railway*. London, International Alert, http://legacy.international-alert.org/sites/default/files/publications/Caucasus-RailwaysRehabilitationPt1-EN-2013.pdf.

**NSO, 2012.** External Trade. *National Statistics Office of Georgia*, http://geostat.ge/index.php?action=page&p-id=137&lang=eng.

**Papaphilippou A., 2008.** Risks for the Sustainability of Georgia's Economic Growth. *Georgian Economic Trends*, February.

**Papava V., 1995.** The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies*, Vol. 2, No. 2.

**Papava V., 1996.** The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion." *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.

**Papava V., 2003.** On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia. *Emerging Markets Finance & Trade*, Vol. 39, No. 5.

**Papava V., 2005.** Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4.

**Papava V., 2008a.** Post-War Georgia's Economic Challenges. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 10, No. 23, November 26, http://www.cacianalyst.org/?q=node/4991.

**Papava V., 2008b.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? *Georgian International Journal of Science and Technology*, Vol. 1, Is. 1.

**Papava V., 2009.** Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution. *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Is. 1.

**Papava V., 2010.** *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis.* Xenophon Paper, No. 9. Athens, ICBSS, http://icbss.org/media/113-original.pdf.

**Papava V., 2011a.** On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization*, Vol. 5, Is. 3-4.

**Papava V., 2011b.** The Evolution of Economic Relations Between Georgia and Russia in the Post-Soviet Period: Past Trends and Perspectives. In *Russia and Georgia: Searching the Way Out*, Tbilisi: GFSIS, http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA-AND-GEORGIA-SEARCHING-THE-WAY-OUT-English-Publication.pdf.

**Papava V., 2012a.** Economic Component of the Russian-Georgian Conflict. *The Caucasus & Globalization*, Vol. 6, No. 1.

**Papava V., 2012b.** US Elections: Hopes and Expectations from a "Post-Rosy" Georgia. *Open Democracy*, October 23, http://www.opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/us-elections-hopes-and-expectations-from-%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia.

**Papava V., 2013.** *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers.

**Papava V., Tokmazishvili M., 2006.** Becoming European. Georgia's Strategy for Joining the EU. *Problems of Post Communism*, Vol. 53, No. 1.

**Rimple P., 2012.** *Who Owned Georgia*. Tbilisi, Transparency International Georgia, Open Society Georgia Foundation, http://transparency.ge/sites/default/files/post-attachments/Who%20Owned%20Georgia%20Eng.pdf.

**Samson I., 2006.** The Search for a Development Path: Challenges for Georgia. *Georgian Economic Trends*, No. 4, March.

**Samson I., 2008.** "Medium-Term Prospects for the Georgian Economy." *Georgian Economic Trends*, February.

**Shmidt M., 2007.** Foreign Direct Investment to Georgia: Can Active Investment Promotion Policies Make a Difference? *Georgian Economic Trends*, January.

**Silaev N., Sushentsov A., 2012.** *Georgia after the 2012 Elections and Prospects for Russo-Georgian Relations*. Moscow, Moscow State Institute (University) of International Relations, The Russian Ministry of Foreign Affairs, http://www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov-MGIMO-Georgia-Report-Eng.pdf.

**TI, 2012.** *Competition Policy in Georgia*. Tbilisi, Transparency International Georgia, <http://transparency.ge/sites/default/files/post-attachments/Report%20-%20Competition%20Policy%20in%20Georgia%20--%20for%20website%20(final).pdf>.

**TI, 2013.** *100 Days in Power: Rule of Law and Human Rights Conference*. Tbilisi, Transparency International Georgia, February 18, http://transparency.ge/en/node/2791.

**Tokmazishvili M., 2007.** Socio-Economic and Institutional Aspects of Labour Market. *Georgian Economic Trends*, July.

**Tsikhelashvili K., Chkhutishvili I., Shergelashvili T., Geybullayeva A., 2011.** *Georgian-Turkish Free Trade Agreement 2008: Implications Two Years After*. Tbilisi, The European Initiative Liberal Academy Tbilisi, http://iliablog2011.files.wordpress.com/2011/03/attachment.pdf.

**Udensiva-Brenner M., 2010.** Kakha Bendukidze Analyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Econo-

mic Crisis. *At the Harriman Institute*, April 7, http://www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf.

**Uzagalieva A., 2007.** Economic Sanctions and Exports in Georgia. *Georgian Economic Trends*, April.

**Waal T., De, 2011.** *Georgia's Choices. Charting a Future in Uncertain Times.* Washington, DC, Carnegie Endowment for International Peace, http://www.carnegieendowment.org/files/georgias-choices.pdf.

**Wang J.-Y., 1998.** From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia. *Caucasica.The Journal of Caucasian Studies*, Vol. 1.

**Wellisz S., 1996.** *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses, Working Papers, No. 87. Warsaw, CASE.

**WB, 2012.** *Fighting Corruption in Public Services. Chronicling Georgia's Reforms.* Washington, DC, The World Bank.

**WB, 2014.** GDP Per Capita (Current US§). *The World Bank*, http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD.

**Исраелян Я., 2010.** Экономика Южного Кавказа: сближение с Европой? *Кавказский акцент*, №11.

**Максоева В., 2010.** Не Сингапур, а Кипр! *Кавказский акцент*, №10.

თავი X

# დასკვნის მაგიერ, ანუ პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ

## § X. 1. „პოსტვარდისფერი“ პერიოდის სირთულეები

ერთიანი ხედვა იმ საკითხის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო საქართველოს ეკონომიკა, რა მოდელს უნდა დაფუძნებოდა ის ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღემდე არის დისკუსიის საგანი (პაპავა, 2013ბ). ერთგვარი იმედის მომცემი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი, როცა გააქტიურდა კიდეც ამ პრობლემის კვლევა და შესაბამისად გაჩნდა არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია (დე ვაალი, 2011; სამსონი, 2006; Beridze, 2009; Gegeshidze, Papava, 2009; Gogolashvili, 2011).

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ კვლავ აქტუალური გახადა საქართველოში არჩევანის პრობლემა, რადგანაც დღის წესრიგში ისევ დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ განვითარების რომელი ვექტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ. ამ თემაზე უკვე გამოითქვა კიდეც არა ერთი საყურადღებო მოსაზრება (გეგეშიძე, 2013; თარხან-მოურავი, 2013; ხაინდრავა, 2013).

„ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის შემდგომ პერიოდს, როგორც ზემოთ უკვე გაესვა ხაზი, „პოსტვარდისფერს“ ვუწოდებთ (პაპავა, 2013ა), რაც იმით აიხსნება,

რომ მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელიც დესპოტიზმის ელემენტებით იყო გაძლიერებული, სააკაშვილის რეჟიმი ნეობოლშევიკურად, ხოლო მისი მთავრობა „ვარდისფრად“ ორი მიზიეზის გამო აქცია: ჯერ ერთი, „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა ის ხელისუფლებაში, მეორე კი, გახუნებულ ბოლშევიკურ „წითელს“ გვახსენებდა (Papava, 2012).

არჩევანის პრობლემის გარშემო დისკუსიის გამწვავებას ხელს უწყობს მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების კრიტიკა „ქართული ოცნების“ მთავრობისადმი; მათ თითქოსდა უღალატეს დემოკრატიულ ფასეულობებს, ქვეყნის დასავლურ კურსს და გეზი რუსეთისაკენ აიღეს (მაგალითად, სივილ ჯორჯია, 2012ა, 2012ე, 2012ვ, 2012ზ, 2012თ, 2013ზ).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარ კრიტიკას უწყობდა ხელს თავად პრემიერ-მინისტრის რანგში მყოფი ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებებიც, რომელთაც აშკარად დაჰკრავდა მისი პოლიტიკური გამოუცდელობის ელფერი. ეს განცხადებები ბიძინა ივანიშვილმა შემდეგ არაერთხელ უარყო. ასე, მაგალითად, მან ჯერ ეჭვი შეიტანა ბაქო-ყარსის რკინიგზის მშენებლობის მიზანშეწონილობაში (სივილ ჯორჯია, 2012ბ), ხოლო უმოკლეს დროში თავადვე უკუაგდო ეს ეჭვები (სივილ ჯორჯია, 2012გ, 2012დ).

ცალკე უნდა აღინიშნოს მთავრობის აშკარად მოუმზადებელი ინიციატივა ტრანსკავკასიური რკინიგზის (რომელიც რუსეთს საქართველოსთან, ხოლო შემდგომ სომხეთთან აკავშირებს, და რომელმაც 1992 წელს აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების შედეგად შეწყვიტა ფუნქციონირება) გახსნის შესახებ (სივილ ჯორჯია, 2013ა), რომელიც პრორუსული ორიენტაციის ბრალდებით მწვავედ გააკრიტიკა მიხეილ სააკაშვილმა (სივილ ჯორჯია, 2013ვ); მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა ნაწილობრივ შეარბილა თავისი პოზიცია (სივილ ჯორჯია, 2013ბ). საყურადღებოა, რომ სპეციალურად ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო ტრანსკავკასიური რკინიგზის ამოქმედების ეკონომიკური მიზანშეუწონლობა (Mirimanova, Amiryan, Bayramov, Baratelia, Zade, Hovsepyan, Rasulov, Charaia, 2013; Papava, Charaia, 2014).

ყველაზე დამაფიქრებელი იყო პრემიერ-მინისტრის სომხეთში ვიზიტისას გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც „სომხეთი საქართველოსთვის კარგი მაგალითია ერთდროულად ნორმალური ურთიერთობები იქონიოს ნატოსთან და რუსეთთან“, რასაც ნაციონალების მხრიდან მძაფრი კრიტიკა მოჰყვა (სივილ ჯორჯია, 2013გ). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, რომლის უმრავლესობასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ქმნის, მიიღო რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელშიც კიდევ ერთხელ არის დადასტურებული საქართველოს პროდასავლური განვითარების კურსი (სივილ ჯორჯია, 2013ე), „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს დაამკვიდროს აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ის არის საქართველოში ევროპული ფასეულობების მატარებელი ერთადერთი პროდასავლური ძალა (სივილ ჯორჯია, 2013დ). სიტუაცია, პრაქტიკულად, არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც საქართველომ ბრიუსელის მიერ წამოყენებული პირობების შესრულების შემდეგ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას (სივილ ჯორჯია, 2014).

## § X.2. ეკონომიკური განვითარების ევროპული გზა

პოსტკომუნისტურ სივრცეში არაერთი წარმატებული ქვეყანაა, რომლებმაც შეძლეს ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ევროკავშირშიც გაწევრიანება. არიან ნაკლებწარმატებული თუ საერთოდ წარუმატებელი ქვეყნებიც, სადაც ამგვარ საბაზრო ეკონომიკაზე საუბარიც კი ზედმეტია (Papava, 2006). რაც შეეხება მათ ევროკავშირში გაწევრიანებას, ეს ან საერთოდ არ აქვთ მიზნად დასახული, ან, უკეთეს შემთხვევაში, შედარებით შორეულ პერსპექტივაში შეიძლება მოიაზრონ.

აშკარაა, რომ საქართველო ჯერჯერობით არ არის მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რეალურად საით მივდივართ, იმისდა მიუხედავად, რომ ოფიციალურ განცხადებებში აქცენტი სწორედ ევროატლანტიკურ სტრუქტურებზეა გაკეთებული, აქტუალურობას სულაც არ არის მოკლებული. ამ მრავალწახნაგოვანი კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორიენტირია, რადგანაც თუკი გვინდა საქართველო ოდესმე ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაცია (Papava, Tokmazishvili, 2006).

ევროკავშირის ეკონომიკურ მოდელზე მსჯელობა არც ისე ადვილია, რადგანაც ის თავად არის ფორმირების პროცესში. ცნობილი ფრანგი ეკონომისტის, მიშელ ალბერის თანახმად, ევროკავშირში ერთმანეთს „უპირისპირდება" კაპიტალიზმის ორი – ანგლოამერიკული და რეინის (ანუ გერმანულ-იაპონური) – მოდელი (Albert, 1991).

ეკონომიკის ანგლოამერიკულ მოდელში აქციონერული საკუთრების ხელიდან ხელში გადასვლა სწრაფად და დაბრკოლებების გარეშე ხდება, ბირჟა გადამწყვეტ როლს ასრულებს კომპანიათა დაფინანსებაში, აქციათა 40-60 პროცენტს ინსტიტუციური ინვესტორები (კერძოდ, სადაზღვევო და საპენსიო ფონდები) ფლობენ. ამასთან, სახელმწიფო სექტორი შედარებით მცირე მასშტაბისაა, ხოლო სოციალური პოლიტიკა კი სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხის მიმართ ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა, რომლის თანახმადაც, უთანასწორობა კონკურენციის ხელშემწყობ სტიმულად აღიქმება, ხოლო სიღარიბე არა იმდენად სახელმწიფოს, რამდენადაც მორალისა და მოწყალების პრობლემაა და კერძო ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება.

რეინის მოდელში აქციონერ მესაკუთრეთა შემადგენლობა სტაბილურობით გამოირჩევა, აქციონერულ საწარმოთა დაფინანსებაში განსაკუთრებული როლი საბანკო სექტორს ეკუთვნის, ხოლო საფინანსო ბაზრები შედარებით შეზღუდული და ნაკლებ-

აქტიური არიან. ამასთან, სახელმწიფო რეგულირების სფერო რეინის მოდელში საკმაოდ ფართოა, სახელმწიფოს როლი მთლიანი შიგა პროდუქტის გადანაწილებაში, კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველყოფასა და სოციალურ ამოცანათა გადაჭრაში ძალზე დიდია.

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში ანგლოამერიკული მოდელის რეინის მოდელზე ზეწოლის პირობებში ხდება მათი თანდათანობითი შერწყმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებს არ გააჩნიათ ერთიანი ეკონომიკური მოდელი და რომ უფრო კორექტულია ვილაპარაკოთ საერთო ეკონომიკურ მოდელზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სრულ უნიფიკაციას (Albert, 1991). ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები სწორედ უნიფიკაციის მნიშვნელობის გაფართოებაზეა ორიენტირებული, რისი თვალსაჩინო მაგალითია საერთო ბაზრიდან ერთიან ბაზარზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფორმირების საფუძველი გახდა.

ევროკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია „მიღწეულის შენარჩუნება“, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნისათვის: ევროკავშირში ერთიანი მოდელის ფორმირების გზაზე, ყოველივე, რა დონეზეც არის უნიფიცირებული, კანდიდატი ქვეყნისათვის უპირობოდაა შესასრულებელი.

ფორმალური ნიშნით თანამედროვე საქართველოსთვისაც არის დამახასიათებელი ხსენებული ორივე მოდელის ელემენტების თანაარსებობა და დაპირისპირება. კერძოდ, საწარმოთა დაფინანსებასა და მათ მესაკუთრეთა ფორმირებაში აშკარად რეინის მოდელს ენიჭება უპირატესობა, რაც საფინანსო ბაზრების შეზღუდულობასა და არააქტიურობაში გამოიხატება და რაც სახელმწიფოს მიერ გატარებული ოფიციალური კურსის შედეგია (Papava, 2008). ამასთან, სახელმწიფო რეგულირების სფერო საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია, რაც ქმნის იმის ილუზიას

თითქოს ეს ანგლოამერიკული მოდელის სქემაში ჯდებოდეს. ყველაზე მკაფიოდ ეს სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხის მიმართ „ვარდისფერი“ მთავრობის მიერ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკაში იკვეთება, რაც გარკვეული გულგრილობით (რასაც, ყოვლად გაუმართლებლად, ჩვენში რატომღაც ლიბერალიზმს უწოდებდნენ) გამოირჩეოდა (მესხია, 2008; პაპავა ვ., 2009), როცა უთანასწორობა რეალურად არც არანაირად ყოფილა ხელისუფლების საზრუნავი, ხოლო სიღარიბის დაძლევა კი უმთავრესად იძულებითი (სახელმწიფოს მხრიდან) კერძო ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნებოდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზების მზადყოფნა გამოხატა (EU, 2008), თუმცა წინასწარ რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ – სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, „ვარდისფერმა“ მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით (IMF, 2008), ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

როგორც ცნობილია, ევროინტეგრაციის პირველი ეტაპი სწორედ ეკონომიკურ ინტეგრაციას ეფუძნება. სამწუხაროდ, „ვარდისფერმა“ მთავრობამ ბრიუსელის ამ მიმართულებით განხორციელებულ შემოთავაზებას ფაქტობრივად ზურგი შეაქცია.

ამ პირობების შესრულება და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიღწევა, მხოლოდ „პოსტვარდისფერ“ საქართველოში გახდა შესაძლებელი.

**გეგეშიძე ა., 2013.** *საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გამოწვევები საშუალოვადიან პერსპექტივაში.* ექსპერტის აზრი №5, თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert-Opinion-GEO-5.pdf.

**დე ვაალი თ., 2011.** *საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში.* ვაშინგტონი, Carnegie Endowment for International Peace, http://carnegieendowment.org/files/georgias-choices--georgian.pdf.

**თარხან-მოურავი გ., 2013.** ეროვნული მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში: მომდევნო რვა წელი. წიგნში: *საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება.* თბილისი, „საერთაშორისო განგაში".

**მესხია ი., 2008.** ცხოვრების დონე და სიღარიბე საქართველოში. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები,* მაისი.

**პაპავა ვ., 2009.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები,* ტომი 7, რ. ასათიანის და ლ. ჩიქავას რედაქციით. თბილისი: სიახლე.

**პაპავა ვ., 2013ა.** *„პოსტვარდისფერი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები.* ექსპერტის აზრი №4. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert-Opinion-GEO-4.pdf.

**პაპავა ვ., 2013ბ.** *პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ.* ექსპერტის აზრი №7. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და სერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava-Vector-of-Economic-Development-of-Post-Communist-Georgia-GEO.pdf.

**სამსონია ი., 2006.** განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები,* №4, მარტი.

**საქართველოს მთავრობა, 2014.** *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020.* თბილისი, საქართველოს მთავრობა, http://www.government.gov.ge/files/382-42949-233871-400-1.pdf.

**სივილ ჯორჯია, 2012ა.** ბოკერია ივანიშვილს აკრიტიკებს, *Civil.Ge*, 23 ნოემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26243.

**სივილ ჯორჯია, 2012ბ.** ივანიშვილი აცხადებს, რომ ბაქო-ყარსის რკინიგზის მშენებლობა „კითხვებს ბადებს". *Civil.Ge*, 21 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26367.

**სივილ ჯორჯია, 2012გ.** ივანიშვილი: „ბაქო-ყარსის რკინიგზის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება". *Civil.Ge*, 24 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26376.

**სივილ ჯორჯია, 2012დ.** ივანიშვილი მიესალმა ბაქოსთან „მეგობრულ" მოლაპარაკებებს. *Civil.Ge*, 27 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26390.

**სივილ ჯორჯია, 2012ე.** სააკაშვილი ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს შეფერხებაზე საუბრობს. *Civil.Ge*, 6 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26303.

**სივილ ჯორჯია, 2012ვ.** სააკაშვილი ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს შეფერხებაზე საუბრობს. *Civil.Ge*, 6 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26303.

**სივილ ჯორჯია, 2012ზ.** სააკაშვილი: „ჩვენ დავაბრუნებთ ქვეყანას განვითარების, ალმშენებლობის და ხალხის საკეთილდღეო რელსებზე". *Civil.Ge*, 20 დეკემბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=26353.

**სივილ ჯორჯია, 2012თ.** სააკაშვილი ივანიშვილის მიერ PACE-ში გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას აკრიტიკებს. *Civil.Ge*, 24 აპრილი, http://civil.ge/geo/article.php?id=26806.

**სივილ ჯორჯია, 2013ა.** ივანიშვილი: სომხეთთან ურთიერთობებში პრობლემები არ არსებობს. *Civil.Ge*, 17 იანვარი, http://civil.ge/geo/article.php?id=26448.

**სივილ ჯორჯია, 2013ბ.** ივანიშვილი: „ჩვენ ძალიან ფრთხილად ვეკიდებით აფხაზეთის რკინიგზის საკითხს". *Civil.Ge*, 14 მარტი, http://civil.ge/geo/article.php?id=26659.

**სივილ ჯორჯია, 2013გ.** ნაციონალური მოძრაობა აკრიტიკებს ივანიშვილის განცხადებას ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობებზე. *Civil.Ge*, 18 იანვარი, http://civil.ge/geo/article.php?id=26455.

**სივილ ჯორჯია, 2013დ.** ნაციონალურმა მოძრაობამ აქციისას „განახლებაზე" გააკეთა აქცენტი. *Civil.Ge*, 20 აპრილი, http://civil.ge/geo/article.php?id=26791.

**სივილ ჯორჯია, 2013ე.** ორმხრივი თანხმობით საგარეო პოლიტიკაზე მიღებული რეზოლუცია. *Civil.Ge*, 7 მარტი, http://civil.ge/geo/article.php?id=26644.

**სივილ ჯორჯია, 2013ვ.** სააკაშვილი აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის წინააღმდეგია. *Civil.Ge*, 17 იანვარი, http://civil.ge/geo/article.php?id=26450.

**სივილ ჯორჯია, 2013ზ.** სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის „საშიშ" განცხადებას აკრიტიკებს. *Civil.Ge*, 27 აპრილი, http://civil.ge/geo/article.php?id=26821.

**სივილ ჯორჯია, 2014.** საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების შეთანხმებას მოაწერეს ხელი. *Civil.Ge*, 27 ივნისი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=28403.

**ხაინდრავა ი., 2013.** ქვეყნის მართვა და მოდერნიზაცია: გამოცდილება და გამოწვევები. წიგნში: *საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება*. თბილისი, „საერთაშორისო განგაში".

**Albert M., 1991.** *Capitalisme contre capitalisme*. Paris, Editions du Seuil.

**Beridze T., 2009.** The National Economic Model and Globalization (the Case of Georgia). In *Georgia in Transition*, L. King, G. Khubua, eds. Frankfurt am Main, Peter Lang.

**EU, 2008.** *Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions*. Brussels, Council of the European Union, http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms-Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf.

**Gegeshidze A., Papava V., 2009.** Post-War Georgia Pondering New Models of Development. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 11, No. 1, http://www.cacianalyst.org/?q=node/5012.

**Gogolashvili K., 2011.** In Search of Georgia's Economic Model. In *South Caucasus – 20 Years of Independence*. Tbilisi, Friedrich-Ebert-Stiftung, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf.

**IMF, 2008.** *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding*. September 9. Washigton, DC, The International Monetary Fund, http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf.

**Mirimanova N., Amiryan V., Bayramov G., Baratelia B., Zade L., Hovsepyan K., Rasulov F., Charaia V., 2013.** *Rehabilitation of the South Caucasus Railway*. London, International Alert, http://legacy.international-alert.org/sites/default/files/publications/Caucasus–RailwaysRehabilitationPt1–EN–2013.pdf.

**Papava V., 2006.** Economic Transition to European or Post-Communist Capitalism? *European Association for Comparative Economic Studies (EACES) Working Papers*, No. 1, March, http://www.eaces.net/news/WP-1-06.pdf.

**Papava V., 2008.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? *Georgian International Journal of Science and Technology*, Vol. 1, Is. 1.

**Papava V., 2012.** US Elections: Hopes and Expectations from a "Post-Rosy" Georgia. *Open Democracy*, October 23, http://www.opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/us-elections-hopes-and-expectations-from-%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia.

**Papava V., Charaia V., 2014.** Regional Railways in the Central Caucasus and Georgia's Economic Interests. *The Caucasus & Globalization*, Vol. 8, Is. 1-2.

**Papava V., Tokmazishvili M., 2006.** Becoming European. Georgia's Strategy for Joining the EU. *Problems of PostCommunism*, Vol. 53, No. 1.

დანართი 1

## ნეკროეკონომიკის არსი

მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება ცხად-ყოფს, რომ მკვდარი ფირმები აგრძელებენ ფუნქციონირებას. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ მბრძანებლური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებაში, რომელიც მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხთან იყო დაკავშირებული.

მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფამ მისი ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გაანადგურა, რის შედეგადაც, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციების ხარჯზე იყო ხელოვნურად შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების ძირითადი წყარო იყო ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები და უცხოური ვალუტის მიღების პრაქტიკულად ერთადერთ სტაბილურ არხს ნედლეულის (უწინარესად ნავთობის) ექსპორტი წარმოადგენდა.

მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევამ მსოფლიო ბაზრის წინაშე „გააშიშვლა“ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (კერძოდ, ჰიდროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის მოპოვების, და ნედლეულის პირველადი გადამუშავების ზოგიერთი ობიექტი) ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, მისი დაბალი ხარისხის ან (და) სიძვირის გამო საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ამ პროდუქციისათვის ბაზარი არ არსებობს და ფაქტობრივად ვერც იარსებებს. ასეთი ტიპის ეკონომიკას ეწოდება *„მკვდარი“*, ანუ *ნეკროეკონომიკა* (პაპავა, 2000; Папава, 2001),

ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ნეკროეკონომიკის თეორია, ნეკროეკონომიკსი* (Papava, 2002, 2005).

აღსანიშნავია, რომ „ნეკროეკონომიკის" ცნებასთან ყველაზე მიახლოებული „ვირტუალური ეკონომიკის" ცნებაა (Gaddy, Ickes, 2002).

ბუნებრივია, რომ, როცა ეკონომიკის რომელიმე ნაწილი მკვდარია, მისი დანარჩენი ნაწილი სიცოცხლისუნარიანი იქნება, რომელსაც პირობითად დავარქვათ *ვიტალური ეკონომიკა*, ანუ *ვიტაეკონომიკა*, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ვიტაეკონომიკის თეორია, ვიტაეკონომიკსი*, რაც თავისი შინაარსით სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიკის თეორია, ეკონომიკსი, საყოველთაოდ გავრცელებული გაგებით, ვინაიდან ეკონომიკის თეორია, როგორც ასეთი, სწავლობს ეკონომიკას, როგორც სიცოცხლისუნარიან სისტემას.

პირველი კითხვა, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს: რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება ნეკროეკონომიკა ვიტაეკონომიკისგან?

ნეკროეკონომიკაში ისევე, როგორც ვიტაეკონომიკაში შეიძლება პროდუქტის წარმოება ანუ პრაქტიკულად შეიძლება არსებობდეს *მიწოდება*, მაგრამ ვიტაეკონომიკაში წარმოებული პროდუქტისაგან განსხვავებით ნეკროეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე, მისი დაბალი ხარისხის ან (და) სიძვირის გამო არავითარი *მოთხოვნა* არ არსებობს. შესაბამისად, *ნეკროეკონომიკა გამორიცხავს ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერ რაციონალურ აქტს*, არსებითად გამორიცხულია წონასწორული ფასის არსებობაც.

თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი მკვდარია, მაშინ, წმინდა თეორიულად, პრობლემაც არ უნდა არსებობდეს: სალი აზრის თანახმად, ნეკროეკონომიკა არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს მის ცოცხალ ნაწილზე. ეკონომიკის თეორიის თანახმად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც უნდა ხდებოდეს: არაკონკურენტუნარიანი წარმოება, როგორც წესი, ისე „ქრება", რომ ფაქტობრივად არავითარ საგრძნობ პრობლემას არ უქმნის ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს. სწორედ ამით შეიძლება აიხს-

ნას ეკონომიკის თეორიის კვლევების არეალის შემოფარგვლა იმ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით, რომელშიც ნეკროფირმების არსებობა უარყოფილია. სინამდვილეში ყველაფერი ბევრად რთულადაა.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, ასევე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში *ნეკროეკონომიკა ჩამოყალიბდა მბრძანებლური ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე.*

პოსტკომუნისტური ეკონომიკა შედგება ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის შემდეგი ჯგუფებისგან:

1. ნეკროეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
2. ვიტაეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი კერძო ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, შედის გადამამუშავებელი მრეწველობის მსხვილი და საშუალო ობიექტები, რომლებიც, იქ წარმოებული პროდუქციის სახეობათა დანიშნულებიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც სტრატეგიული, თუმცა არაკონკურენტუნარიანობის გამო ეს საწარმოები ბაზრის პირობებში მკვდარია.

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველია უპირატესად ენერგეტიკა (უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერგიის წარმოება და გადაცემა, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდება), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურება. მათი პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი გადადის მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში. ამ ჯგუფმა შეიძლება მოიცვას აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი საშუალო და უპირატესად მცირე ობიექტები (მათ პრივატიზაციამდე).

მესამე ჯგუფში შედის პირველი ჯგუფის საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ. საკუთრების ფორმის შეცვლა თავისთავად სულაც არ ნიშნავს უმოქმედო საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას, ვინაიდან „მიცვალებულის“ მდგომარეობა არ

იცვლება იმის მიხედვით, თუ ის ვისია – სახელმწიფოსი თუ კერძო ფირმის. *სწორედ ამ ფაქტის იგნორირება წარმოადგენს პრივატიზაციის პროცესის შედარებითი დისკრედიტაციის ძირითად მიზეზს*, როცა მას, განსაკუთრებით მის საწყის სტადიაში ინვესტირების პროცესისგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად ენიჭებოდა უმოქმედო საწარმოების ამოქმედების ფუნქცია იმის მიუხედავად, ცოცხალი იყო თუ მკვდარი ყოველი კონკრეტული საწარმო სინამდვილეში.

ბოლო, მეხუთე ჯგუფი მოიცავს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ყველაზე „ჯანსაღ" ნაწილს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე ახლადაა შექმნილი კერძო ინვესტიციების ხარჯზე.

## ლიტერატურა

**პაპავა ვ., 2000.** ნეკროეკონომიკა. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 10.

**Gaddy C., Ickes B., 2002.** *A Russia's Virtual Economy*. Washington, DC, Brookings Institution Press.

**Papava V., 2002.** Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9/10.

**Papava V., 2005.** *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

**Папава В., 2001.** Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. *Общество и экономика*, № 5.

დანართი 2

# ეკონომიკის ზომბირების არსი

XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისით (მაგალითად, იაკობიძე, 2009; მექვაბიშვილი, 2009, გვ. 46-80; Krugman, 2008; Григорьев, Салихов, 2008) წარმოქმნილ უამრავ პრობლემას შორის დღის წესრიგში დადგა მსოფლიო მასშტაბით (Stepek, 2008; Willie, 2009) ეკონომიკაზე ზომბი-ფირმების შეტევის თემა, რის გამოც გაჩნდა პუბლიკაციები ე. წ. ეკონომიკური მეცნიერების „ახალი" სფეროს – „ზომბი-ნომიკსის" ("zombie-nomics") (LeLaulu, 2009) შესახებ.

ზომბი-ეკონომიკის არსის გასარკვევად აუცილებელია მისი წარმოქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიული გამოცდილების გაანალიზება.

ზომბი-ეკონომიკის ფენომენი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება იაპონიას, სადაც XX საუკუნის 90-იან წლებში „ჩაისახა" (მაგალითად, Hoshi, 2006). ზომბი-ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს არაგადახდისუნარიანი, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, რომლებიც ამავდროულად განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ „ზომბებს" უწოდებენ.

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა (Caballero, Hoshi, Kashyap, 2006; Smith, 2003). კერძოდ, ასეთი ფირმების დაკრედიტებას ახდენენ ე. წ. ზომბი-ბანკები, რომლებიც ამ ფირმებს შეღავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს (კერძოდ, კრედიტებს აძლევენ საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით) (Hoshi, Kashyap, 2005; Smith, 2003). ასეთი წინასწარვე გაუმართლებელი კრედიტები

ამ ბანკების აშკარა დანაკარგებს იწვევს (Ahearne, Shinada, 2005, p. 368).

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების მოცემულ სქემაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებენ ზომბი-ბანკები არსებობის გაგრძელებას. ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, დგას მთავრობა (Kane, 2000b, p. 301), რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს, ახორციელებს დეპოზიტების დაკრედიტებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბი-ბანკები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე არსებობენ (Kane, 2000a, p. 164). ამგვარი ფინანსური სტრუქტურა ერთგვარად სტიმულს აძლევს „ჯანსაღი" ფირმების ზომბებად გადაქცევას (Hoshi T., 2006, p. 40).

სწორედ ზომბი-ფირმების, ზომბი-ბანკებისა და მთავრობის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ზომბი-ეკონომიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს. კერძოდ, ზომბი-ბანკების მხრიდან შეღავათიანი დაკრედიტების სისტემით უზრუნველყოფილი ზომბი-ფირმების არსებობა ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობას (Hoshi T., 2006, p. 33), რომლებსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით უწევთ კრედიტების აღება (Caballero, Kashyap, 2002). ამასთან შეღავათიანი დაკრედიტების გამო ზომბი-ფირმებს კონკურენციულ ბრძოლაში უფრო ადვილად შეუძლიათ ფასების შემცირება (Smith, 2003, p. 288) და იქ მომუშავე ადამიანებისათვის ხელფასის გაზრდა (Hoshi T., 2006, p. 33). ხოლო ბაზარზე ჯანსაღი ფირმების, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფირმების დაშვების დაბრკოლება საბოლოო ანგარიშით მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებს (Ahearne, Shinada, 2005, p. 364).

ზომბი-ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს (Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, Kashyap, 2004). როგორც ცნობილია სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრაობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში მთავრობისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ ეკონომიკის

ამგვარი მდგომარეობიდან გამოყვანას, და იგი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სახელმწიფოს მხრიდან ის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რომლითაც სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბი-ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო გამოცდილების თანახმად ზომბი-ეკონომიკის ფენომენი დამახასიათებელია არა მხოლოდ იაპონიისათვის, ან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისათვის (Holle, 2005), არამედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც (Kane, 2000a).

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბი-ეკონომიკა ეს ისეთი ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინია, როგორიცაა მკვდარი ეკონომიკის არსებობა, რომელიც ფუნქციონირებას განაგრძობს მისი ასეთი მდგომარეობის მიუხედავად.

სინამდვილეში ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის მსგავსება სწორედ იმით შემოიფარგლება, რომ ორივე ახასიათებს მკვდარი ეკონომიკის არსებობას და სხვა არაფერი (Papava, 2009). არადა, მათ შორის განსხვავება ბევრად უფრო არსებითია.

ჯერ ერთი, ისინი ჩაისახა თვისებრივად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებში: ნეკროეკონომიკა – მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში, ხოლო ზომბი-ეკონომიკა – საბაზრო ეკონომიკის წიაღში. ამასთან ნეკროეკონომიკა ფაქტობრივად არ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან, მაშინ, როცა ზომბი-ეკონომიკა მისი უშუალო პროდუქტია.

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზომბი-ფირმების არსებობაში, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ზომბი-ბანკებს, მაშინ, როცა ნეკროეკონომიკის

სუბიექტები ფუნქციონირებას ცდილობდნენ დოტაციების მიღების ან გადასახადებისგან გათავისუფლების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერის მექანიზმების ხარჯზე.

ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის განსხვავებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, თუ ყველაზე ხშირად ეკონომიკის რომელ დარგებში გვხვდება ისინი. მაგალითად, ნეკროეკონომიკა უმთავრესად გადამამუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო ობიექტებს მოიცავს, მაშინ, როცა ზომბი-ფირმები, როგორც იაპონური ეკონომიკის ანალიზი ცხადყოფს (Hoshi, 2006), ფაქტობრივად გადამამუშავებელ მრეწველობაში არ არსებობს. ამასთან, რაც უფრო მსხვილია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმო, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ასეთი საწარმო ნეკროეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, მაშინ, როცა იმავე იაპონურ ეკონომიკაში მსხვილი საწარმოები არ არიან ზომბი-ფირმები, რადგან დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ; ზომბი-ფირმები ყველაზე ხშირად იმ მცირე საწარმოების ჯგუფში გვხვდება, რომლებიც შედარებით მსხვილი საწარმოებია (Hoshi, 2006).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი დაბეჯითებით ითხოვენ, რომ შეწყდეს ყოველგვარი დოტაციები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გამოირიცხოს რაიმე საგადასახადო შეღავათები, ფინანსური კრიზისების პირობებში მუშაობას იწყებს ლობირების სისტემა, რათა ამ ინსტიტუტებმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ ეროვნულ მთავრობებს შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის შესანარჩუნებლად რესურსების გამოყოფის მიზნით (Kane, 2000a, p. 163, 2000b, p. 288).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბი-ეკონომიკა ორი მონათესავე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავებული ფენომენია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ძმები არიან, მაგრამ არა – ღვიძლი“.

სამწუხაროდ, ნეკროეკონომიკასა და ზომბი-ეკონომიკას შორის ჩამოთვლილი განსხვავებების გათვალისწინება ყოველთვის

როდი ხდება, და ზოგიერთ გამოკვლევაში ნეკროეკონომიკის თავისებურებათა უგულებელყოფით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (უფრო ხშირად ჩინეთისა და რუსეთის მაგალითზე) მკვდარი ფირმების პრობლემების შესწავლა წარმოებს არა ნეკროეკონომიკის, არამედ ზომბი-ეკონომიკის კონტექსტით (მაგალითად, Lindsey, 2002, pp. 126, 153; Kane, 2000b, pp. 300-301; Shleifer, Treisman, 2000, pp. 106-107).

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მრავალმა ქვეყანამ მიმართა კერძო ფინანსური ინსტიტუტების, ზოგჯერ კი რეალური სექტორის ზოგიერთი ფირმისადმი ფინანსური დახმარების სპეციალურ სამთავრობო პროგრამებს (May, 2009, cc. 22-23), რაც აშკარად ქმნის ეკონომიკის ზომბირების საფრთხეს (Coy, 2009; Harman C., 2010; Krugman, 2009; Onaran, 2012; Quiggin, 2010). პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებშიც ამ კრიზისმა ასევე ხელი შეუწყო ისეთი სამთავრობო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ გაკოტრების პირას მისული ბანკებისა და ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას (მაგალითად, Илларионов, 2008).

ბოლო ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა „მოგების პრივატიზაციისა და ზარალის ნაციონალიზაციის“ დამღუპველი პრინციპი (May, 2009, c. 10).

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ფინანსური კრიზისის პირობებში რეალურად შეექმნათ ეკონომიკის ზომბირების საფრთხე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის ეს საფრთხე ნეკროეკონომიკის გამოც არის დამძიმებული (პაპავა, 2010; Папава, 2009а, 2009б; Papava, 2010a, 2010b).

**იაკობიძე დ., 2009.** *საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი.* თბილისი, „კომენტარი".

**მექვაბიშვილი ე., 2009.** *ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები.* თბილისი, „ინოვაცია".

**პაპავა ვ., 2010.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები,* ტომი 8. თბილისი, „სიახლე".

**Ahearne A. G., Shinada N., 2005.** Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4

**Caballero R. J., Hoshi T., Kashyap A. K., 2006.** Zombie Lending and Depressed Restructuring in Japan. *NBER Working Paper* 12129.

**Caballero R., Kashyap A. K., 2002.** Japan's Indian Summer. *The Wall Street Journal*, July 18, http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/awsj.pdf.

**Coy P., 2009.** A New Menace to the Economy: "Zombie" Debtors. *BusinessWeek*, January 15, http://www.businessweek.com/magazine/content/ 09-04/b4117 024316675.htm.

**Harman C., 2010.** *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx.* Chicago, Haymarket Books.

**Holle P., 2005.** The Evolution of a Zombie Economy. *The Frontier Centre For Public Policy*, March 15, http://www.fcpp.org/main/publication-detail.php?PubID=979.

**Hoshi T., 2006.** Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1.

**Hoshi T., Kashyap A. K., 2004.** Japan's Economic and Financial Crisis: An Overview. *The Journal of Economic Perspectives*, Winter, http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/japancrisis.pdf.

**Hoshi T., Kashyap A., 2005.** Solutions to Japan's Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail. In *Reviving Japan's Economy: Problems and Prescriptions*. Ito T., Patrick H., Weinstein D.E., eds. Cambridge, The MIT Press, 2005.

**Kane E. J., 2000a.** Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis. *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8, Is. 2.

**Kane E. J., 2000b.** The Dialectical Role of Information and Disinformation in Regulation-Induced Banking Crises. *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8, Is. 3-4.

**Krugman P., 2008.** *The Return of Depress on Economics and the Crisis of 2008.* New York, W.W. Norton & Company.

**Krugman P., 2009.** Wall Street Voodoo. *The New York Times*, January 18, http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?–r=2&partner=rssnyt&emc=rss.

**LeLaulu L., 2009.** Zombie Economics? *The Development Executive Group*, 13 January, http://www.devex.com/articles/zombie-economics.

**Lindsey B., 2002.** *Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism.* New York, John Wiley & Sons, Inc.

**Onaran Y., 2012.** *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy.* Hoboken, John Wiley & Sons.

**Papava V., 2009.** Post-Communist Capitalism and the Modern World of Dead Economy. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 3, No. 2.

**Papava V., 2010a.** *Economy of the Post-Communist Capitalism under the Financial Crisis. Studies in Economics and Finance*, Vol. 27, No. 2.

**Papava V., 2010b.** The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy. *Problems of Economic Transition*, Vol. 53, No. 4.

**Quiggin J., 2010.** *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us.* Princeton, Princeton University Press.

**Shleifer A., Treisman D., 2000.** *Without a Map: Political Tactics and Economic Reform in Russia.* Cambridge, The MIT Press.

**Smith D. C., 2003.** Loans to Japanese Borrowers. *Japanese International Economies*, Vol. 17, No. 3.

**Stepek J., 2008.** How Zombie Companies Suck the Life from an Economy. *MoneyWeek*, November 18, http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx.

**Willie CB J., 2009.** Gold, Zombie Banking System, Lightning, Earthquakes and Hurricanes. *The Market Oracle*, January 20, http://www.marketoracle.co.uk/Article8346.html.

**Григорьев Л., Салихов М., 2008.** Финансовый кризис-2008: вхождение в мировую рецессию. *Вопросы экономики*, № 12.

**Илларионов А., 2008.** Природа российского кризиса. *Институт экономического анализа*, 2 октября, http://www.iea.ru/macroeconom.php?id=8.

**Мау В., 2009.** Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису. *Вопросы экономики*, № 2.

**Папава В., 2009а.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. *Вестник Института Кеннана в России*, Выпуск 15.

**Папава В., 2009б.** Финансовый кризис и посткоммунистический капитализм. *Мировая экономика и международные отношения*, № 8.

საგამომცემლო ჯგუფი

ნატო გორდელაძე
ვიოლა ტუღუში
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 2 25 05 22, 2 91 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge